# მოძღვრება.

თქმული უბრალოთ ხალხისადმი სოფელსა ჩხარს, ჩხარის წმინდის გიორგის ეკკლესიასა შინა. ჩყჲ-სა. გაბრიელი ეპისკოპოზისაგან.

---

სახელისა, მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა.

ძმანო ქრისტიანენო! ჩვენ ყოველნი, მადლი-თა ღუთისათა, ვართ მართმადიდებელნი ქრისტია-ნენი. მარა ვიცით ყოველთა, რომ არა საკმაო არს ვიყოთ ქრისტიანენი მარტო სახელითა, არამედ თვით საქმითაც უნდა ვიყვნეთ ჭეშმარიტნი ქრის-ტიანენი. მარა ვინ არს ნამდვილი და ჭეშმარიტი ქრისტიანე? არს მარტო იგი, რომელსა აქვს ორი ესე ჭეშმარიტი სჯული ანუ სარწმუნოება და კეთილი ყოფაქცევა, ანუ სჯულის აღსრულება,

ვერ შეუძლია ვინმემ აცხოვნოს სული თვისი თუ არა აქუს ეს ორი: ჭეშმარიტი სჯული და კეთილ-ყოფა-ქცევა, და თუ ეს ასრე არს, ყოველი სული იმას უნდა ცდილობდეს, რომ შეიტყოს და ისწავლოს როგორმე რაი არს ჭეშმარიტი სარწმუნოება, ანუ რა უნდა სწამდეს ჭეშმარიტსა ქრისტიანესა და მერე უნდა ეცადოს რომ აასრულოს სჯული იგი. (ახლა ის ვსთქუათ: სად, ან როგორ, ან ვისგან შეუძლია ისწავლოს კაცმან სჯული ქრისტესი ანუ სარწმუნოება?

რასაკვირველია რომ ვისაც შეძლება ჰქონია და თავისუფლება და უსწავლია წიგნი იგი, წიგნისაგან აღმოიკითხავს სახარებასა, სამოციქულოსა, ჟამნსა, დავითნსა და სხუათა საღმრთოთა წიგნთა, და შეიტყობს სარწმუნოებისა. მარა ზოგს არ სცალია და არც შეუძლია ისწავლოს წიგნი, მან რაღა ქნას? მას შეუძლია, ძმაო, ისწავლოს სჯული ეკკლესიასა შინა, რომელსაც სდევს ლოცვაზე და წირვაზე. ხომ იცით თქუენც ყოველთა, რომ წირვა ლოცვაზე ყოველთვის იკითხება საღმრთო წიგნები, ითქმება წმინდა გალობა, წაიკითხება ლოცვები. და ვინც ყურადღებით ისმენს წირვა ლოცვასა, იგი ცოტ ცოტათ უთუოთ ისწავლის სჯულსა ქრისტესსა. ყოველ წირვაზე და ცისკარზე წაიკითხება

სახარებისაგან რამდენიმე მუხლი, ანუ თავი და თუ ყურადღებით ისმენს ვინმე სახარებასა შეიტყობს, როგორ სცხოვრებდა უფალი ჩვენი იესო ქრისტე კაცთა შორის, რა სასწაულები ქმნა, რა მცნება და მოძღვრება გვითხრა. აგრეთვე წაიკითხება წირვაზე სამოციქულო და თუ კარგათ გაიგონებ, შეიტყობ როგორ უნდა იქცეოდეს ყოველი ქრისტიანე, რაც არს სათნოება და რაც არს ცოდვა. გარდა ამის ყოველ წირვაზე წაიკითხება „მრწამს ერთი ღმერთი“ და ამ მოკლე ლოცვაში საკმაოდ არს გამოსახული ყოველიფერი, რაც უნდა სწამდეს ქრისტიანე კაცსა. ამ ლოცვაში არს თქმული, რომ ჩვენ უნდა გვრწამდეს ერთი ღმერთი, მამა და შემოქმედი ცისა და ქვეყნისა, უნდა გვრწამდეს რომ ღმერთი არს სამ პიროვანი, მამა, ძე და სული წმიდა. ძე ღვთისა განკაცდა მარიამისაგან ქალწულისა, ესე იგი მიიღო ჩვენი ხორცი და სული, მოგვცა სჯული, ჯვარს ეცვა ჩვენისა ცხოვრებისათვის, გამოგვისყიდა სისხლითა თვისითა ცოდვისა და წყევისაგან: აღსდგა მკვდრეთით, ამაღლდა ზეცად, მოვალს მეორედ განსჯად სოფლისა; უნდა გვრწამდეს სული წმიდა რომელი გვაწმენდს ცოდვათაგან შჳდთა საიდუმლოთა მიერ, ნათლის ღებას, მირონის ცხებასა, მონანებასა, ზია-

რებასა და სხუათა; უნდა გვრწამდეს ერთი ეკკლესია, რომელი ზრუნავს ჩუენისა ცხოვრებისათჳს. მოკლედ ვიტყჳ, ვისაც სურს, იგი კარგათ ისწავლის ეკკლესიაში სჯულსა ქრისტესსა. და თუ ვინმე ვერ მიხვდეს რასმე, იგი უნდა მივიდეს მოძღვართან და მოძღვარი აუხსნის მას ყოველსა.—

მარა დიდათკი სჯობია რომ სიყრმიდგან მიეჩვიოს კაცი სჯულის სწავლასა; ამისათჳს ეცადეთ ძმანო, რომ თქუენმა შვილებმა პატარაობიდგანვე დაიწყონ სწავლა და წინაპირველად ლოცვები მაინც ისწავლონ, წმიდაო ღმერთო, მამაო ჩუენო, მრწამსი და სხუანი. მღუდელთა ამაზე დავაბარებ, რომ უთუოთ ასწავლონ თქუენს პატარა შვილებს ეს ლოცვები და თქუენ ნუ დაუშლით, არამედ სიხარულით მიიყვანეთ შვილები თქუენი. მეორედ, როგორც წინათვე ვსთქჳ, კაცსა უნდა ჰქონდეს კეთილი ყოფაქცევა ანუ სჯულის აღსრულება. მარტო სარწმუნოება ვერ აცხოვნებს კაცსა, თუ კეთილი საქმე არა აქუს. შეიძლება რომ კაცმა იცხოვნოს სული, თუმცა კარგათ არ იცის ყოველი მუხლი სჯულისა, მარა კეთილი ხასიათი აქუს და კეთილი ყოფაქცევა; და თუ კაცს ცუდი გული აქუს და ცუდათ იქცევა წარწყმდება, თუმცა ძლიერ კარგათ იცოდეს სჯული; ამისათჳს

ძმანო, რომ, რადგანაც კარგათ არ იცით სარწმუნოება, ყოფაქცევა მაინც კარგი გქონდეთ. მართალი რომ ვსთქუათ ჩუენ, ამ იმერეთის მხარეს მცხოვრებთ სარწმუნოება არ გვაკლია; ღუთის მადლით მტკიცეთ გვიჭირავს გულში რაც მიგვიღია მამათაგან სჯული და ჩუეულება; ვერავინ ვერ გვაყვედრებს რომ დავივიწყოს რომელიმე ქრისტიანებრივი წესი; რასაც გვასწავლის წმიდა ეკკლესია იგი მაგრათ შეგვინახავს, მარა ყოფაქცევაშიდ სუსტნი ვართ.

ახლა მოვიდეთ ვსთქუათ, რა ნაკლულევანება ანუ რომელი ცოდვა გვჭირს ჩუენ საზოგადოთ. პირველი და საშინელი ჩუენი ცოდვა ის არის, რომ არა გვაქუს კარგი დაწყობილება, ერთი მეორესთან არა გვაქუს თანხმობა და სიყვარული. პირველი ნიშანი ქრისტიანობისა არს თანხმობა და სიყვარული. ვინ აღასრულა მთელი სჯული? მან აღასრულა, რომელმა შეიყვარა ღმერთი უმეტესად ყოვლისა და ძმა თჳსი როგორათაც თავი თჳსი; მარა ჩუენში ვერ არის სიყვარული და თანხმობა. არ დარჩა ისეთი მოსახლე რომ არ ეჩხუბებოდეს და არ ედავებოდეს თავის მეზობელს; ძმა ძმასთან ვერ დამდგარა და მამა შვილთან. ამდენი დავა და ჩივილი რაც ამ პატარა ჩუენს ქუეყანაშია ერთმანეთშიდ, არსად

არ არის. მეორე ჩუენი ცოდვა ის არის, რომელ არ გვიყვარს სიმართლე, ყოველთვის ლაპარაკში და ყოფაქცევაში მრუდე გზას ვირჩევთ; მოწმათ არის თუ ვინმე მოწოდებული, ან გამოიკითხავს ვინმე რასმე ან სხუა შემთხვევაში ყოველთვის ისე სჩანს, რომ სწორეთ უბნობას ვერ მიჩვეულხართ. მესამე: თქუენი ცოდვა ის არის, რომ რაღაცა მკითხავები გაჩენილან თქუენ შორის და ცუდს საქმეს იზამენ. არ დაივიწყოთ ძმანო, რომ მკით-ხაობა დიდი ცოდვა არის, ვინც მკითხაობას ან მკითხავთან მივიდა, იმან სჯული უარჰყო, ის ქრისტიანე აღარ არის, იმან ეშმაკს შესწირა თავი თვისი. რომელს ბოროტებას არ იზამს მკითხავი? მამას და შვილს გადაჰკიდებს, ცოლს და ქმარს აშლის, ცრუ და ცუდს აზრსა არწმუნებს კაცს, გახდა თუ ვინმე ავათ, მაშინვე გაიქცევიან მკით-ხავთან და იგი მოატყუებს, რაღაც მიზეზებს ეტყვის; წამალს და მოვლასკი არ ასწავლის, არამედ რაღაც ცრუს და ეშმაკეულს აზრებს შეაგონებს.

ვეცადოთ ძმანო რომ ესენი ყოველნი ცოდ-ვანი, რაც გვჭირს, განვიშოროთ და ვიყვნეთ ნა-მდვილნი ქრისტიანენი საქმითა და არა მარტო სა-ხელითა.

---

# შესხმა

თქმული ქუთაისის სობოროს დეკანოზის გიორგი გამრეკელოვისაგან, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მოსვლის ჟამს. 7-სა სეკტემბერსა, 1860 წელსა.

ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო,

მოწყალეო მწყემსთ-მთავარო!

დღესა მას, ოდეს შენ, წარმოდგომილმან წინაშე სამღვდელოებისა კრებისა აღიარე უძლურებაჲ კაცობრივისა ბუნებისა, ტჳრთმძიმეობაჲ უმაღლესად მონიჭებულისა თქუენდა მღვდელთ-მთავრობის ხარისხისა, და მიანდევ თავი თქუენი საღმრთოსა განმგებელებსა, რომლისამიერ წარმართებიან ხვედრაჲ კაცისა, მიუპყარი რა ქედი თქუენი მორჩილებასა მოციქულთა და კრებათა კანონისა და მუშაკთა მოქმედებათა ვენახსა შინა მისსა, აღმპყრობელმან თვალთა გულისა თქუენისა მაღლისადმი, მაშინ უღირსებაჲ ჩემი, რიცხვთა შორის სამღვდელოთა დასისა თანამოწამე იყო და მვედრებელ

კეთილისა წადილისა თქუენისა აღსრულებისათჳს. (*)

სიბრძნით განმგებელმან ყოველთამან და სრულ მყოფელმან მართლიადისა ვედრებისა თქუენისამან აწ აღგირჩიათ მწყემს მთავრად და მოქმედად თჳსისა საყვარელისა ვენახისა—წმიდისა ამის იმერთა ეკკლესიისა, ვენახი, რომელიცა გარწმუნათ მაღალმან, დანერგული პირველ წოდებული მოციქულისაგან, ნაშრომი და მეზღვდილი მოსაყდრეთაგან მისთა. აწ ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო! შრომითა თქუენითა კვალად განაკეთილეთ იგი, უკეთუ რაიმე ჭჳოვოთ დაკლებული თქუენ ალავსეთ, ვითარცა მომღვარი წარმართთა მიუწერეს მოწაფესა თჳსსა.

მოწყალეო მწყემსთ_მთავარო! მხიარულ იყავნ გული შენი, მრავალნი გყვანან თანამშრომელნი მწყემსთ_მთავრულსა სარბიელსა შინა თქუენსა,— თქუენ ჭჳოვებთ მრავალთა გულს მოდგინეთ მსმენელთა სამღრთოთა სწავლათა თქუენისა, რომელთესლნი უეჭველად აღმოაცენებენ სავსეთა ქელთა და გადაეცემიან მრავალთა, უხვებით გამოსაზრდელთა

(*) ოდეს ყოვლად უსამღვდელოესმან გაბრიელ, 4-სა დეკემბერს 1858 წელსა, წარმოსთქვა ესსმაა საქართველო-იმერეთის სიონის კანცორაში შეკრებულთა მღჳდელთ მთავართა და სამღჳდელოთადმი.

სულითა თქვენითა.

წმინდანი ეკკლესიანი ეპარხიისა შენისანი, შემკულად მიიღებენ სათანადოსა გაბრწყინვებისა, რომლისათჳსცა მხიარულ არს ყოველი ჩუენებანი. სამღვდელონი პირნი გამზადებულ არიან, მართლიად აღსრულებისათჳს კეთილისა ნებისა შენისასა შესახებ სულიერისა განათლებისა მხარისა ამის. — ბრწყინვალენი თავადნი, კეთილშობილნი მოსამსახურენი, მოქენე არიან სმენად და მორჩილებად მოძღვრებისა თქუენისა, — ახალ მორჩნი ყრმანი, ჯერეთ მყოფნი სასწავლოთ განეცხრებიან სიბრძნესა თქუენსა უმჯობესისა მათისა განათლებისათჳს; ქურივნი და ობოლნი სამღუდელონი, მყოფნი სიღარიბესა შინა ელიან მოხედვასა შენსა და ნუგეშსა მათდა მამობრივსა მზრდელობასა. ესრედ თჳთოეული ცხოვარი სიტყჳსა სარწმუნოებისა შენისანი, გამოუთქმელად მოსრულ არს შემოხვლასა შენსა ვენახსა ამას, რომელი დასხა მარჯუენემან მაღალისამან.

მოვედ გამორჩეულო ღმრთისაგან! მოვედ ღუთივ დაცულსა მხარესა ამას განმხიარულებული სულითა მით, რომელ რაოდენ დიდ არიან ღვაწლნი შენნი სარბიელსა ამას, ეგოდენცა მგრგვინიცა დიდებისა განუმზადების თქუენთჳს ღვაწლის დამდებელისა მისგან — ცხებულისა იესოსა, რომ-

ლისა მოსავ არს ერი ესე შეკრებული წმინდასა ამას ტაძარსა შინა, ხილვად თჳსისა მწყემსთ-მთავრისა,

---

# სოლომან ისაკიჩ მეჯღანუაშვილი.

(რომანი.)

## ნაწილი მეორე.

### X

ერთ მშვენიერ მაისის დილას, ჯერ მზე არ ამოსულიყო, მივრბოდი მე თათრის მოედანზე ხარჩოს მოსაპოვებლად, თვითქოს ჩემ ცოლ-შვილსა ხარჩო გასწყვეტოდათ და მე სიღარიბისაგან ვიყავ დევნული, თვითქოს, თუ არ ვაჩქარებულიყავ, დავკარგავდი ასეთს შემთხვევას, რომლისაგან ფრიად გავმდიდრდებოდი. მოედანზე დაიხვდა სხვა და სხვა თემის ხალხი: რუსი, ქართველი, სომეხი, თათარი, ნემეცი, ლეკი, თუში, ოსი, ფრანცუზი და სხ. და სხ. რომელნიცა ირეოდნენ, ყაყანებდნენ და ვაჭრობდნენ ზოგი პურსა, ზოგი ყველსა, მაწონსა, ანუ ერბოსა და სხ. მე ძლიერ მეწყინა

რომ ამოდენმა ხალხმა მიმაწყრო მოედანზე, ვიფიქრე, რომ ბედნიერების შემთხვევას უთუოთ ავცდი მეთქი. მაინც კიდევ იმედი არ დავკარგე, ხუთ წამს შემოვიარბინე ყოველი კუთხე და ადვილი მოედნისა, მაგრამ არა დამხვდარა ჩემი საკბილო სავაჭრო. კარგა ხანს ვაყვედრე ჩემს თავს დაგვიანებისათჳს. უცებ თეთრი შავასწარ ერთ სოფლელ გლეხ კაცსა, რომელსაცა მოჰქონდა გალიით ვარიები გასასყიდათ.

—ეი, ვარია, ვარია, აქ მო! შევძახე გლეხკაცსა, რომელიცა სწრაფათ წინ დამიდგა, და მე მკითხა.

—აბა, ჩემო საყვარელო! რამდენი ვარია არის და როგორ ჰყიდი?

—თვრამეტი ვარია გახლავს; ორი მანეთი მიბოძეთ.

—ეჰ, ჩემო საყვარელო! ასეთი ფასი თქვა, რომ ჭკუამხედაც ახლო იყოს; სწორეთ გითხრა, ორ მანათათ არა ღირს და არცა რა ვინ მოგცემს მაგდენ ფულსა; ხომ კარგა იცი ფული ქვიშასავით წყალში არა ჰყრია, ანუ, პანტასავით ტყეში არ მოდის.

—მე კარგა ვიცი და თქვენც კარგა უნდა იცოდეთ, რომ ვარიებიცა ტყეში არ იზდებიან

რომ ამათაც მოვლა და გაზდა უნდა, რომ შორის სოფლიდამ მოვდივარ.

— მაშ სწორე ფასი რა არის?

— ცხრა აბაზი.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! რა დრო მოგვექმნა, სულ ერთიან ვარიასაცკი ფასი დაედო! ვინ გაუძლებს ამისთანა საშინელ სიძვირეს, აბა, ღმერთი რათ მოგვცემს კარგსა!

— მე იმ დროს მოვესწარ, როდესაც ქალამანს ვყიდულობდი ხოლმე შაურათ და ორ შაურათაც; ახლა კი ათ შაურათაც ვეღარ ვიშოვია. — თუ თქუენ ქალამნებს ფასი მოემატა, მითამ ჩემს ვარიებსა ფასი რატომ არ უნდა მოემატოს?!

— გხედავ, ძმაო, ჭკვიანი კაცი ხარ; მაგრამ ძვირათ კი აფასებ ვარიებსა. ოთხი აბაზი მოგცე?

— ვერ მოგცემ.

— ოთხაბაზ-უზალთუნი? — ეს რა უთხარი, თეთრი ფული ამოიღე და დაანახვე ვარიების პატრონსა, გაიცემ, რომ დამებრმავებინა ფულის სილამაზითა.

მაგისთანა ფულები ბევრი მინახავს. მე არ მიკვრის.

— აჰა, მანათი!

— არ შეიძლება.

მაშ რას ითხოვ?

—უკანასკნელი ფასი, ცხრა აბაზი,

—მოიცა, სად მისვალ! აბა მიჩვენე შენი ვარიები?

—აი ვარიები, გამინჯეთ; თვითო ამისთანა ვარია აქ, ამ მოედანზე, სამმაურათ ისყიდება, მეკი ვთხოვ ორორ შაურსა; ხუთ აბაზს რომ იძლევი, ღმერთი არ არის თქუენში!

—უჰ, რა გამხდრები არიან, თვითქოს არა გიჭმევიარა.

—მართალია, გზაზე არა მიჭმევიარა.

—მაშ, რაღას დიდ-დიდს იძახი, შე დალოცვილო! განა გამხდარსა და მსუქანს საქონელს ერთი ფასი სდევს?

—აქ ნებაყოფლობით უნდა იყოს ვაჭრობა, თუ არ მოგწონს სავაჭრო, თქუენ თქუენთჳს, მე ჩემთჳს.

—აჰა ხუთაბაზ უზალთუნი.

—არ იქნება.

დაიჭი, დაიჭი ექვსი აბაზი; ამასაც შენის ხათრისთჳს ვაძლევ, თორე...

—რას მაბრიყვებ, გამიშვი.

—სად მისვალ?

—წავალ, ქალაქი დიდია.

— მაიცა, მაიცადე, ერთ სიტყვას გეტყვი.

— აჰა, მოვიცდი; მითხარით ერთი სიტყვა.

— აგ, ძმაო, რას გეტყვი: აქედამ სიონამდინ რომ წახვიდე, ჯერ ერთი რამდენ დროს დაჰკარგავ, მეორე ქალამანი გაგიცვდება, მესამე ვარიები შიმშილისაგან უფრო შემსუბუქდებიან, იქნება კიდეც დაიხოცნენ, და მაშინ, რასაკვირველია არავინ მოგცემს ექვს აბაზსაცა. ჭკუას ნუ დაჰკარგავ.

— ასა, ღმერთო ჩემო? ეს რა ჭირში ჩავარდი! სად გაგონილა, რომ კაცს თავისს საქონელზე უფლება არა ჰქონდეს, მანამ არ გაჰყიდოს. აღარა ვყიდი, თავი დამანებეთ.

— ხომ არ გაგიჟებულხარ, ოხერო! ვინ გეჭიდება! ჯანაბამდის გზა გქონდეს. მაგრამ ამასაცკი გეტყვი, ჭკუის წააგებ, ქართუწლი სხუა ვინ ყოფილა ჭკვანი რომ შენ იყო?

— გარწმუნებ, აქამომდე მქონდა ჭკუა, და მას აქეთ რაც შენ შეგხვდი, ჭკუა დავკარგე, ასე გამინჯე, აღარ ვიცი ექვსი აბაზი რავდენი ფულია. გამარჯვებით.

ეს რო სთქვა, გლეხმა კაცმა წამოიკიდა გალია და დააპირა წასვლა. მაშინ ერთს ჩემ ამქართაგანსა (ჩარჩები გარშემომეხვივნენ და არავინ

მამეცილა; ასეთია იმათში დებულება) თუ·ილით ვანიშნე, რომ მუა შემოსულიყო და მოვერიგებინე ვლესკაცთან.

მუა კაცათ არჩეულმა ჩარჩმა მაშინვე დაიბრუნა ვლესკაცი და უთხრა:

—სირცხვილი არ არის, ორნი დარბაისელნი კაცნი ვერ მორიგებულხართ! აქმო, მე მოვ·რი-გებთ. მამეც აქ ფული (მითხრა მე); რას აძლევ?

—ექუსს აბაზს ვაძლევ; აჰა ფული.

—ორმაურიც ამოილე, მითხრა მუა კაცმა.

—არა; ორმაურს არ მივცემ; მენის კარგის სათრისთჳს აჰა ერთი მაური.

—არ მივცემ; მგირია, გიმარალებ.

—მაიცა, მაიცა ორი მაურიცა.

—აჰა, ეს ორი მაურიცა; ახლა, მოვრჩით!

—ორი მაურის საქმე არ არის აქა. თავი და-მანებეთ. გვითხრა ვლესმა კაცმა და ვაჩრის წა-სასვლელად.

ერთი მამაცყუობინე, მენი სიცყვა რა არის ჰკითხა: მუაკაცმა ვლეს კაცსა.

—ცხრა აბაზი.

—ჩამოილე, ჩამოილე ვალია; მჯდი აბაზი იყოს; ხმა აღარ ამოილო; კარგ ფასს ვაძლევს,— უთხრა მუაკაცმა.

—ძვირია, ძვირია; ვერ მიგცემ შენ აბაზსა.

—რა უყოთ! ხან ძვირათ უნდა ვიყიდოთ, ხან იაფათ.

—მიეცი, მიეცი შენ აბაზათ; ძალიან კარგი ფასია, მეტად არა ღირს, —შეჰყვრეს ერთის ხმით ჩარჩებმა, რომელნიც დაესწრნენ ამ ანბავში.

მუშა კაცმაცა შენი აბაზი თითქმის ძალათ მისცა გლეხკაცსა და დაუმატა.

—ვალიასაც დაგიბრუნებს; გეყოფა ძმაო; ისე ღმერთმა მე მიშველოს, როგორც კარგ ფულს გაძლევენ.

ეს რომ ნახა მუშა-კაცმა ამოასხა ვარიები, მომითვალა, ვალია ჭავრონს ჩააბარა, მიაბრუნა ხიდისკენ და გაავლია რამდენიმე მანძილი, თან ეფიცებოდა, რომ იმან მომატყუა მე.

საწყალი გლეხი კაცი დაღონებული და თავ დაკიდებული წავიდა.

მეკი მიხაროდა, რომ იაფად ვიყიდე ვარიები. არ გავიდა ნახევარ საათი, იქვე გავყიდე წვრილი ვარია ხუთ-ხუთ შაურათ, და მოვიგე ოთხი აბაზი და ერთი შაური.

ჩარჩებმა მკითხეს, რამდენი მოვიგე და როდესაც უთხარი, ერთმა იმათგანმა, ყმაწვილმა ბიჭმა უცებ ხელით ასე მაგრა ჩამარტყა თავში,

რომ ცრემლები წამომცვივდა, ამ დარტყმასთან შე-ჭყვრა:

—ამ მეჩვენებულს, ყოველთვის ბრმა ბედი როგორა სდევსო?

იმავე წამს, ჯერ ცრემლები არ მამეწმინდა უცებ წინ დამიდგა სოსია გამწკეპამე, ჩემთან სიყმაწვილითვე ერთად მეზრდილი, და აღმზრდელი თავად ალექსანდრე რაინდიმისა,—რომელმაც წამ-ტაცა ქალი, მამიკოისა ესე:

—ოჰ საყვარელო ჩემო სოლომან! ვმადლობ ღმერთს, მშვიდობით სარ.... აგერ ნახევარ საათია გიყურებ, გშინჯავ და ძლივს გიცან, უთუოთ გამდიდრდები.

ჩარჩისაგან თავში ჩარტყმა ისე არ მეტკინა და მეწყინა, როგორათაც ამ კაცისა გამწკეპავისა დანახვა მეწყინა და მეტკინა ჩემს გულსა. მრავალჯერ ჩაურტყამთ ჩემთვის თავში, მაგრამ წასულა, გა-უვლია, ფიქრში და გულში სრულიად არ მამსვ-ლია. ახლაკი, რადგანაც გამწკეპავიმესთან ჩამარტყ-ეს თავში, დამებადა სრული ჩემი თავის მოყვა-რება და მეწყინა, ისე მეწყინა, რომ დედამიწა რო გახეთქილიყო და თან ჩავეტანე ის მერჩივნოდა, ისე მეწყინა, რომ აღარ მეყურებოდა რა ვიყავ, სად ვიყავ და რა უნდა მექნა. ნამდვილად არ

ვიცი, რათ მეთაკილებოდა, რომ გამწკეპავიმეს შაეცყო რაიმე ნაკლულევანება ჩემი. ჩემის აზრით ამისი მიზეზი უნდა იყოს ისი, რომ რაინდიმის სასლში მე ალკიზარდე როგორც თვით ალექსანდრე რაინდიმე, გამწკეპავიმეკი — როგორათაც უმა და მონა. მე მეწყინა და მეთაკილა, რომ გამწკეპავიმემ მნასა, როგორათაც ჩარჩი, ვარიების მოცემულების, ფიცით და გონებით მსყიდველი და გამსყიდველი, უბრალო გლეხურ ტანისამოსში, თავში ჩაკრული, მაშინ როდესაც იმას მე ყოველთვს უნახავიათ კარგა ჩაცმული, დარბაისლურ ყოფაცხოვრებაში, და ისი პატივსცემდა სოლმე და მივაჩნდი საბაცთო მოქალაქედ. მით უფრო უმეტესად მამიკვდა გული, რომ ხუთი წლის უნახავი ვიყავი გამწკეპავიმესთან, რომელიც იყო პეტერბურგს, სადაცა, რასაკვირველია, *მიიღებდა განათლებასა, და რომელიცა ალა უჭე, მოულოდნელად გამომეცხადა იმ დროს, როდესაც მე ვიყავი უმსგავსს და სასაცილო მდგომარეობაში. ამ აზრებმა ელვასავით წამს გაიარეს გონებაში. გავანჩხლდი, დაუფიქრებლივ მივარდი ჩემს თავში ჩამკვრელსა და ჩხუბი და ცემა დაუწყე. რასაკვირველია ჩარჩმა არ დამითმო და რაც დამაკლო შემისრულა.

—მე უმზგავსო, მე ქვეყნის სასაცილო! მიითხრა ჩემმა წინააღმდეგმა ჩარჩმა: რამდენჯერ ჩამირეცხავს შენთჳს თავში, და არც ერთხელ არ გწყენია, ამიტომ რომ სუმრობით ჩამირეცხავს და ახლაც სუმრობით ჩავარეცხე. გული რაზე მოგივიდა! განა არ გიცნობ ვინცა ხარ და რა ხარ; შენი ციცხვი და ჯამიცა ვიცი.

ბრძოლა განგრძელდებოდა, თუ რომ ხალხს არ გაეშველებინე. ერთი მეჯდომის მეოფელთაგანი იყო გამწკეპავიმეცა.

უკანასკნელმა შემთხვეულებამ უფრო დამისყრა გული, უფრო გამიცხოველა სირცხვილი, გამწკეპავიმის დანახვა არ მინდოდა და ამიტომ გვერდარე მოვედნიდამ. მე ვიყავ არეული, გაწითლებული, სისხლიანი, საკინძ ჩამოგლეჯილი. თურმე, ნუ იტყვით, გამწკეპავიმე დამედევნა.

—სოლომანჯან, სოლომანჯან, შენი სულისა სოლომანჯან, მომმასდა გამწკეპავიმე: შეიცადე ერთ წამს, სიტყვას მოგახსენებ.

კინაღამ გულ შამომეყარა, რა დავინახე გამწკეპავიმე.—მეც არ გავაგონე და ცუსცუსით, თავდალუნული მივეჩქარებოდი შინისკენ, რომ აღარ დამენახა უსიამოვნო ნაცნობი.

—სოლომანჯან, გამიგონე მე დალოცვილო!

რას მირბიხარ! მხოლოთ ერთი სიტყუა მაქუს სათქმელი.

მითამ არ მესმოდა, მოუხედავად მივრბიოდი გლდის უბნის აღმართზე.

— ოჰ, დავიღალე, აღარ შემიძლიან! საყვარელო სოლომან! გამიგონე, ხომ... ხომ მოვედი ამ აღმართზე სირბილითა — გამიგონე... ალექსანდრემ გთხოვა ფული, შენი ვალი, მიიღო.

მაინც კიდევ არ შევიბრალე გამწკეპავიძე.

— ოჰ, სოლომანჯან! აღარ შემიძლიან? არ შეკადრება მაგ ვარი საქმე! შენი ნებაა!

გამწკეპავიძემ ვეღარ შესძლო აღმართზე სირბილი და დაეცა. მე დიდად მიამა, ამიტომ რომ არ მინდოდა, ამოდენ დამდაბლებასთან, ენახა იმას ჩემი ქოსი და ცოლშვილი.

გამწკეპავიძე უკან დაბრუნდა. მეკი, როდესაც მივედი შინ, ასეთის მრისხანის სახით ვიყავი თურმე, რომ ჩემი ცოლშვილები გაცვივდნენ შიშისაგან გარეთ. მართლადაც, თუ რომ იქ დამთენილიყვნენ, უთუოთ მწველ დღეს დავაყენებდი. — ასე ვიყავ გონება დაკარგული და გულმოსული, ვმადლობ ღმერთსა, რომ მიხსნა განსაცდელისაგან! ეს დღე და საათი ჯერაც არ დამვიწყებია და არცა დამავიწყდება.

## XI

კარგა ხანს ვიყავ აღწერილ მდგომარეობაში. მერე თანდათან დავმშვიდდი, მაშინ წარმომიდგა აზრი — შამეტყო, თუ რავდენის საუნჯისა ვიყავ მფლობელი. საკვირველია, აქამომდე ერთხელაც არ მამივიდა სურვილი დამეთვალა ჩემი ოქრო და ვერცხლი. მე მხოლოთ ფულს უმატებდი ფულსა. ვიცოდი, რომ დიდი მალი მქონდა; მაგრამ ისკი არ ვიცოდი, რავდენი უნდა ყოფილიყო.

უკანასკნელ წელიწადს მე ვიზარალე ასს თუმნამდის, და ჴელი ავიღე დიდ ვაჭრობისაგან, რომ სარქისზეგამოვლისავით არ გავკოტრებულიყავ. ოფლით და მრავლის მწუხარებით შეკრებილს ფულსა არას ვაკლებდი და ვსჯეროდი, ცოტა-ცოტათი გავრცელებულიყო ჩემი ჯიბე. კერძო კაცის ჴელში მეტ გავეცი, გახშირებულ კოტრობისა და უნდობლობისაგამო; პრიკაზის გზაკი ჯერ არ ვიცოდი.

იყო ისევ დილა. ჩემი ცოლშვილი წავიდნენ თავიანთ საქმეზე (მერე მოგახსენებთ ვინ რომელ საქმეზე იყო ჩემგან დადგენილი) და მე მქონდა დრო დამეთვალა ფული; — ჩემა ცოლ-შვილმა არ იცოდა არცა ადგილი, სადაცა დაცული მქონდა

ფული, არც რიცხჳ მისი. ისინი იყვნენ ჩემგან დარწმუნებულნი, რომ მე ვიყავ ვითომც ღლახა და უფულო. ისინი ვერ მიხვდებოდნენ ფულის ადგილსა და რიცხვსა, ამიტომ რომ იმათ თუალწინ არა დროს ცასტცი არ მომიწევია და ფულის გზა არ მისწავლია. გარდა ამისა ცასტცი მქონდა შინაგან დამაგრებული, ასე რომ უჩემოთ არავის შაეძლო მოეწია. დამაგრებული იყო ამ სახით: წინაფიცარი ცასტცისა მქონდა დაკეტილი იმ უჩინარის კლიტით, რომელსაც ხმარობენ კამოდისთჳს. ახდიდით ამ ფიცარსა, ნახავდით, რომ ფუხები ცასტცისა იყვნენ მიბმულნი მსხჳლის რკინებითა კუნძებზე, რომელნიც იყვნენ ღრმათ ჩასმულნი მიწაში.

და ესრეთ მე შეუდექ საქმესა, კარები ჩავკეტე, სანთელი ავანთე (უსარკმლო ქოხში ბნელოდა,) ცასტცი მოვწიე, ხურჯინით ამოვზიდე ფული. გადავთვალე ათასი, ათიათასი, ოცი ათასი, ორმოცი ათასი, სამოცი ათასი, ოთხმოცი ათასი თუმანი!! ოციათასი რომ გადავთვალე, გადავავლე თვალი დაუთვლელსა, გამიკვირდა და მიხაროდა, რომ უმეტესი ნაწილი კიდევ იყო დასათვლელი. როდესაც ორმოციათასი გადავთვალე და დავინახე, რომ ერთი იმოდენი კიდევ იყო დასათვლელი,

უფრო გამიკვრდა, სიხარული უფრო გამიცხოველდა, და როდესაც უკანასკნელი მეოთხმოცე ათასი გადავთვალე, მაშინ გული და თავი მლივ-მლივ შევიმაგრე: კინაღამ სიხარულისაგან და განცვიფრებისაგან გული შემიღონდა და ტახტზე გადვირიე. წყლით მოვიბრუნე გული, სანთელი გავაქრე, წყნარ-წყნარა კარი გავაღე და გამოველ გარეთ, რომ ჩემი გონება დამშვიდებულიყო. მე გამიოცდა ამიტომ, რომ მესამედის ფულის იმედიც არა მქონდა, ამავე მიზეზისგამო ჩემს სიხარულს მოემატა სიხარული, და, რასაკვირველია, ამ მიუწოომელს და მოულოდნელს სიხარულსა შაემლო გონებიდამ გამოვეყვანე. გონება და გული რომ დავიმშვდე, ისევ შაველი შინ, სანთელი ავანთე, ღმერთს თაყვანისცემით მადლობა შევსწირე, ცაკბილათ დავკოცნე ფულებსა (ასე გამინჯვეთ სიხარულის ცრემლებიცკი გადმომცვივდა!) დავაბინავე ისევ თავისავე ადგილსა.

მაშინ წარმომიდგნენ ჩემნი საცოდავნი ცოლი და შვილები, რომელნიცა მე დავსტანჯე და რომელთაც მოვათმენინე მრავალ წელს საშინელი და ენით აუწერელი სიღარიბე, სიმშილე, შიმშილი, სიცივე და სიბნელე, მოვაკელ სიამოვნება, განცხრომა, მშვდობა და ნამეტნავათ ალზრდა,

წარმოვიდგინე ჩემი თავიცა, საცოდავათ ყოველ ჟამს დამცრობილი და მოკლებული ყოველს კეთილცხოვრებასა, მაშინ როდესაც მე შემეძლო ამეცადინა ყოველივე ესე თვრამეტის წლის წინათ, რასაკვირველია ამოდენი აღარ მექნებოდა, მაგრამ სამოცი ათასს თუმანს კი აღარა დააკლდებოდარა. თუმცა ახლა ოთხმოცი ათასი თუმანი მქონდა, მაგრამ, ოჰ, რამდენი დავაკარგვინე ჩემ ცოლ-შვილსა!

მეიქმნა სადილობა. დრო იყო დაბრუნებულიყვნენ შინ ჩემი ცოლი და შვილები სადილობად. მაგრამ რა დასხდებოდათ, გარდა მშრალის პურისა!! მაშინ დავინახე ჩემი უბედური სიმუნწე, მაშინ ვიგრძენ ცოლშვილის საცოდაობა.

პირუწლად მამოვიდა ჩემი ქალი, თექუსმეტის წლის თამარ, რომელიცა მეზობლისას სწავლობდა ხელსაქმესა და წერა-კითხვასა. მანამდისინ არ დამინახავს, რომ — იმას ეცვა გახუნებული, მოკლე ჩითის კაბა, ჭუჭყიანი მიტკლის პერანგი, და ქუსლებ დაყრევინებული ქოშები შიშველა ფეხებზე. ჩემი თამარი თუმცა იყო დედასავით მომცრო-ტანისა, შავთვალ წარბა, მხრებ აწეული, მოკლე კისერა პირ-ნაყვავილარი, ცხვირ და ტუჩებ დიდი, მაგრამ დედასა ჰსჯობდა გულფერითა. აქამომდე

მლოვ ეხწავლებინათ წინდებისა და ქისების ქსოვა, საბაზრო პერანგისა და ახალუხის გამოჭრა და შე-კერვა, და ანბანი თავისის უფალოთი.

თუალებიდამ ცრემლები გადმოსცვივდა, დავი-ნახერა თამარ. მაგრამ გული შევიმაგრე და თა-მარს გაუცინე. თამარს გაუკვირდა ჩემი სიმხიარუ-ლე, რომელიცა მნელად სადმე უნახავს იმას ჩემს პირისახეზედ.

—თამარჯან! ჯერ პურს ნუ სჭამ; კარგი სადილი მოგივა; უთხარი მე ღიმილით და მამო-ბრივის გულმტკივნელობით.

თამარ დამცქერდა და უნდოდა წაეკითხა ჩემს სახეზედ მიზეზი მხიარულებისა და მამობრივის ალერსისა. ამიტომ რომ თავის სიცოცხლეში პირ-ველად გაიგონა ალერსი!...

ამ დროს შემოვიდა ჩემი ვაჟი ისაკ, რომელ-საცა იღლიის ქვეშ ეჭირა წიგნები. ისი იზდე-ბოდა, ანუ სწავლობდა გიმნაზიაში. ისაკ იყო მტკუნვარე და მოწყენილი.

—რათა ხარ, შვილო, აგრე მოწყენილი? ვკი-თხე მე ისაკსა.

—კურს ვასრულებ; მაგრამ ჩინის იმედი კი არა მაქვს.

—რატომ, შვილო? ამხანაგებში რათ უნდა

გამოგარჩიონ!

—ამიტომ, მამილოჯან, რომ შენის მეცადი-ნეობით უდროო დროს მეშვიდეში გამიყვანეს, ჯერ კი დრო არა მქონდა; მე მხოლოდ კლასიდამ კლასში, ანუ ოთახიდამ ოთახში გადავდიოდი, მაგრამ რა'აც ამ ოთახებში ასწავლიდნენ, ჩემს გულსა და გონებას სრულიად არ მიჰკარებია, და, აჰ, მე დავრჩი უჩინო!

—განა ისეთი რა სასწავლებელია მაგ შენ გიმნაზიაში, რომ ერთის წაკითხვით ვერ დაგის-წავლია.

—რაღაცა გასაოცრებელი მატემატიკა არის,— ღმერთმა დასწყევლოს,— ეშმაკიცკი ვერ ისწავლის. ფიზიკა ხომ, ისტორიები, სხვა მრავალი ჯანაბე-ბი, განა იქნება გონება რომ დაიტიოს! და თუ ვინმე ისწავლის, დაჭლექდება და მოკვდება.

—მაშ ყველანი უსწავლელნი არიან, ვინც არ დაჭლექებულა და არ მომკვდარა?

—მაშ როგორ გეგონია!? განაცა ხედავ ფრან-ცებსა, გარწმუნებ, სულ უსწავლელი ხალხია; მხოლოდ ტანისამოსში ჭკჳანები და განათლებუ-ლნი სჩანან. რომ ჰკითხო ТРИЖДЫ ДВА—რამ-დენია, გეტყვან: ოთხიაო.

—მაშ შენ რომ გიმნაზიაში ყოველ დღეს

დაიარებოდი, არასა სწავლობდი?

— განა არა ვსწავლობდი! განა არ ვიცი! განა ყოველივე არ მეყურება! მაგრამ საფუძველიანათ, ღრმათ ვერა ვისწავლერა, რომ არ გავგიჟებულ ვიყავ ანუ დავჭლექებულვიყავ.

— არა, შვილო! ღმერთმა დაგიფაროს! მალიან კარგა გიქმნია, რომ ღრმათ არა გისწავლიარა. ღმერთი მოწყალეა! შენ ნუ სწუხარ. შენი ამხანაგები შენზე წინ ვერ წავლენ, შენზე მსწავლულათ ვერ გამოჩნდებიან, და შენზე ჩინს ადრე ვერ მიიღებენ.

— მართლა, მამილოჯან! დღეს ათი ყუთი სპიჩკა გავყიდე; მე სომ არ გამოვჩენილვარ; პაცარა ბიჭებს გავაყიდვინე, როგორც მარიგებდი.

— კარგი, შვილო! ამას იქით შენ აღარ გაჭყიდი სპიჩკასა; სულ სხვა კაცი, ჩინოვნიკი დადგები. გული გაიმხიარულე.

უსიამოვნო ლაპარაკი მოვჭწყვიტე და წავიყვანე ისკა ბაზარში, სადაც ვიყიდე მოხარშული ბოზბაში, დედალი, ქაბაბი, ღვნო და გავაცანე მას.

— მოვიდა ჩემი მეუღლეც. აქ არ აგწერ იმისს ტანისამოსსა, — ქალზე უკეთესათ არ ეცო. — მაშინვე შევატყუე, რომ ჩემი სოფიკო მოგებით

უნდა მოსულიყო, ამიტომ რომ საესე პარკი წმინდა საპნით წაილო გასასყიდავათ დილით ადრე, და ცარიელი პარკიღა მოიტანა.

— აფერუმ, სოფიოჯან! მიყვარხარ, მიყვარხარ! აბა მავისთანა დედაკაცი უნდა, აჰ! უთხარი მე მხიარულათ.

როგორც თამარს, ეგრეთვე სოფიოს გაუკვრდა ჩემი ალერსი და სიმხიარულე, ნამეტნავათ გამლილი სუფრა, საესე სხუა და სხუა საჭმელებითა, რომელიცა აღდგომასაც არა ჰქონია. სოფიომ სმა არ გამცა; სოფიო ცალის თჳალით გადმომხედავდა სოლმე .. მუნჯსავით დაჯდა სუფრაზე, სჭამდა საჭმელს ნაზათ, თჳთქოს მცირისას იჯდა და მცირის წყალობას სჭამდა...

სადილს უკან დავიბარე ჩემი ნათლიმამა ოჰანეზ; — საკჳრველი კარგი კაცია! — ამ კაცს გამოუცხადე ყოველი საიდუმლო (ამ დროს ცოლშვილი გარეთ გავგზავნე) და იმ დღეინდელი შემთხვეულობა გამოუცხადე, ჩემი წყენა და დამდაბლება, და ვკითხე რჩევა.

— დიდი შეცთომა მოგსვლია! დიდი უგუნურობა მოგსვლია, საყვარელო ძმაო, მეგობარო და ნათლია! ჭკჳანი კაცი მეგონე, და ახლაკი, მამიტევე, შენში ვერ ვჰპოებ ჭკუასა; — მითხრა ოჰა-

ნეზამ. მავოდენის სიმდიდრის პატრონი ყოფილხარ, და როგორღა ეძლევინებოდი ქუწყანას ფეხ ქუწუმ! როგორ თავი აქამომდე არ გამოიჩინე! ცოლშვილი კარგ გზაზე როგორ არ დააყენე! გამიგონე, ძმაო! სიმდიდრე კარგია, თუ მოიხმარებ; და თუ დაჭფლავ მიწაში, მდიდარი აღარახარ, შენზედ უსაცოდავესი და უგლახაკესი აღარავინ იქნება.

—მირჩიე, ოჭანეზჯან, მირჩიე, რა უნდა ვქნა! შენ სიტყვას მივიღებ, როგორც ანგელოზისას.

—ოჰ, ღმერთო! ვინ ამბობს, რომ ვისაც ბევრი ფული აქვსო, ჭკვიანი არისო! არა; ტყუილი უთქვამს. მეკი ვამტკიცებ, რომ ვისაც ბევრი ფული აქვს, იმას ჭკუა სრულიად გამოსცლია. რაო? გირჩიო რა უნდა ჰქნა!? განა ეგეც არ იცი! —დატუქსვით მკითხა ოჭანეზამ.

—ნუ მტუქსავ ნათლიმამ, ღმერთი გადღეგრძელებს!

—მე ამიტომ გტუქსამ, რომ მეთაკილება, მწყინს შენი ურიგო ყოფაქცევა, ურიგო ცხოვრება, რომ შენს ცოლშვილს მოაკელი აქამომდე კეთილდღეობა და კეთილცხოვრება. გკითხავ შენ, რა ეშმაკებისათვის გინდოდა ფული, თუ ცოლშვილსაც არ მოახმარებდი? მისცე მოქალაქებს, თუ

არ გინდა მიბაძო ჩინოვნიკობას და დიდკაცობას, და ისე იცხოვრე.

— მაინც მინდა, რომ შენ დამაყენო გზაზე; გამოცდილი და ჭკვიანი კაცი ხარ. მე არ ვიცი როგორ რა უნდა დავიწყო.

— სოლოლაკზე იყიდება დიდი და ჩინებული სასახლე სამიათასს თუმნათ. წადი, ესლავ მოურიგდი სახლის პატრონსა, უთუოთ იყიდე.

— მერე?

— მერმე მორთე კარგის მებილითა, ესე იგი სკამებითა, კრესლებითა, სარკებითა, სტოლებითა და სხ. იყიდე ვერცხლეული, სტოლის და ჩაის იარაღი, სახლის ავეჯი; დაიჭირე მზარეული, მოახლე, მოჯამაგირე; გაიჩინე დროშკა; მოირთე, დართე შენი ცოლშვილი, გამოიყვანე საზოგადოებაში; თჳთ შენ ჩაეწერე მოქალაქობაში; გაუმეგობრდი წარჩინებულ დიდ კაცობას და მოქალაქობას.

— ეგეები ხომ მეც ვიცოდი, მაგრამ...

— მაგრამ რა? ფული არ გემეტება?

— ფული!... როგორ... არ მემეტე...

— სუ, სუ, სუ! ვერ მამატყუებ! ესლავე შეაფურთხე ეშმაკსა! გააგდე შენის გულიდგან საცვანა!

— გარწმუნებ, ეშმაკს ჩემთან ჴელი არა აქუს: მაგრამ იგი რისა შეშინიან?

— რისი გეშინიან?

— არ დამიჭირონ მეთქი, არა მკითხონ მეთქი, ვინ მოგცაო მაგოდენი ფულიო!...

— ჰა, ჰა, ჰა! გეტყობა ფულის მოგების მეტი არა გაგიგია ქუეყანაზე: ვის შეუძლიან წამოგედაოს!...

— მესმის, მესმის! ეხლაკი გულ ხსნილათ გამოვალ ქუეყანაში და ნახავ, რომ პირველთაგა-ნი ვიყო ტფილისის ქალაქში. ჰო, გამწკეპავიმე! ვმადლობ, რომ შენის ერთის დანახვით გამწკიპე და გონებაზედ მომიყვანე!...

## XII

. . . . . . . . . . . . .

ოთხის თჳს უკან, შემდეგ აღწერილის სცე-ნისა, სალამო ჟამს გამოველ შინიდამ ფაეტონით, ორიოთ სამჯერ მოვატრიალებინე კუჩარსა მარჯვ-ნივ და მარცხნივ ცხენი და — დავაყენებინე ერთის ორ-ეტაჟიანს სახლთან, კამენდათის ქუჩაში. ზარი დავაწკარუნე; მსახურმა სწრაფათ გამიღო კარი.

წინა ოთახში დამისვდა ჩემი გამწკეპავი გამწკეპავიძე.

— ოჰ, ჩემო სოსია! როგორა ხარ? ალექსანდრე შინ ბძანდება? ვკითხე მე გამწკეპავიძეს.

გამწკეპავიძემ ვერ მიცნა და დამიწყო ყურება და შინჯვა.

— რას მშინჯავ, თითქოს დასანიშნავი ვაჟი ვიყო! ვერ მიცნობ?

— გიცნობ და ვერა გიცნობ. სოლო...

— სწორედ, მე ვარ შენი საყვარელი სოლომან.

— ახა, დიდება შენდა ღმერთო? ამას რასა ვხედავ! განა აგრე სწრაფათ აღსრულდა ჩემი წინასწარმეტყველება, რომ უცებ გამდიდრებულხარ! მკერდსა ბრილიანტის ბეჭდები, ოქროს საათი, ოქროს ძეწკვთა!!..

— ნუ გიკვირს, ჩემო სოსია! ქვეყანათაზე გასაკვირველი არა არისრა!

— დიდად მოხარული ვარ, შენ მზეს ვფიცავ, სოლომან!...

— ვმადლობ, ვმადლობ! ვიცი შენ ჩემი ბედნიერება არ გეწყინება! მაგრამ შინ არის ალექსანდრე?

— შინ ბძანდება.

ეს რა მითხრა, გამწკეპავიძე გამიძღვა წინ და

შემოიყვანა ოთახში. თავადი ალექსანდრე რაინდიმე კარებშივე მომეგება მოცინარის სახით, მან ჩამოართვა ქელი და ნაზის ქელმოჭერით მადლობდი-ნა, რომ ჩემი ვიზიტი არ ეწყინა. კრესლა მითავაზა.

ეს ყმაწვილკაცი იყო ტანადი, არც სუსტი, არც სქელი; მას თქმა ჰქონდა გადავარცხნილი უკანასკნელ მოდაზე; შავი დიდრონი თვალები, წარბები და კოკობი ულვაშები უხატავდნენ იმას სუფთასა და მცირედ-მკრთალ პირის სახესა; თვალებიდამ გამოსჭვიროდა გონება; მაგრამ ბეცყელ შუბლზედ დასჩნეოდა კვალი ფიქრებისა; ვმელი თითის ბრჩხილები, მგრგვლათ შემოჭრილები, უელავდნენ თეთრათ; თეთრ ტილოს პერანგზე ეცო საზაფხულო პალტო. ოთახი, რომელშიაც ალექსანდრემ მიმიღო, თუმცა არ იყო მდიდრულათ მორთული, მაგრამ იქ ყოფნა ესიამოვნებოდათ. პატარა დივანი, სტოლი, ორი კრესლა და ათიოდე სკამები, დივან ქვეშ გაშლილი ხალი და თეთრი ფარდები შეადგენდნენ იმისს სასტუმრო ოთახის მორთულობასა.

—სოლომან ისაკიჩ! შენი სულისა, მამიცევეთ, რომ თვითონ მე ვერ გიახელი და თქვენ გაგსარჯეთ;—მითხრა ალექსანდრემ, დავარწმუნებ

თქვენ, რომ ჩემის შეუსაბამო ქცევით მეტი ვიცანჯები. მაგრამ მეორეს მხრით ესეცკი უნდა მოგახსენო, რომ მე არ ვიცოდი თქვენი სახლი.

— რას მიბძანებთ, კნიაზო ალექსანდრე! ის კარგი მამა ნუ წუხდებით, ბოდიშს ნუ იხდით, მე და თქვენ შორის ამ გვარი პოლიტიკა არ უნდა იყოს. მე თქვენ სახლში, და თქვენ ჩემს სახლში ისე უნდა ვიქცეთ, როგორათაც ვიყავი მე მამითქვენის სახლში. განა ახლა ვიცნობთ ერთმანეთს! განა ასე უნდა ვიქცეთ ერთმანეთისაგან დაშორებულნი! მახსოვს, ძლიერ მახსოვს თქვენი მხიარულობა, რომელიც მოიღეთ ჩემზედა, თქვენი პურ-მარილი, თქვენი კარგი პირი და გული!

— გავათაოთ მაგ საგანზედ ლაპარაკი. თქვენ ეს მიბძანეთ, სოლომონ ისაკიჩ...

— უკაცრავად, სიცოცხლის ჩამოგართმევ ალექსანდრეჯან! მიამბეთ, როგორ მოიარეთ რუსეთი და რა წარმატება მიიღეთ?

— ღვთის მადლით და ხელმწიფის წყალობით მე აღვზარდე პანსიონერში, დავასრულე კურსი, ვნახე, — ზოგი თუალით, ზოგი ყურით, — მრავალი ქვეყნები, დაახლოვებით ვიცანი სხვა-და-სხვა ქვეყნის ხალხი, და გავიგე ჩემს შემობელ სა-

ქართუწლოში.

—ახლა სამსახურს არ აპირებთ?

—დიალ, რასაკვირველია! მე მქონდა ალთქმული ჩემის დიპლომის მესაბამი ადგილი, მაგრამ მგონია, ეს ადგილი მიუციათ თქუენის შვილისათვს.

—დიალ, დიალ, ალექსანდრეჯან! ჩემა ისაკმა მოიგდო ქელში კარგი ადგილი! ოჰ, ალექსანდრეჯან! ჩემი ისაკი რა კარგი შვილია! რა კარგი ნასწავლია! რა კარგი ჭკვიანია! მაგრამ საჭირო არ არის ჩემგან იმისი ქება; თქუენ როდესაც გაიცნობთ, ნახავთ იმისს ღირსებას!

—დიდად მოსარული ვარ, რომ საქართველოს შვილი ამეთი ჩინებული გამოსულა. თქუენც უნდა მისცეთ იმოდენი ღონისძიება და შემწეობა, რომ თქუენი ისაკი თანდათან წინ წავიდეს და უკან არ დარჩეს!

—თქუენგან არ მიკვირს, კნიაზო ალექსანდრე? როგორ დავიმინებ!.. ნიჭი, სწავლა და სამსახური უნაყოფოთ და უჯილდოოთ არ უნდა დარჩნენ. ოჰ, კნიაზო! რა კარგი გული გქუთ! ყველასთვს კარგი გინდათ! მაგრამ თქუენი ჩამომავლობა ამეთია! არა ჰგვავსართ სხვებსა! ოჰ, ღმერთო! რა მუშერნენი არიან სხუანი! რა ბოროტნი არიან! არავისთვს კეთილი არ უნდათ! მერ-

სთ, რომ ჩემი ისაკ გაბედნიერდა! და რას ანბობენ «არა მამულიანო, რაიცისო, ჯერ ჩინიც არა აქვსო, საიდამ ჩაიგდო ადგილიო, ვინ არისო!» ახა, ღმერთო ჩემო! რა ენ ლუქლებით, რომ ჩუენც ვიყუჩეთ და ისინიცა ბედნიერნი! და თუ ისინი არ არიან ბედნიერნი, უნდა დაიბრალონ თავიანთ ჭკუ-ასა, რომლის რჩევაზე არ დადიან.

— ეე, ჩემო სოლომან ისაკიჩ! შორს წასულ-ხართ, ძლიერ შორს წასულხართ! კაცის მითქმა მოთქმასა არ უნდა აჰყვეთ. კარგსა იქმთ, გავკი-ცხვენ, ცუდისთჳს სომ ჩამოგარჩომენ. ფილოსო-ფოსურათ იცხოვრეთ, ეს იგი ვინც რა უნდა თქუას თქუენზედა, ყურს ნუ უგდებთ, ნუ მის-ცემთ იდგილსა, ნამეცნევით ჭასუსს ნუ მისცემთ.

— რას მიბმანებთ, ემაწვილო! დავჭლერქდები თუ ჩემი დარდი და ნაღველი ენით არ გამოვთქვ და არ შევსჩივლე რომელიმე მართალ კაცსა. მე თქუენ გაცნობ, რომ თქუენ გაქუთ ოლეცა გულის დამაჩჩილებელი ფიქრები, მაგრამ არ გინ-დათ გამოთქმოთ, რადგანც ჰბაძავთ ფილოსოფო-სებსა. მართალიდაც, კნიაზოჯან, თქუენ გცანჯვენ ფიქრები, — სასის შეცყუვლება: ამიტომ საჭიროა გამოსთქუათ, რომ გული მოიოლიანათ მაგიჩეთ.

— თქმით, კარგი ვიცი, არა გამოვარა; ამიტომ

ვარჩიე, არა ვთქვა, გულში მოვინელო მოუ-ნელებელი დარდები.

—იმ მამითქჳენის საფლავს გაფიცებ, მე, როგორათაც თქჳენის სახლის შვილსა და მეგო-ბარსა, გამომიცხადეთ თქჳენი მოუნელებელი და-რდები.

—რახან დამაფიცეთ, მეც კმაყოფილ ვჰყოფ თქჳენს სურვილსა: ოპეკუნებს, გაკეთების მაგი-ერ, ფეხ ქჳეშ გაუთელავთ, გაუნადგურებიათ ჩემი მამული, ყოველი გჳარი სიბილწე, გარყვნილება და ბოროტი დაუთესავთ. თქჳენ დამერწმუნებით, რომ თუ სახლს თავისი პატრონი არა ჰყავს, მოჯამაგირეები კეთილს არ დააყრიან, ეს მაცვივებს მე გულსა... მაგრამ მოვსწყვიტოთ უსიამოვნო ლაპარაკი; დრო არის ვივახშმოთ. ვექსილები თან გახლავსთ?

—ვექსილიკი აქ გახლავს; მაგრამ; თუ თქჳე-ნი ნებაც არის, დარჩეს ისევ თქჳენთან ფული.

—არა. მინდა ვალიდამ ამოვიდე, რომ თავი-სუფალი ვიყო. უვალობისთანა ქჳეყანაზედ კარგი არა არისრა.

—თქჳენი ნებაა! აჲ ვექსილი. ამ ვექსილით, რომელიც მოცემულია 1846 წელსა, ოკდომბრის 18 დღესა, გმართებსთ თქჳენ სამას ოთხმოც და

ორი თუმანი და ორი მანათი; ამისი ოთხის წლის სარგებელი როგორც გნებავთ იანგარიშეთ, თუნდ ორმაურობაზე, ექვსს კაპეიკობაზე.

— როგორც გნებავდესთ, თქვენ იანგარიშეთ; მითხრა ალექსანდრემ.

— ვიანგარიშოთ ექვს კაპეიკობაზე; შედგება სარგებელი: ოთხმოც და თერთმეტი თუმანი, შვ-დი მანათი და ხუთმაყრანასევარი.

ალექსანდრემ იანგარიშა და გადმომითვალა ოთხას სამოც და ცამეტი თუმანი, ცხრა მანათი და ხუთ მაყრანასევარი, ვექსილი დავხიეთ.

ფულის მიღებას შემდეგ, მე რაღაცა მიუხ-დომელ მდგომარეობაში შევედი: თითქოს მიხარო-და კიდეც, თითქოს, მასთანვე, სინიდისი რაღაცა მაყვედრიდა. რომ გამოვსულვიყავ ამ მდგომა-რეობიდამ და მესიამოვნებინა ალექსანდრესთვის, მე გავაგრძელე გაწყვეტილი ლაპარაკი და უთხარ ალექსანდრეს, განუსჯელად, რაც პირველი მომ-ვიდა ფიქრში:

— კნიაზო! ნუკი გეწყინებათ, მაგრამ ერთი მიბძანეთ, თქვენი ჭირიმე!

— ამას მოგახსენებ, რომ ქართველები დაუ-დევნელები ხართ და არა ჰფიქრობთ ხვალისათვის. აა, მაგალითებრ: კურთხეულს მამა თქვენს

ოც~და~ათი თუმანი მაშინვე გადეწყვეტა, ახლა იმისი ვალი ოთხასს სამოც და ცამეტ თუმანს, ცხრა მანათსა და ხუთმეტ სასყიდრსა არ გადასწყვეტდა. ეს ვთქვ, მაშინვე ვიგრძენ უგუნური წინ დაუხედაობა ჩემი, მაგრამ რაღას გავაწყობდი!

—საწყალო ზმანებოდეთ, სოლომან ისაკიჩ! მიიხრა ალექსანდრემ: მე ვალს არ აგიღებ, თუ ავიღებ როგორმე, ოც~და~ათ თუმანსა ხუთასს თუმნამდინ არ გაქცევ. ნუ გვაგონებთ ჩვენ მამებს, რომელთაც მცირედ გული ერთი ასე გარდუქცევიათ: იმათ ჭკუანდათ ათასი მუხსწყნარებელი მიზეზები. მაგრამ მე გკითხავ თქვენ: ქართველის სიმესისაგან რათ გაიქცევი! განა არ არიან ქართველები კეთილ მოქმედებულნი და სულისათვის მსხვერპლნი, და სიმესხი გამხნევნი?!

ეს პასუხი მამაკა ალექსანდრემ ასე გულ დაწყნარებით, ღიმობიერით და მოციქარის სახით, რომ თითქოს სიბრძნე და უკუღმართობა ჩემის სიტყვის მიცემის სრულიად ვერ იგრძნო. მე უდეგილოთ მაგედი სხუა და სხუა გამოძიებებში, რომელნიც იყუნენ საწყენნი, ალექსანდრემ სრულიად არ მიიგრძნობინა ჩემი წინ დაუხედაობა. სწუხდა, განა არა, ალექსანდრეს ყოველი ჩემი სიტყვა;— მე ამას ვამტკიცებ იმით, რომ ყოველს ჩემს

სიცოცხლეში ცოლჩემს კბილებით დაიკმუკნიდა ხოლმე ისი და პაპუჩს მამლეგდა მოკლეთ და ცივათ, თითქოს არ უნდოდა ლაპარაკი;—მაგრამ ცდილობდა არა ეწყენინებინარა ჩემთვის სიცოცხლე თუ საქმით; ცხადათ დავინახე ჩემი უზდელობა, მევინანე, მოვეხვიე ალექსანდრეს და უთხარი:

—კნიაზო ალექსანდრე! მამიტევეთ უკველობე, რაცა გეწყინათ ჩემის უზდელობით. თქვენმა ზრდილობამ გონება მამიყვანა, მამაგონა ზრდილობა რომელიც მიგიღე ოდესმე, ჩემს სიყმაწვილეში, თქვენ სახლში. გაზდილი და ნასწავლი თქვენ დედ-მამის კალთაში და შემდეგ განათლებული ევროპაში, რათ არ იქნები კარგი! ერთი მიბძანეთ, კნიაზო! ევროპაში რათ არის განათლებული, და სხვა ქვეყნები სიბნელეში?

—გახსოვთ ქრისტე რასა ბძანებს სახარებაში? მამიგო ალექსანდრემ: «მე ვარ ნათელი სოფლისა». ნამდვილად ქრისტე განანათლებს ევროპასა და სხვა მხარეთაცა, სადაცა მისი სახარება არის კარგათ შეღვანებული ყოვლის მოქმედებისა. ფრანცია მცირე ფეხს გადადგა ქრისტეს სახარებისა და ჩავარდა სიბნელეში, რომლის გამო მისცა საშინელი არეულობა, და როდესაც ამის შემდგომ ფრანცია ცხადათ მოვიდა სახარებასა, ისევ განათლდა.—მე

ეს პასუხი მოგახსენეთ თქუჱნს კითხვაზე; ახლა თქუჱნ მიბძანეთ: რა მიზეზია ქებისა, რომელიც მე შემომასხით?

—მიზეზი! მიზეზი ეს არის, რომ თქუჱნში გხედავ ღირსებასა, რომელიც არ მამიმლიან არ გამოვიქო.

—რო სცდებოდეთ?

—მე არა ვცდები... მაგრამ, რა მაგ სიტყუჳს პასუხია, მოდი, ჯნიაზო, სეალ დროება ერთათ გავატაროთ ჩუენან ჩუჱნებურათ, ქალაქურათ.

—რა დროს?

—სადილით. თქუჱნმა სიცოცხლემ, ალექსან-დრე, გაწყევ თქუჱნთჳსა მაქეს წვეულება; მსურს დავიახლოვოთ გავაცნო ჩუმი სახლი და ცოლშვილი.

—დიდად გმადლობ, სიხარულით გიახლებით. მსოლოთ ნება მიბოძეთ ერთი რამ გკითხო!

—მიბძანეთ, თქუჱნი ჭირიმე!

თქუჱნ იცნობთ თავადს ამირან არაგველის მჳ-ლსა და იმისს სახლობასა?

—დიაღ ვიცნობ, დაახლოვებით ვიცნობ, თუ-ცნებვსთ იმათაც მოვიწვევ. თქუჱნმა სიცოცხლემ ესლავე გიახლებით, დავპატიჟებ. —რიგდენი საათია— ვნახო!... შჳდია.. მაშ იქაც მოვასწრობ, თეატრშიაც.

—ამაღამ თქუჱნ იქნებით თეატრში?

— დიაღ.
— თქუენი სახლობაცა?
— დიაღ.
— მაშ იქ გაგიცნობ თქუენ სახლობასა.
— დიდათ დამავალებთ.
— უთუოთ.
— მშვიდობით.
— მშვიდობით.

## XIII

დანიშნულ დროს, ესე იგი, რვა საათის ნასევარზედ მივედი თეატრში ჩემის ცოლშვილით, თეატრი იყო სავსე ხალხით. უნდა მოგახსენოთ, რომ მესამე ყოფნა იყო ჩუენი თეატრში და ასე დიდხანს არ დაგვიგვიანია, როგორც ახლა. მიზეზი ვიყავ მე, რადგანაც გვიან დავბრუნდი. ქნიაზ არაგველიშვილის სახლიდამ (ჩემ ცოლშვილს, — ვარდო ისაკისა, რომელიც არის დისწული დედისა და დის, — თეატრის გზა ჯერ კარგა ვერ დაესწავლიათ, რომ უჩემოთ წასულიყვნენ.) ამ მცირედის შეცთომისათვის მე გადამხდა სასჯელი. სოფიო და თამარ ერთის საათის წინ მომზადებულ-

იყვნენ და მე მოუთმენლათ მომელოდნენ: როდე-საც დავიგვიანე, მოუთმენლობა თურმე გაუცხო-ველდ; დარბოდნენ, გამორბოდნენ, მოსამსახურეები დაფაცურდნენ ჩემს საშველად; ხან თურმე ერთის ფანჯრიდამ იხედებოდნენ ქუჩაში, ხან მეორე ფან-ჯრიდამ, რომ დაენახა იმათ მე მომავალი. —იმათ ჰგონებოდათ ვითომც ლოთ გადასყოლიყო, ნახევა-რი წამომდგარიყო გამოვბებულიყო; თამარს ეტყობა მოგვარი, ანუ რომ თავები დაწყობილიყა ცუდმოლისვით. როდესაც მე მივედი მან, უცებ მომეგებნენ დედა და ქალი სამზარეულოს წვრილ-ვო-გილით, იჯდის უბედურება რომ მეცხვედრდა. შეხვევის ქალმა ქალი მინახე, რომ მიდიოდი და ისელი,—რომელიც ცისსიერების ქისამი არ მიმოლოთ ბრძანებ გავიჯრე მისთვის ჩემთვის, მიწერილებს დავგონებდეთ. მე ჩემის მსოოთ ლიმილით და გულდამშვიდებით გამწიერებული, რომ ჯერ არ იყო ლოთ წამოდგენის. მაგრამ, არ იქნა, ვერ დავამშვიდე; ქალი ჯერ მამოწმოდა, ალარ ამოიღებს წამოხვის თაფლით; მერე იმას თუ-თონზე მოიბრუნა გული და პატივცემით ვუქონდა ტკბილის ფიცრობისკენ.—აქედამ სჩანს, რომ სიმდიდრე ჭირდება ნებიერობისა და სიამოვნის იმათში; რო-მელთაც თვითონ არ მოუყვიათ.

სწორე უნდა მოგახსენოთ, მე თეატრი ხოლოდ არ მეპიტნავებოდა, რადგანაც არა გამეგებოდარა არც იტალიურ ოპერებისა და არცა მუზიკისა. მე მხოლოდ დავიარებოდი თეატრში გასაცილებლად და პატრონით ჩემის ცოლ-შვილისა, რომელნიც ყოველთვის მიემეროდნის თეატრს, — და ნამეტნავად იმ ღამეს უთუოდ უნდა ვყოფილიყავით თეატრში, რადგანაც რა ნაცნობიც იქ იქნებოდა, მაგრამ ჩემ ცოლ-შვილს რა მოიწონდეს თეატრში? — დაგარწმუნებთ, რომ სხვა არარა მოიწონდეს, გარდა უცხოურ ამპარტავნობისა; იმათ ერთი მხოლოდ აზრი ჰქონდათ: ეჩვენებინათ საზოგადოებისა, რომ ისინიც აქა ვართო; ისე აღარ ახსოვდით, რადგანი სიტყვა ესმოდა თეატრში წამსვლელისა! გამიგონია, თეატრი დიდი სასწავლებელი თურმე არის; ყოველს პიესაში წარმოადგენენ თურმე კაცის რომელიმე შეცთომილებისა და ნაკლებობისა, კეთილის და ბოროტ მხარეს. აქ უნდა გული და გონება აღვსნის მაყურებელთა და გაიგოს აზრი და მიზეზები მოქმედებისა. ნამეტნავად არ უნდა დაკარგოს არც ერთი ადგილი მღერისა და მუზიკისა, რომელიცა დაატკბობს გონებათა და დაარბილებს გულსა; გარდა ამისა თვით საზოგადოება მაყურებელთა ჰკრავს რასმე ასწა-

ველის კაცსა!.... ახლა ვიფიქროთ ჩუჱნთჳს: რა-ლ კელი მაქუს მე თეატრში, თუ არარას დავინახავ, არ გავიგებ, არ გავიცნობ და არ ვისწავლი!—აგერ რაოდენ წელიწადია რაც ჩემი მეუღლე დაიარება თეატრში და მრავალჯერ უნახავს იმას ოპერა: Сивильскій цирюльникъ (სევილიელი დალაქი): ჰკითხეთ:—თვითონაც დალაქის ქალია—რასათჳს სევილიელი დალაქი, მასხარებულ კაცსა, მოწამლვის მაგიერ, საპნით მოუსაპნისთქო პირი სახესა? დავარწმუნებთ, პასუხს ვერ მოგვცემთ... მაგრამ მე ავცდი ჩემს საგანსა.

ჩუჱნ ვჱქირა ლოჟა მახლობლად სამეფო-ლოჟისა.

ჩემი თამარ სხუაზე გადამეტებულათ იყო მორთული. ბრილიანტის ქინძისთავები ებნია ოქრომკედით ნაკერს, ალისფერ სავერდზე, თავსაკრავში; ყურები, ყელი, გული და მაჯები მოეკაზმა ძვირფასს ბრილიანტის საყურებით, ფერმუარით; ქინძის თავით, ბრილიანტებით, ოქროს მილანქრიან საათით და მარგალიტის მეწკვთა. ორივე კელის თითებზე ასხსა მრავალი ბრილიანტისა და ფირუზის ბეჭდები, რომლებზე ფერჩაცკები ვერ ჩაეცა და ამისათჳს მიმკელი კელები შავ ელასის კაბაზე უჩნდა მაკათ; ალისფერ ოქრომკედით

ნაკერი ლენცის ფულისპირი და სარცელი და იმაზე ძვირი ფასის სასლები უფრო დაამშვენებდნენ ჩემს თამარს, თუ რომ, ბეჭდების მაგიერ, სულმოდა თეთრი ზედ-გამოწყობილი ფერწაცვები. თამარ იჯდა მაუმრავათ გაშეშებული, მხოლოთ სან და სან ქვლებით გაიწოდებდა სოლმე კავებსაგნცებ, მეგონია, რომ დაენახსა იმისი ბრილიანცები.

იმ ღამეს თამაშობდნენ ნორმასა.

ხუთიოდე მინუტი ვისხედით ჩუმათ, და ვმინჯავდით ლოჟებში მსხდომარეთა. მერე მე მოვსწყვიტე მდუმარება და სასიხარულო ახალ ამბავად უთხარ ქალებსა:

— იცით ქალებო ახალი ამბავი? — ალექსანდრე რაინდიძე იქნება ამაღამ თეატრში.

თამარს შეუბროწავდა ლოყები.

— აბა რომელია თქვენი მოწონებული ალექსანდრე რაინდიძე, მკითხა თამარმა მინაზღვებულის ხმით და ცუჩის წყვით.

— ჯერ არ მოსულა; მეც იმას გავთვალიერებ; ისაკი კი აქ არის.

— შენი ჭირიმე, სოლომან ისაკიჩჯან, — გვიჩვენე ალექსანდრე რაინდიძე, როდესაც მოვიდეს, მითხრა ჩემმა მეუღლემ.

— ბატონი ხარ. მაგრამ თვითონ ალექსანდრე

გვნახავს აქ და გავიცნობით.

მე გავიმეტე თვალები რომ დახამხამებაში არ ამეცდინა მამასახლი რაინდები.

ამ დროს მე შევნიშნე რამდენიმე ყმაწვილკაცები, ჩუჩნებურები, რომელნიც იმსხდნენ პირველ კრესლების რიგობაზე და წამ-და-წამ მიიხედნენ და გამობრუნდნენ უკან, და რას არიგებდნენ არ ვიცი, მეკი იმათმა ურიგო ქცევამ გული გამისივა ჯავრით...

ზარი დაწკარუნდა და რაწამსაც მამოვიდა. მცირე ხანს შემდგა ისე კარებში. თვალი გადაავლო ლოჟებს, დამეჯგუფდა ... ერთ ლოჟისა, რომელშიაც იმსხდნენ არისტოკრატის სახლობა, და მერე, როდესაც მეორე დაწკარუნდა ზარი, დასჯდა პირველ რიგობაში.

— აჰ, აჰ, რაინდიმე ქალებო! უთხარ მე ჩემ ცოლშვილსა.

— აბა, აბა, რომელი? მეკითხეს დედა და ასულმა ერთის ხმით.

— აგერ, კარებში რო დგას.

— იჰ-ჰ-ჰ, იჰ ჰ ჰ! აბა კარგი ყმაწვილი კაცი ეგა ყოფილა! მართლა სიფათით: შენ ნუ მამიკუნებო, ... [illegible] ... აქვს რა რაინდებს; ჯდომა კარგი განზდილი

უნდა იყოს. სოლომონ ისაკიჩჯან! შენ სახელს გენაცვალე ნუ დაივიწყებ შენს ალოქმასა — ჩემი თამარი მართე როგორც უნდა დავიჯდეს.

თამარს გულმა ცემა დაუწყო.

— შენს მზეს ვფიცავ, სოფიო! ჩემი საფიქრებელი ეგ არის; უნდა ვეცადო, თუ ბედიც არის.

— ბედი!!! — წაიბუტბუტა თამარმა ცუჩ აწევით.....

პირველ მოქმედებაში ერთს აკტრისას და ორს მგოსნის — აკტიორს საზოგადოებამ ტაშის კვრით მოუწონა მღერა. მერე კიდევ აკტრისამ დაიწყო მღერა; მთელი საზოგადოება, — ასე გაშინჯეთ რაიოოკმაც, — გაჩუმდა და დაუწყო ტურეტა საკუთრად აკტრისასა, ასე რომ არავინ მცირე-ოდენ გვერდზე არ მიიხედა. ეს ღრმა სიჩუმე მაგალე ნიშნად მისა, რომ აკტრისა იმღერიდა სამაგალითოთ კარგა, და რადგანაც მე იქამომდე ტაში არ დამეკრა არავისთვის, უცებ — იმ დროს, როდესაც ყველას ყური უნდა დაეგდო — ავტეხე ტაშის კვრა და თან ხმა მაღლა მეკვრიალე: ბრავო! ბრავო! ბრავო! ვისსსს... ჯერ ისევ გაბარცყუნებდი კელებითა და გლრიალებდი, რომ მთელმა საზოგადოებამ აკტრისას თავი დაანება, მამომხედა მე და მაჩუმებდა; ყველა მიბძანებდა: «სუოო»!...

არ შემიძლიან აღვწერო რაც მე იმ საათს დამემართა! მომივიდა სირცხვილის ღიმილი, თავ-პირი ამენთო, ოფლში გავიწურე, თავ-ბრუ დამესხა, გონებამ დაკეცი,—ის ღამე და საათი ჯერაც არ დამვიწყებია.—ყველასი ჯავრი ამოვიყარე აკუ-რისაზე, რომელიც ჩემს გულში მრავალი ცუდი გვადრე. ღმერთო ჩემო! რა ცოდვის კიისვა იყო ჩემი! ერთი არავინ ამყვა, რომ ეგების დამფა-რიდა უადგილო ყვირილი და ტაშის ცემა! რამდენ-ჯერ მომსდარა, რომ რაიოკში უკანასკნელს კინ-ტუას ატუქსია, დროსა და უდროოს ტაშის კვრა და დაუსრულებია ვენერალს; მეკი ყველანი მარ-ცოთ მარცო დამიცევა, გამაცრუვა და შამარც-ხვინა!...

პირუწლი მოქმედება გათავდა. ამომეჭრა ჩემი ისაკ, რომელმაც გულს მოსულმა მაშხილა უდ-გილო ტაშის კვრა... მე რალა სხვდის გაცხოვ-ლება მეჭირებოდა!!

ისაკიც დავითხოვე, სხვდასაც დავსმლიე და მო-ვემზადე რაინდიმის მისალმებად: მაგრამ სად იყო რაინდიმე! არ ამოვიდა ჩუწნთან. დაუწყო-ლოქიდამ თუალები მებნა, არც თავისს ადგილს იყო, პირ და პირ გავიხედე, ერთიც ვნახოთ ჩუწ-ნი ალექსანდრე ემუსაიფება არავეგლი მკლის

ქალსა!... დასწყევლოს ღმერთმა ეშმაკი! ისე რათ მეწყინა! ჩემი სოფიო და ნამეცნავათ თამარ ხომ დაიხოცნენ!...

მერმე ანტრაკტში ჩუენ იმედი სრულიად აღარ გვქონდა ალექსანდრეს ამოსვლისა, ვისხედით ნაღვლიანათ და პირ დაკეტილნი. უცებ შამოვიდა რაინდიმე. ღუთის წყალობა თქუენ ცაქუთ, ჩუენ სიხარულით აგივსენით, აღდგომის დღე დაგვადგა!

— აა, სოლომონ ისაკიჩ! მშვიდობა თქუენი ნახვა! მითხრა რაინდიმემ და ჴელი ჩამომართო.

არ ვიცი სიხარულისაგან მამივიდა, თუ სალს-ში გამოუსვლელობისაგან, ჴელიკი ჩამოვართვ ალექსანდრეს, მაგრამ ხმა ვერ ამოვიღე. გაშეშდი, დავმუნჯდი და ვერ გავაცან ჩემი ცოლი-შვილი.

— თქუენი სახლობანი ბმანეებიან. მკითხა ალექ-სანდრემ სწრაფათ, თჳთონ მიმისვდა ჩემს მოუხ-დომლობას.

— დიაღ, გახლავან!

— გახლავარ ალექსანდრე რაინდიმე, მსურდა თქუენი გაცნობა, ვეძებდი შემთხვევას, და დიდად ვმადლობ სოლომონ ისაკიჩს, რომ ეს შემთხვევა მამცა, უთხრა მეცირედის და ნარნარის თავის მოდ-რეკით ალექსანდრემ ჩემ ცოლშვილს.

სოფიო და თამარ ფეხზე იდგნენ გაშეშებულნი და მუნჯათ. ბოლოს ალექსანდრეს თხოვნით დასხდნენ სკამზედ.

— ხომ მშვლობით ბმანდებით, კნიაზო? უთხრა ჩემმა მეუღლემ ალექსანდრეს.

თავათ ჩემის ურიგოს ქცევით პირუწლ მოქმედებაში გულში ვიყავ დაჭრილი, ახლაღა ჩემის მეუღლის უჩუნურის მოკითხვამ უფრო დამიწყლულა გული! რა დამემართა იმ ღამეს! რაღა სუემ მე დამიწყო დევნა! რაღა ჩემზედ მოიცალა შეუბრალებელმა სუემ! ჩუენთჳსა გსთქუათ, რა მოკითხვა არის: «ხომ მშვლობით ბმანდებით კნიაზო», რომელიცა ჯერ არსად არ ესმა და ის იყო გაიცნო სოფიომ. ამ გვარად უნდა მოიკითხონ მხოლოთ ისი, ვინცა ყოველთჳს ავათმყოფობს, ანუ განთავისუფლებულა ავათმყოფობისაგან, ანუ აღშფოთებულცხოვრებაშია....

ალექსანდრემ სუბუქად თავი დაუკრა და მაშინვე დაიწყო ლაპარაკი, რადგანაც ჩუენ ყველას ენა ჩავვივარდა მუცელში.

— კარგი ოპერაა ნორმა, მუზიკა ხომ საუცხოვოა!

— მე არ მამწონს არც მუზიკა, არც ნორმა, თქუა სოფიომ. ქალები გაჰკივიან როცა მალი და

ლონე აქუსთ, კაცები ღრიალებენ უმსგავსოდ; მუზიკისას ვერას გაიგებს კაცი რას უკრავს: ხან ერთი უკრავს, ხან ორმოცნი, ხან სწყვეტენ, ხან აურევენ — გული გაწყალეს! მე მამწონს მხოლოდ საზოგადოება, თჳთან თეატრი, აკტიორებისა და აკტრისების ჩაცმა.

„ვაჲ მე! ეს რა ღმერთი გამიწყრა! ვთქჳ მე ჩემს გულში, როდესაც სოფიომ ბოდვა დაიწყო. ხან თვალით, ხან წარბით ვანიშნე რომ დაჩუმებულიყო, მაგრამ სოფიომ ენა ამოიდგა და აღარ დააყენა. იმოდენი არ იცოდა, რომ რახან ალექსანდრეს მოსწონდა ოპერაცა, მუზიკაცა, იმასაც აღარ უნდა დაეწუნებინა.

მაგრამ ალექსანდრე არ შეკრთა, და რომ პირ და პირ წინააღმდეგის სიტყჳს მიცემით არ ეწყენინებინა სოფიოსთჳს, მიუბრუნდა თამარს კითხჳთ:

— თუ არც თქუენ მოგწონსთ ნორმა და მისი მუზიკა, მაშ დავეთანხმები თქუენს მშობელსა.

— მე მამწონს, — მიუგო თამარმა ხმით, თითქოს კატა კნავისო.

— ახ! ქართული სიმღერა რა დამატკბობელია! განაგრძო სოფიომ: რა სასიამოვნო არის!

— თანახმა ვარ. ქართული სიმღერა დიდ სა-

სიამოვნოა; მაგრამ ჩვენი უბედურება ეს არის, რომ იშვათად ვინმე სწავლობს, უპასუხა ალექსანდრემ.

ამ დროს რავდენიმე პირის თხოვნით მუზიკანტების უფროსთა — აი ყოველთვის ჯოხს რო იქნევს — დაუკრა სკრიპკაზე რაღაც.

— ამას რაღას აბზულებენ, წამოიყვირა სოფიომ კასკასით, რომელიც კარგა ხანს არ გაათავა. თამარიც აჰყვა დედასა.

— მშვენიერად უკრავს, სოლომან ისაკიჩ! მითხრა ალექსანდრემ: გაგიგონიათ ბულბულის სტვენა? აბა ყური დაუგდეთ! თითქოს ბულბული არ უსტვენს!

ალექსანდრემ თავი დაღუნა, ყური დაუგდო და მაშინ აიხედა, როდესაც დაჩუმდა სკრიპკა.

ალექსანდრეს ჩაგონებით მე ყური დაუგდე — ალექსანდრე არა სტყუოდა....

## XIV

სოლოლაკზე მე ვიყიდე დიდი ორ-ეტაჟიანი სახლი, რომელიც საუცხოვოთ მოვაწყე და მოვრთე. ერთი ნახევარი ამ სახლისა — სამი ოთახი და

და ორი ზალა — გავმართე ევროპიის გემოვნება-ზედ, მეორე ნახევარი ჩუენებურათ — ქართულათ არის დავიმურე რა, რომ სახლი ყოფილიყო დიდ მდიდრულათ შემკული. ძლიერი ფული დავღუპე!

ძლიერი ფული დავღუპე, მაგრამ, როგორა-თაც ცერცვ კედელზედ, ჩემს გულს, არ ეკარე-ბოდა, არც გადაკრული ძვრფასს მებელზე ხავერ-დი, ხავერდების ფარდები კარებებზე და ფანჯრებ-ზე, არცა უმრავლესი ვერცხლეული და სხვა მრა-ვალი სამკაული, ამიტომ, მგონია, რომ სული არა მქონდა მომართული ისე, რომ ესურვა მას სიმშვენიერე სამკაულისა. ყოველივე რაც იპოე-ბოდა ჩუენ სახლში იყო ჩინებული და იშვიათი, მაგრამ მე მოვრთე სახლი არა ჩემის გემოვნებით, არამედ მიხედულობით და იმ აზრით, რომ სხუა-ზედ მდიდრულათ მქონებოდა სახლი მორთული. იქნება არასფერში არ იპოებოდა გემოვნება, გარ-და სიმდიდრისა. მე ვფიქრობდი სიმშვენიერე წარმოდგებოდა მხოლოთ ძვრ_ფასს ნივთისაგან, რასაკვრველია თუთ ძვრ_ფასი ნივთი იქნება გე-მოვნებით შემკული, მაგრამ ნივთმა რომ არ დაჰკარგოს თავისი სიმშვენიერე, კაცმა უნდა იცოდეს სად დასდვას ისი და როგორ მოისმაროს. სიტყუთ მე არ ვიყავ დაბადებული, რომ ცრფია-

ლებით მესურვა ყოველივე მშჳენიერება, და ეს მშჳენიერება ყოფილიყო სული ჩემის სიცოცხლისა. ნუ გიკჳრსთ.

მართალია, გული კაცისა მიელტჳს ყოველს მას, რაცკი არის უდიდესი და დიდ მშჳენიერი. ეს ის არის, რომ კაცი მიელტჳს თავისს პირუწლ მდგომარეობასა — დიდებასა და ნეტარებასა — რომელიც მას დაუკარგავს. ეს მილტოლვა ცრიალებს გულში და კაცო უმეცრის ნაწილში, გარეგნად სრულიად არა სჩანს — ღამა ხუროია, სხუა და სხუა მიზეზების გამო; მაგრამ არიან გუამნი, რომელნიც ვერ დაიცხევენ გულში ამ გრძნობასა, ალიმგრიან მისკენ და მიელტჳან უკეთესობას, განცხრომას, დიდებას, ყოველს მშჳენიერებას; — ამის გამო დაიბადა განმშჳენიერებული ხელოვნება, და სწავლა, სიტყუიერება, გამოვნება, ზდილობა და სხ.

დასასრული ამათი მოქმედებისა ერთია — დიდება და ბედნიერება; მაგრამ იმათი ღონისძიებები, არჩეულნი მიწდომად ამ დასასრულისა, არიან სხუა და სხუანი. ესრეთი გარჩევა, რასაკჳრველია, წარმოსდგება იმათ სულის სხუა და სხუა მდგომარეობისაგან:

ერთის გრძნობისა და მდგომარეობისა ძნელად თუ მიიღებს სრულის ძალით მეორე. შეიძლება

შეიყუარო რომელიმე ჩინებული ქმნილება კაცისა, მაგრამ ამ კაცის გრძნობასა, იმისს სულსა მე ვერ ჩავიდგამ. ვხედავ კაცსა, რომელიც სცხოვრებს და იცომს გემოვნებით; მამწონს იმისი გემოვნება, შემიძლიან მივბაძო კიდეცა, მაგრამ გულს არ აქვს მოზიდულება განავითაროს ჩემში გემოვნება. ერთს უყუარს დიდკაცობის დიდება და ელტვის მას, მზათ არის მოიხმაროს ყოველი გუარი ღონის‿ძიება, რომ გადიდკაცდეს; მაგრამ მე ამ გუარი დიდება არც მიყვარს, არცა მსურს. მე მსურს აა როგორი დიდება. რომ ჩემზედ მდიდარი ქჳწყანათაზედ არავინ იყოს, მაგრამ მეორეს ჰკვრს ჩემი სურვილი.

იქნება მკითხონ, თუ ჩემი გული ცრფიალებით არ ისურვებს ყოველს მშვენიერებას, მაშ როგორღა საუცხოვოთ მოვაწყე და მოვრთე სახლი ევროპიის გემოვნებაზედ?...

აა პასუხი. ევროპიული გემოვნება მე მეყურება, ვისაც სახლი მომართული აქვს ისე, როგორათაც ევროპიელთ აქვსთ სახლები მორთული ესე იგი, კრესლებითა, სკამებითა, დივნებითა, სტოლებითა, სარკებითა და სხ. სიტყუაცა საუცხოვო ვიხმარე ამიტომ, რომ, როგორც ზევით ვთქვი, ყოველივე ნივთი იყო ძჳრფასი. ძჳრ‿ფასი

ნივთები განკითარებულმა გემოვნებამ კი არ ამარჩევინა. ჩვენმა გულის მიზიდულობამკი არ მამაწონა, ჩვენის გულის სასიამოვნოთკი არ ვიყიდე, არა, მე ვიყიდე მოდაში ნივთები ამიტომ, რომ ყველას ეთქო მოდაშიაო. ამიტომაც კიდევ, რომ ჩვენმა ცოლმა და შვილებმა მალე დამაცვანეს.

იქნება მკითხველმა ისურვოს აუწერო, რომელის გემოვნებითაც მქონდა მე საუცხოვო მოწყობილი და მორთული სახლი ევროპიის გემოვნებაზე. მამიტევეთ ჩემო საყვარელო! მე თქვენს სურვილს ვერ აღვასრულებ, რადგანაც გემოვნებისა არა გამეგებარა.

მაგრამ, უკაცრავოთ. მე თქვენ მოგახსენებთ ორს მაგალითს, შესახებ თქვენის კითხვისა, და იქნება მიხვდეთ რასაც ეძიებთ. პატრეტელი ევროპიულად მორთული ოთახები მე მქონდა დაკეტილი და არავისთვის არ გავაღებდი, მანამ მეჯლიში არ მექნებოდა. მეორე დღეს შემდეგ წინა თავში აღწერილის სცენისა, მე მქონდა წვეულება, და ამიტომ დილით გავაღე ოთახები; სხვა ურიგობისთან, რომელსაც აქ არ აღვწერ, სავერდის ფარდებს დასდებოდა მტვერი, რომელსაც არ მივაქციე ყურადღება, მაგრამ ერთმა სტუმარმა (ნათესავმა) არ მამხილა. მერე, წვეულებისგამო ჩემი

თამარ მოირთო, იმას ეცვა მუქი ფირისფერი გლა-სის კაბა, ყვითელ ლენტის, ოქრომკედით ნაკერის, გულის პირით და სარტყელით, ნაკერი ალისფერ ატლასზედ თავსაკრავი მამოქრა და ალის ფერი კობი ჩაედო; ისევ ის ბრილიანტები, მარგალიტი და ოქრო გაეკეთებინა, რომელნიც ჰქონდა თვა-ცრში; ფეხებზე ჩაეცვა თეთრი ფეხსაცმლები მო-დიდონო, ადვილად ჩასაცმელი და გასახდელი. რომ არ მეგონოდო, ჩემის ქალის სამკაული, რომელიც ზედ ჰქონდა იმ დღეს, ღირდა ორასს თუმნათ, მაგრამ არაფრის მქონის ცოლმა მე-ნიშნა, რომ ჩემ თამარს ვერ მოესამებინა ტანი-სამოსი.

განვაგრძელოთ ახლა ჩვენი ისტორია.

მოიწია სადილობის დრო, და მოწვეულნი სტუმრები მოიკრიბნენ, გარდა რაინდისა, რომელ-მაც დაიგვიანა.—სტუმრების მომასვლის დროს მე მეგონიმცა იმათ სახეზე პირ მოთმინება, მგელოთ, გარდა არაფერი მქონის ცოლი მქონისა, უფრმურათ და თითქოს უნებურათ მემოძლორეს, მოალერსა, ზოგმა ქმარიც მომასხა, ზოგმა დამლოცა, მაგრამ ცხადად ვეცნობდით, რომ ამას იქმოდნენ დაძალ-სულობით.

ქალები — სტუმრები მეტიერ იყვნენ დარიგულნი.

ამათში ერჩევოდა არაგვლი შვლის თვრამეტის წლის ქალი, სახელი მისი ელენე, არ იყო, როგორც იცყვან, კალმით ნახატი მშვენიერი, არ უბრწყინვალებდნენ ბრილიანტები, მაგრამ ელენემ დასჩაგრა ყველანი, იმასთან ყველა დაბნელდა. პირუწლში უსიამოვნოთ შეიქნენ ყველანი, ნახეს რა თავიანთი დამჩაგრავი, შემდეგომში კი, როდესაც ნახეს ელენეში ზრდილობა, თავისუფალი მიხვრა-მოხვრა, ტკბილი და ალერსიანი სიტყვა-პასუხი, კეთილი გული, ამასთან ქალი ფაქიზი, ლამაზი, თვითქმის უნაკლულო და გემოვნებით ჩაცმული ასე მაიყვარეს, რომ ერთმა ქალთაგანმა მითხრა: «ეს ქალი (ელენე) რო ჩაიყლაპებოდეს, შენს სადილს აღარ ვინდომებდი და მაგას ჩავყლაპავდი, ასე მამიყვარდაო.»

ჩემი სოფიო აიმრიზა და მრუდის თვალით მიყურებდა, ელენეს მოპატრიტიქებისათვის; თამარ ხომ აილანძა და დაიკარგა ამიერ სოფლიდამ. ვერც ელენეს იმასთან მუსაიფობამ, ვერც სახანდოებამ ვერ დაამშვდეს საცოდავი თამარ.

—მოვიდა რაინდიძეცა.

რაინდიძემ ჯერ ერთობრივ ყველას თავი დაუკრა, მერე ჴელი ჩამოართო ჩემს მეუღლეს და ბოდიში მოიხადა დაგვიანებისათვის; მერმე მოუბ-

რუნდა თამარს, ჴელი ჩამოართო, მოიკითხა და მაშინ თავი დაანება, როდესაც მობეზრდა თამარის სიჩუმითა; უკანასკნელ მივიდა ელენესთან. ორივეს ლოყები შეუბროწავდათ.

— მე თქუენ გემდური, უთხრა ღიმილით ელენეს ალექსანდრემ

— მეც თქუენ გემდური, უპასუხა ელენემ, ევროპიულ ღიმილით.

— თქუენ რათ მემდურით? ჰკითხა ალექსანდრემ.

— ჯერ თქუენ მიბძანეთ, რათ მემდურით?

— მოგახსენებ, ჩემს ვიზიტს არ მოუცადეთ. როგორც აღმითქვით.

— თქუენმა სიცოცხლემ, სამის ნახევრობამდინ გელოდენით, ამაზედ მეტი ლოდინი აღარ შეიძლებოდა, ამიტომ რომ შევაწუხებდით სოლომონ ისაკიჩსა და იმისს სტუმრებსა.

— ახლა თქუენი რიგია. მიბძანეთ, რათ მემდურით? ჰკითხა ალექსანდრემ.

— ამიტომ რომ თქუენ მე მემდურით, ნეტავი ჩემზედ მკრი გული არავინ იქონიოს!

— მამიტევეთ, მამიტევეთ! მე ვარ თქუენთან დამნაშავე. შევრიგდეთ...

— ალექსანდრე ესუმრებოდა ელენეს და ეს სუ-

მრობა ყველას იამა, ყველას მოეწონა.
თამარ გაბუვდა.

ამის შემდეგომ ალექსანდრე ადგა და გვერდით მოუჯდა თამარსა. სოფიოს და თამარს, თჳთონ მეცა, სიამოვნება გამოეხატა სახეზედ. —

— მოხარული ვარ, — უთხრა ალექსანდრემ თამარსა: მოხარული ვარ, რომ ევროპიის განათლება გადმოვიდა საქართველოში, რომ ყველა ელტვის განათლებასა; ამასთან უფრო მოხარული ვარ, რომ ჩვენი ძველი დებულება და ჩვეულება, მაგალითებრ ქართული ქალის ჩაცმა და თასურვა მცირედ ვისმე გადუგდიათ. აქ მცირედის გარდა სხვანი ამტკიცებენ, რომ იმათ აქვსთ მამაპაპის თჳთ_მდგომარე ხასიათი, აქვსთ ამპარტავნება დაიცვან თვისთი საკუთარი ჩაცმა და სურვა, რომ ქვეყანამ ყოველთვის გვიყუროს და იცოდეს: ყროსელ ჩვენც ვიყავით და კიდევაც ვართ.»

ალექსანდრე ელაპარაკებოდა თამარს დაბლის ხმით, ასე რომ სხვათ არ ესმოდათ. საწყალმა თამარმა ტუჩები ძლივ გახსნა და ორიოდე სიტყვით გამოსთქვა თავისი სიყვარული ქალის ქართულ ტანისამოსისა. ცუდ მდგომარეობაში იყო ჩემი თამარ. თუ გავამხელებულიყო იმათი ლაპარაკი, ჩემი მტერი, რაც დღე თამარს დაადგე-

ბოდა! მაგრამ დედამ უშველა.

—სომ მშვდობით ბძანდებით, კნიაზო! შეჰ-ყვრა უცებ სოფიომ.

—რას მიბძანებთ თქუჱნი ჭირიმე? ჰკითხა ალექსანდრემ სოფიოს.

—თქუჱნ მოგახსენებ, სომ მშვდობით ბძან-დებით? მიუგო სოფიომ...

«აი, აი, აი!» ვთქვ, თითქოს მეხდაცემულმა და გამოვედ მეორე ოთახში, რომ აღარ გამეგონა სოფიოს მესამე მოკითხვა. გონებას რო მო-ვედი, შემეშინდა, სოფიოს უგუნური ლაპარაკი არ გაეგრძელებინა, და მივიწვე სტუმრები სტოლზედ.

ალექსანდრემ მაშინვე უთავაზა თავისი მარჯუჱნა მკლავი თამარსა, მარცხენა ელენეს და მკლავ-მკლავში გაყრილნი შეიყვანა ზალაში, სადაცა იდგა სტოლი, დაჯდა და აქით იქით შემოისხა. ქალები დასხდნენ ერთ მხარეს, ვაჟ-კაცნი მეორე მხარეს. ალექსანდრე სუფრაზედ ემსახურებოდა და დროს ატარებინებდა ორთავე თავის ქალებს—ელე-ნეს და თამარს.

—კნიაზჯან! უთხრა ალექსანდრეს ერთმა სტუ-მართაგანმა—არაქელ ნიკიტიჩმა; კნიაზჯან, ეგ რა ჰქენ, რომ შენ ორი გვრიტი აქით-იქით შე-მოისხი, ჩუჱნკი ცალკე ობლებსავით დაგვსხი;

განა ჩუენკი არ გვიამება გვრიტებში ჯდომა და იმათი ღუღუნი!

—აქ თავის-უფლება და თანასწორობა უნდა იყოს, უპასუხა ალექსანდრემ: ვინ დაგიშალათ გვრიტებთან ჯდომა!

მაშ, კნიაზჯან! რახან თავისუფლება და თანასწორობა უნდა იყოს აქა, მოდი ერთი, შენი ჭირიმე, ქეიფი გავწიოთ. ის რომელი ფილოსოფოსი იყო ქეიფი და განცხრომა რომ ჰყვარებია?

—ეპიკური

—აი ნამდვილი ბრძენი ისა ყოფილა. მაგრამ არც თქუენ ბძანებულხარ ნაკლები.... იეი, ნოე ნუნუას მიუჯდა, წყალი პირუტყვს მიანებაო მღერით თქო არაქელ ნიკიტიჩმა და დაასხა სამს სტაქანზედ ღვინო, თეფშზე დაწყო და შეჰყვირა:

—ყმაწვილებო! სმენა იყოს და გაგონება:

არაქელ ნიკიტიჩ. ყველანი ქალების გარდა გაიმეორებენ არაქელ ნიკიტიჩის სიტყუებს.

| | |
|---|---|
| ზა ზდაროვიე. | ზა ზდაროვიე, |
| ზა ზდაროვიე. | ზა ზდაროვიე, |
| ნაშემუ, | ნაშემუ, |
| ნაშემუ, | ნაშემუ, |
| კნიაზუ, | კნიაზუ, |

კნიაზუ,
ალექსანდრუ,
ურააა!!!
ზა ზდაროვიე,
ზა ზდაროვიე.
ნაშემუ,
კნეჲნუ,
ხოროშომუ კნეჲნუ,
ელენუ,
ელენუ,
ელენუ, ურააა!!!
ზა ზდაროვიე,
ნაშემუ,
ნაშემუ,
ნაშემუ,
თამარუ სოლომონიჩუ
ურააა!!! ურააა!!!

კნიაზუ,
ალექსანდრუ,
ურააა!!!
ზა ზდაროვიე,
ზა ზდაროვიე,
ნაშემუ,
კნეჲნუ,
ხოროშომუ კნეჲნუ,
ელენუ,
ელენუ,
ელენუ, ურააა!!!
ზა ზდაროვიე,
ნაშემუ,
ნაშემუ,
ნაშემუ,
თამარუ სოლომონიჩუ
ურააა!!! ურააა!!!

— კნიაზო ალექსანდრე, კნეჲნა ელენე, თამარ სოლომონიჩ, — სამნივე კარგი ვერიცები მეყრილხართ, ღმერთმა გადღეგრძელოსთ! თქვა არაქელ ნიკიტიჩმა და სამი სტაქანი დალია. იმისს მაგალითს მიჰყვნენ დანაშთენნი ვაჟ-კაცნიც.

— კნიაზჯან! (სიმღერით აწყობს არაქელ ნიკიტიჩ) როდეს ვარდს ბულბული შეეტრფოდეს და

გრძნობით ეუბნებოდეს, — მიყუარხარ...ხარ, შენიკი ჭირიმე, კნიაზო ალექსანდრე!..

— არაქელ ნიკიტიჩ! ნება მიბოძე დაგიკოცნო ეგ დაშაქრული ტუჩები! უთხრა ალექსანდრემ.

შენიკი ჭირიმე! მზათ გახლავარ სამსახურში! ალექსანდრემ და არაქელ ნიკიტიჩმა დაჰკოცნეს ერთმანეთსა.

ელენე შეწითლდა.

თამარ ფიქრში იყო წასული, სტუმრები გამხიარულდნენ; საზანდრები გასკდნენ, აღარ ზოგავდნენ ნიჭსა და ცოდნასა, მოვიდნენ გრძნობაში და — იმათის გრძნობით გამოთქმულნი სიტყუები აგიჟებდნენ ყველას, ნამეტნავათ ქალებსა, ელენე და ალექსანდრე ხომ აენთნენ, იწოდნენ.. მხოლოდ თამარ ვერ გამხიარულდა. თუ ალექსანდრე ელაპარაკებოდა, მაშინ კიდევ გადიყრიდა ნაღველსა, და როდესაც ალექსანდრე დაელაპარაკებოდა ელენეს, თამარ ოხრავდა. შებრალებოდა საცოდავი!

სოფიო იყო ნამეტნავათ გულმოსული ელენეზედ და ჩემზე. ელენეზედ — იმიტომ რომ ეჭვ ჰქონდა, არ დაანებებდა ისი ალექსანდრეს თამარს. ჩემზედ — იმიტომ რომ, იმისს ფიქრით, მე რო ელენე არ შემეპატიჟა, ალექსანდრეს მოაწონე-

ბოდა თამარ და მამის სახლი წაგვივიდოდა. მაგ-რამ უსაფუძვლო იყო ესა!

მოთმინებიდამ გამოვიდა დარაჯის ქალი; იმას სწყინდა, ალექსანდრე და ელენე ერთად რად ისხდ-ნენ: მოინდომა იმათი ერთმანეთთან გაშორება. იმისის რჩევით, მე ვთხოვე არაქელ ნიკიტიჩსა, გადეპატიჟებინა მეორე სანს თავისთან ალექსან-დრე. არაქელ ნიკიტიჩმა აასრულა ჩემი თხოვნა, ალექსანდრემ არაქელ ნიკიტიჩისა. მე დავიჭირე ალექსანდრეს ადგილი სუფრის ალებამდის. სოფიო გამხიარულდა, თამარ [illegible]. ელენე დაიჭრა გულში; მხამათ მაყრულ სადილი და სიამოვნება...

XV

..... კაცი უნდა დაბერდეს და არ იცოდეს, რა არის იმისი სასარგებლო, რა არის სანანებელი! რათ მინდა ჭკუა, თუ წინათ არას მოვიფიქრებ, რათ მინდა თვალები, თუ არა რას დავინახავ, არ გავარჩევ! რა ჭკუაში მომივიდა ელენეს მოპატიჟე-ბა, თამართან ახლო მოსმა! აბა, თქვენ ჭი-რიმე, თამარ ელენესთან რა გამოჩნდებოდა! სილა-მაზე იქით გადავსდოთ, მაინც კიდევ ელენე

ზდილობით, სიტყუა პასუხით ძრიელ მაღლა იდგა თამარზე. ელენე გამოსულია საზოგადოებაში, ნასწავლია, ნაკითხია. ელენეს მრავალი მასწავლებელი ჰყოლია, მრავალი კავალერებთან დრო გაუტარებია; ახლა არავისგან არ შეკრთება, ენას ხერწუპ ვერ დაუბამს, გავლაში მუხლები არ მოეკვეთება და ძრადი-ძრუნდეთ არ გაივლის. თამარილა?! რომელს სასწავლებელში გაზარდე? რომელს საზოგადოებაში გამოიყვანე? თექუსმეტის წლისა ციხისუბნის ქოხში, ეშმაკების სადგომში, არ მოჰყარე...

— რა გინდა, დედაკაცო ჩემგან?

— როგორ თუ რა მინდა! ის დრო წავიდა, როდესაც გასაოცარს მოთმინებაში ვყვანდი! როგორ მოვიფიქრებდი, რომ სოლომან შეჯლანუაშვილი, გაქონილი, მიკლეჯილ-მოკლეჯილი, იყოს მილიონის პატრონი! როგორ წარმოვიდგენდი, რომ შენ გქონდა მიწაში დამარხული მილიონი მაშინ, როდესაც მე, შენის სიყუარულით და სათრით, დავეთრეოდი ცისმარე დღეს, — სიცხეში, სიცივეში, ავდარში, — სავაჭროს ვყიდულობდი, ვყიდდი და პურს გაჭმევდი!

— რას იქმოდი.

— არ მოვითმენდი, შენს მზეშ, ენით გამო-

უთქმელს მწუხარებასა. მამან მეგონე შენ უკანასკნელი ღლახაკი, და რომ სიღლახაკისგამო ვნება არა მეყმოსყვიერია. მე ვითმენდი, ვემონებოდი არასფერში არ გაწყენდი. მაგრამ მე მყწლს ვალს არა გთხოვ. მე გთხოვ, უპატრონე შენს ქალს, რომელიც წუხელის მთელი ღამე ოხრავდა და სტიროდა. როგორც თავი ამაღლე, ბოლოც ისე გაადევნე. ჩვენ არც ვიცნობდით რაინდიმესა, არც ფიქრში მოგვსვლია იმასთან დამოყვრება. ნულარ იგვიანებ, ახლავ შეუდეგ საქმესა!

—ეჰე—ჰე! აგრე სწრაფათ ვინ მოგცა ჩემზედ უფლება. ქალბატონო! «მომილოცავს, თეიმურაზ პოლიცმეისტერობა!»

—რათ მაშფოთებ! შენმა მზემ, ღმერთის მზემ, თამარს მისცემ რაინდიმესა!»

—ჰა, ჰა, ჰა! როგორ სარ დამტკიცებული მაგ შენს აზრზე?

—როგორა? ფულით აუხვევ თვალებსა. ფული ძლიერია.

—მართალია. მაგრამ ძლიერსა და თუთ მდგომარე ხასიათსა ფული ვერ აუხვევს თვალებსა.

—როგორ იცი, რომ რაინდიმე თუთ მდგომარე ხასიათისა არის? როგორ იცი, რომ იმას დღეს ფული არ უჭირს? როგორ იცი, რომ

ფული იმის არ დაუბრმავებს თვალებსა?

—არ ვიცი; მაგრამ, ასეც უნდა ვიფიქროთ.

—მაშ ხომ უნდა გამოვსცადოთ, ვეცადნეთ!

—დიალ, დიალ, ჩემო! მაგრამ რომ არ მოხდეს, რასაც ჩვენ განვიგულებთ?

—შეუძლებელია, დარწმუნებული ვარ!

—მაინც, ვკითხავ, რომ არ მოხდეს?

—მოხდება, თუ ეცდები.

—მე ვეცდები, ისე ვეცდები, როგორც სხვა არავინ ცდილა. მაგრამ, მე მინდა ვიცოდე, რასა იქ, რო არ მოხდეს?

—განა აგრე უიმედოცა ხარ? ცხადია, ფულს ვერ გამოიმეტებ.

ვარწმუნებ, დიდ ძალ ფულს გამოვიმეტებ, მაგრამ რომ არ მოხდეს?

—უნდა მოხდეს, უთუოდ უნდა მოხდეს, გეყურება? მე ხომ უკანონო მჯლისზედ არას გეუბნები, შენს სჯულიერ მჯლზედ გელაპარაკები.

—ვსთქვით, სოფიო,—ნიკო ახსნილობ, გული დაიმშვიდე,—ჩვენი საცხოვრებელი მივეცით თამარს მზითვათ. კეთილი, ახლა ესეც წარმოვიდგინოთ, რომ რაიხდიმეს უყვარდეს სხვა ქალი და ჩვენის საცხოვრებლისგამო თავისს არჩეულს საყვარელს ისი არ გადუდგეს, მაშინ რა უნდა

გქნათ? ამასა გკითხავ.

— შენ რა გაქვს გულში?

— მოგახსენებ. მე ყოველს ღონისძიებას მივიღებ, რომ თამარ შევრთო ალექსანდრეს, და თუ ვინიცობაა, ვერ მივწვდი ჩემს საწადელსა, მაშინ მორის და მშვიდობით! სხვებს მოვძებნი. ცოცხანი არიან ყმაწვილკაცები, განათლებულნი და კარგის ოჯახისშვილნი!

— ისინი თქვენ შეირთეთ! წამოიძახა თამარმა.

ამის გამგონი რაღას ვიქმოდი! გავედ მეორე ოთახში.

მკითხველო, რასაკვირველია, მიხვდება რომ ეს ლაპარაკი იყო მე და ჩემს მეუღლეს შორის.

ამ მტრობისა და უსიამოვნობისა მეორეს მხრით მე ვიყავი მიზეზი. პირველშივე, რა წამს დავინახე რაინდიძე, მაშინვე ეს ყმაწვილი კაცი მე განვიგულე გულში ჩემ სასიძოთ. აკი ღმერთი გამიწყრა და გამოუცხადე ეს აზრი,— ჩემს სამწუხაროთ, ცოლსა და ქალსა! ამათაც გულში დაინერგეს და... მკითხველმა ნახა რაც შედეგობილება ჰქონდა ამას. არ უნდა გამომეცხადა წინათ ჩემი განზრახვა!

«ცუდა ბედის მონაწევრეთო» ნათქვამია. ამ ანდაზაზედ დამყარებულმა, მე უნებლიეთ ერთის

მხრით და ჩემის სურვილითაც მეორეს მხრით, დავაპირე წასვლა მაკრინე ცუხ-მოხეულ-შვილისას.

თუ გნებავსთ, მკითხველო, გაიცნით მაკრინე ცუხ-მოხეულ-შვილისა, მოისმინეთ; მაკრინე დღესაც სუფევს. ის იყო ქალი... და მეუღლე... მაგრამ დარჩეს საიდუმლოდ. აგერ დიდი ხანია რაც დაქვრივდა და ქ ცფილისს ვერ მორჩება, თუმცა ცფილისი მისგან მობეზრებულია. რომელს სახლშიაც შეხვალთ, ის იქ დაგხვდებათ, რომელს ეკკლესიაშიც მიხვალთ, ისიც იქ დაგხვდებათ, მაგრამ, ვაა თქუენი ყურების ბრალი, თუ შეხვდით იმას სადმე!—საგანი იმის ცუხ-მოხეულობისა არის განკიცხვა თქუენი, ჩემი, იმათი, ქუეყნისა. მაგრამ მეორეს მხრით დაუფასებელი სასარგებლო დედაკაციც არის. როგორ? თუ დაეჭირდესთ ფული, მიჰმართეთ მაკრინეს და ორ საათზე მზად იქნება; თუ მოგწონსთ რომელიმე ქალი და გსურსთ მისი შერთვა, ბევრს თავს ნუ იტკენთ, მიბძანდით მაკრინესთან, გამოუცხადეთ თქუენი სურვილი, და, გარწმუნებთ თქუენ, მესამე დღეს დაგაგვირგვინებსთ მღვდელი თქუენს საყუარელთან.

მაკრინე ცუხ-მოხეულ-შვილისას მე დაახლოვებით ვიცნობდი. თუმცა ყურები მქონდა იმისგან დახვეული, მაგრამ ამ ჟამათ უთუოთ უნდა მიმე-

მართა იმისს მჭევრ-მეტყუელებისათჳს.

—ფაეტონი მზათ არის; სად მიხვალ სოლომან ისაკიჩ?—მკითხა სოფრომ, რომელიც უცებ შემოვიდა ჩემ ოთახში მორთული, ფერხსაცმებ ჩაცმული და მახვილაში გახუჭული.

—მე მივალ მაკრინე ცუჩ-მოსეულ-შვილისას, რომელიც მინდა მიუგზავნო შუამავლათ ალექსანდრეს; იმაზედ უკეთესს ვილას მიუგზავნით! შენ სადღა მიხდიხარ.

—კარგა ვიფიქრია, სოლომან ისაკიჩ! მაგრამ, რაც უნდა იყოს, შენ იმდენი არ შეგიძლიან ამ საქმეში, როგორათაც მე. ამასთან, სად ერთის თქმა, სად ორისა! სად ერთის ჭკუა, სად ორისა!

—შენც აპირებ წამოსვლასა?

—სწორეთ.

—ვირჩევ არ წამოხვიდე.

—რაცთომ?

—დამიშლი.

—ნუ სწუხარ.

—ჩუჵნ მაგიერ მამაშენი რო ყოფილიყო, ალარაფრის საწუხარი არ მექნებოდა. მაგრამ, შენ....

—მეც მამიჩემის შვილი ვარ. მენდე.

—ბევრს კისრულობ, შენი ნება იყოს.

—სოლომან ისაკიჩ! სოლომან ისაკიჩ! მოგვილოცავს!

—მოგვილოცავს, სოლომან ისაკიჩ!

—გაგიბედნიეროს!

—ბედნიერი იყოს!

ამ ღაღადით შემომეხვივნენ მრავალნი მცნობნი, რომელსაც ჩამოვიარე ჩემის მეუღლით თეატრის წინ. ფაეტონი დავაყენებინე.

—რას მილოცავთ, ყმაწვილებო?—ვკითხე მე.

—ღმერთმა გაგიბედნიეროს, სოლომან ისაკიჩ! მოხარულნი ვართ, ჭეშმარიტად!—მითხრეს მცნობთა.

—რას მიბძანებთ, ყმაწვილებო! რას მილოცავთ, გამომიცხადეთ!

—ქალის დანიშვნასა.

—ვისზედ? როდის?—განკვირვებით ვკითხე მე მცნობებს და პირ-ღია დავიწყე.

—გუშინ დაეინიშნავსთ რაინდიმეზე.

—სიცრუე მოეხსენებიათ, თქვენმა სიცოცხლემ! ვინ მოგახსენათ?

—მთელი ქალაქია და ეს ამბავი!

—მართლა მიბძანებთ?

—ეს არის, ახალ ამბავად გვითხრა ალექსი კერპაძემ!

—იმისგან როგორ რა დაიჯერება. განა არ იცნობთ კერპამეს, რაც კაცია!...

ეს ძორი ასე ვეწყინა მე და ჩემს მეუღლეს, რომ მკჳდრებს თურმე დავემსგავსენით.

რადგანც კერპამე უცებ შამოვიდა მომქმედ პირად ამ ჩუენს ამბავში, ამიტომ მეც მოგახსენებთ იმისს ვინაობას.

კერპამე რა გვარის კაცი იყო, ან რა ხარისხისა, არ ვიცი..პირუწლიში ეჩუენებოდა სახეს დარბაისელ კაცად; ამიტომ ყველამ კარი გაუღო. მაგრამ მსწრაფთათ გამოიჩინა მოუთმენელი და შეუსაბამო ხასიათები. სხუა საქმე არა ჰქონდა, გარდა ორისა: დილით ადრე დაჰბადევდა რამე სიცრუვეს, ანუ ცილისა რომელიმე ოჯახში, უანბობდა ახალ ანბავდ გახვებ, ევების სადილით დარჩენილიყო. — ამიტომაც იმას დაარქუეს მეტი სახელები: «მეუცელ-ღმერთა, მუჭა-ცუეულა» — ვინა სწყევნიდა ვისმე იმისი ახალი ანბავი, ისი არ შეირცხუენდა. ზოგნი ითმენდნენ იმისს ლირფობას, ზოგნი-ლა იცხოვდნენ სახლიდამ, მაგრამ იმას, როგორაც კედელსა, არ ესმოდა. იყო კერპი; ძალიან ალუბდა კარებსა და შედიოდა იმ სახლში, საცა ავის იამებოდა.

ვანქის უბანში, ვიწრო და დახვლანჯულ ქუ-

ჩემში იდგა ახლად აშენებული ორ-ატაჟიანი სახლი. ზემო ეტაჟში ვიღაცა უცხო მოსამსახურე ავიდა დაბეჭდილის წიგნით. ამ მსახურს ავყევით ციცაბ და ვიწრო კიბეზე და სოფიო.

—... მაკრინე მინ ბძანდება? — შევჰყვირე მე.

— შინ გახლავარ შემობძანდით... აა! თქვენა ხართ, სოლომან ისაკიჩ! აჰ, ჩემო საყვარელო დაო სოფიო! სიდგან! როგორ! რას მივაჩემო!... დაბძანდი, თქვენი ჭირიმე! — ეს არის ახლა მივდიოდი კნეინა ბარბარესთან! დილას მოეწერა წიგნი; მთხოვს, დღეს ერთათ გავატაროთო დრო, აღარ არის მოსვენება, თქვენმა სიცოცხლემ, დიდ კაცობისაგან. ყოველ დღე, ხან ერთი მეპატიჟება, ხან მეორე... ნეტავი კვირაში ერთს დღეს მაძლევენ თავისუფლებას!... უკაცრავოთ, თქვენი ჭირიმე! წიგნი მამივიდა — ვნახოთ რასა მწერენ.

მაკრინემ სათვალები გაიკეთა და წაიკითხა შემდეგი:

... მაკრინე!

«შენი ნათესავი, შენი საქებარი და საყვარელი ალექსანდრე რაინდიძე, რომლითაც თავს იქებ, დანიშნულა სოლომან ისაკიჩ მეჯლანუაშვილის ქალზედ. მამილოცავს. ხა, ხა, ხა!!»

ალექსი კერძაძე.

— ქა! ნიშნობა გქონიათ, ჩემი ნათესავი ყმაწვილი კაცი ალექსანდრე დაგინიშნავთ თამარზე. ჰმ მეკი არ დამპატიჟეთ!? თქვენ ნუ დამხოცებით გადაგასდევინებთ!... მამილოცავს. დიდად მიამა, თქვენმა მზემ! — დაიცადოს იმ სამაგელმა ალექსანდრემ! მე იმას უჩვენებ თამაშას!

— სიცრუეა, ბატონო! ნუ დაიჯერებთ! — ვინა ეწერთ მაგ წიგნსა? ვჰკითხე მე.

— ალექსი კერპაძე.

— სწორეთ, იმისი დაბადებულია ეგ ჭორი.

— რას მიბძანებ! განა დანიშვნა ტყუილია?

— ტყუილი გახლავს, თქვენმა მზემ!

— მაშ რას მიჭქარავს სულელი კერპაძე! იჰ, შეარცხვინა ღმერთმა! მეჭორაობისაგან კელი არ აილო!

— ეგკი ტყუილი გახლავს, მაგრამ ეგ საგანი ჩვენ გულთან ახლოა. იქნება კერპაძეს ენამ უყივლა! იქნება მოხდეს! — უთხრა სოფიომ მაკრინეს.

— რას მიბძანებ, თქვენი ჭირიმე? — ჰკითხა მაკრინემ სოფიოს.

— მე მოგახსენებ, ნეტავი მოხდეს, რომ ალექსანდრემ, თქვენის შეწეობით, შეირთოს ჩემი თამარ!

— ... მაკრინე დაფიქრდა.

—თქუენ მოგმართეთ ამიტომ უფრო, რომ თქუენი ნათესავია ალექსანდრე, პატივი გვცესო.

—ნათესავი როგორ არ არის! იმისი დედის ბებია და მამიდა ჩემი ბიძაშვილები ყოფილან.. ბატონი ბძანდებით!... მაგრამ ცოტა ეჭუმიტა ვარ. იმას მეონია, თუალი უჭირავს ერთ ქალზედ.. მაგრამ ეს არაფერია. ალექსანდრეს უყვარს დაუჭერ და საითაც მინდა იქით წავიყვან. — მზითევი რა აქვს ქალსა?

—ხუთასის თუმნიდამ დაიწყეთ, ათასს თუმნამდინ ადით; ხუთასის თუმნისასაც მივცემ სამკაულსა და სხ. მიუგე მე.

—მე სწორეთ მოგახსენებ... მაკრინე,—უთხრა სოფიომ: სამიათასი თუმანი ფულით, ათასის თუმნისა მზითევი; თქუენი გასამრჯელოც ასი თუმანი.

—არა, როგორც მოგახსენე, ხუთასის თუმნიდამ დაიწყეთ, ადით ათასს თუმნამდინ.

—მაგ მზითვით ალექსანდრე არ მაირთავს.

—ხუთასიც სხუა დაუმატეთ.

—ამას (ჩემზედ უჩუენა) უყვარს ნუ უგდებო, თქუა სოფიომ: სამიათასი და ათასი თუმანი, ასი თუმანიც თქუენთჳს—გადაწყვეტილია.

—ჰო, სოლომან ისაკიჩ! მითხრა მაკრინემ: გამოიმეცვე.

—მეც ცოდვა ვარ!

—ნუ სწყინო, მე დალოცვილო! მილიონის პატრონი ხარ! სამი და ოთხი ათასი თუმანი თქუენ-თჳს რა ფულია!

გული მამდიოდა სოფიოზედ. მაგრამ რაღას ვიქმოდი, თანხმა შევიქენ.

—იმედი მაქუს ამ ერთ კჳრაზე გაარიგოთ საქმე.

—თქუენი ჭირიმე, რაღას ვეხვეწოთ! უთხა-რით მე და სოფიომ ერთის ხმით.

—ვეცდებით, უთუოდ ვეცდები.

—საიდუმლოთ იყოს ეს საქმე!—უთხარ მე მაკრინეს დარეჯით.

—რასაკჳრველია!

—ამასთან თქუენის მხრით ურჩიეთ ალექსან-დრეს. ჩუენ, ვითომც არა ვიცით, ნუ გამო-გუაჩენთ.

—აბა, რასაკჳრველია? ეგ ხომ აგრე იქნება!

—პასუხს როდის მაგიცყობთ?—ჰკითხა სო-ფიომ მაკრინეს.

—მე შეგატყობინებთ.... მშჳდობით!...

—რაზე დამღუპე და დამანელე!—უთხარ მე

მრისხანებით სოფიოს, — როდესაც ჩავსხედით ფაეტონში: მაგისთჳს წამოხვედი?

— სწორეთ, მაგისთჳს წამოვედი! ალექსანდრეს თუალები აეხვივა მხოლოთ, ფულით, ბლომა ფულით.

— ნეტავი თამარ გაბედნიერდეს და. ეჰ! შჳლს ხომ ვერ უღალატებ! მითამ ოთხი ათასი თუმანი არა მქონია!..

## XVI

იმ დღის საღამოს, როდესაც კერპამემ ურცხვათ მოჰფინა ჭორი მთელს ქალაქში რაინდი-შის დანიშვნაზე, თავად არაგველი შჳლის ცოლსა და ქალსა (თჳთან ამირან არაგველი შჳლი იყო იმ დროს დაღისტანში, სამსახურის გამო) სტუმრათ სწვევოდნენ: კნეინა ეფემია V, კნეინა სალომე V, და კნეინა ხორეშან V. ეს სამნი და მეუღლე არაგველი შჳლისა — ქეთევან იარალაშს თამაშობდნენ. ელენე იჯდა საშუალ ქეთევანისა და ხორეშანისა, სტოლის კუთხისკენ, მაგრამ ვერ იყო დამშჳდებული, თჳთქოს ვიღასაც მოელოდა; მოუთმენლობით ხშირად ხოლმე ადგებოდა და დაჯდებოდა

ხან გაივლიდა და გამოივლიდა, მცირედ რისამე გაფაჩუნებაზეც უკვე წამოხტებოდა და თვალი კარებისაკენ დარჩებოდა, და თუ ქუჩის კარებს დაარახუნებდა ვინმე, ეხლავე მამიკო უბძანებდა მოსამსახურეს კარი გაეღო. ელენეს მოუთმენლობას მამა და დედა, სოფიკოც ვერას მიხვდნენ, რადგანაც იყვნენ ქაღალდში გართულნი.

— თქუენმა სიცოცხლემ, ქეთევან! ვერ გამოსვედი კარგა, უთხრა სოლომონმა: ჩემი მასწავაკი გამოვიცვალე, პაკს უნდა ჩამოსულიყავით.

— არა, თქუენმა სიცოცხლემ, — უპასუხა ქეთევანმა: მე პაკი ძალიან მძაგს, და ამოვდივარ რომელი მასწავლიც უფრო მიყვარს — ბუბნისა.

— რა პასუხია, თქვენი ჭირიმე! სიყვარულით ხომ არ არის მასწავლის არჩევა; ვარწმუნებთ ვერ მოვიგებით.

— როგორ ბძანდებით დარწმუნებული, რომ ამ საათს წითელი არ აჯობებს შავსა?

— ვარწმუნებ, სრულიად არ გცოდნიათ თამაშობა. მოგვიგებენ! მოგვიგებენ!...

— ვარწმუნებ, ვერ მოიგებენ.

— ქალო, რას მიბძანებთ! ოთხი ლევი კიდეც აიყუანეს; ანიოლებიც ამათ ექნებათ, როგორც ვხედავ, ერთის გარდა, რომელიც მე მაქვს.

—რისზედ მეცა ველარ აიღებენ, რისივე ტუ-ზებიც ჩვენი; აჰ, თუ არა გჯერათ; ეს ერთი ბუბნი, ეს მესამე.. ბოლომდის სულ ბუბნი!

ხორეშანს ეთაკილა, რომ ვერ მიუხვდა ქეთე-ვანსა და თუმცა მეორეს მხრით იმა მოეწონაცა, მაგრამ მაინც კიდევ საჭიროთ დაინახა, ლაპარაკი გადმეტანა სხვა საგანზედ

—დღეს ერთი ამბავი ხომ არ მოგეხსენებიათ, ქალებო!

—რომელი ამბავი?—ჰკითხეს ერთათ ქალებმა.

—ჩვენი რაინდიმე ხომ დაინიშნულა.

—ეგ მეც მაგიცყეე,—სთქვა ეფემიამ ცივათ.

—მე დილასვე მაგიცყეე,—წამოიძახა სალომემ და მოიჭმუხნა პირისახე.

ვინ მოგახსენათ, ქალო ეფემია?—ჰკითხა ხო-რეშანმა.

—კერპამემ.

—მეც კერპამემ მითხრა,—თქვა სალომემ, და თავი გაიქნია, თვითქოს ეზიზღა რაღაცა—

—მეც, შენ ნუ მამიკუდები, სალომემ უთხრა ხორეშანსა.

—ეს კერპამე ძალიან კარგი გამოვიდა!—თქვა ეფემიამ: რასაცკი წაიკითხავს, ანუ გაიგონებს, შეუძლებელია ერთ საათს არ მოჰფინოს მთელ

ქალაქში! მე იმისთვს დამირქმევია—ტელეგრაფი.

—სახელს ნუ უკეთებთ, დედა-შვილობას! უპასუხა ხორეშანმა: რაც დაერქო, დაერქო! «მუქა-ცუილა, მუცელ-ღმერთაა ზედ გამოჭრილია ეს სახელები...

როდესაც ეს სამნი ქალნი ასე გულგრილათ ლაპარაკობდნენ რაინდამის დანიშვნაზედ, ქეთევანის და ელენეს გულში აიგზნო ცეცხლი. ამ ახალ ამბავისგამო, დედა და ქალი გახდნენ, როგორათაც ტყვით გულში დაჭრილი კაცი! ამათი კიდევ ბედი, რომ სტუმრები იყვნენ გართულნი ლაპარაკში და ვერ შენიშნეს იმათი საცოდაობა ქეთევანისა და, ნამეტნავათ, ელენესი, რომელსაც თავბრუ დაესხა და გულმა ლოხვა დაუწყო. ამ მდგომარეობაში იყვნენ რამდენიმე წამს, და, თუ გაგრძელებულიყო ეს მდგომარეობა ერთს, ანუ ორ წამს, სტუმრები მიხვდებოდნენ, და—ასლა დაიჭრებოდა იმათი თავისმოყვარეობა!

თავის მოყვარეობამ უშველა იმათ: გამხნევდნენ და გონებას მოვიდნენ. ქეთევანმა, კბილების კანკალით, ქაღალდი დაარიგა, ელენემ ხელი განზე-აიცყესა, კოლცახოლცი პირზედ მიიტანა და გავიდა სხვა ოთახში, რომელიც მიენიდამ ბაკეცა...

როდესაც ელენე გავიდა, ქეთევანს ეწვნენ

ყმაწვილებო: ლუარსაბ... თეიმურაზ... სიმონ... ელიაზარ... თორნიკე... და რევაზ...

— ჩემს ბიძა-შვილს სოლომანს ვახლავარ! — უთხრა ლუარსაბმა ირონიით სოლომანსა: სოლომან! ცოცხით მორბედი, მაგრამ ისევ ლამაზებსა სჯობიხარ. — ქეთევან, მშვენიერთა ხელმწიფეო! შენ თუნდა დაბერდე, ისევ და ისევ ეგ იქნები! — აჰ! ჩემო სალომე! დღეს მურაბა გამოცეცხვანა, იმაზედ კიდევ უკეთესი იქნებოდი, რომ... ახ, ჩემო ეფემია რამ დაგბადა აგეთი...!

სხვანიცა ყმაწვილები, თუმცა ცდილობდნენ, რომ ჩვენებოდნენ სერიოზულათ, მაგრამ თვალიცა უკივებდა იმათ ცეცხლზე ლიმილსა და ვერ იფუქნენ ჩურჩულებრივ თამაშნი.

— კიდევ და კიდევ ცელქი ხარ, ლუარსაბ! — უთხრა სოლომანმა: იქნება, ყმაწვილო, უცხოსთანაც აგეთი ცელქი იყო!

— ამხანაურთან ამხანაური ვარ, დარბაისელ გლეხთან დარბაისელი გლეხი ვარ, უცხოსთან ბრძენი ვარ, შინაურებთან — როგორც თქვენთან თამამი ვარ, სიტყვით და საქმით არავის ვაწყენ; ასე ვარ დაბადებული! უცხო ადგილს რო ვხახო, საწმუნო უნდა ბმანებოდე, იქ შენს სილამაზეს არ ვაქებ.

— შენ ნუ მამიკვდები, ლუარსაბ! თუ ნამდვილად აგეთი ხარ, წმინდა მამა იქნები, — უთხრა სალომემ.

— რა მაგ სიტყვას პასუხია, და — სად არის ჩემი ლამაზი ცელქი? — იკითხა ლუარსაბმა.

— ეს არის ეხლა გავიდა, — უპასუხა ქეთევანმა ეშმულოთ.

— მართლა, გაიგეთ, ქალებო, ახალი ამბავი?

— ვიცით, ვიცით, ნუ შეწუხდებით, ვიცით! — წამოიყვირა ხორეშანმა დიდ-გულად.

ქეთევანს ფერმა გადაჰკრა.

რაინდიმის დანიშვნა?

— დიალ, დიალ! დილასვე გავიგე.

— რა სიტუტუცე მოსვლია, ალექსანდრეს! მზითევი, არ ვიცი, რა მიუციათ, ქალიკი ცუდი რამ არის, თქვენისა სიცოცხლეს! და იმ სულელმა როგორ უნდა გარიოს თქვენში იმისთანა უმზ-გავსი!

— უი, ჩემს სიცოცხლეს! ეგ რა მითხარი! განა მართლა ცუდია? — ჰკითხა ხორეშანმა.

ბატონისარ აგიწერ; მაგრამ — რაღა აგიწერო! შენის თუალით მალე ნახავ. — ნუ, ნუ, ნუ, პიკს ნუ ჩასვამ, უთხრა ლუარსაბმა ხორეშანს; გადადი ჩერვს... აბა, კნეინა ქეთევან — ჩერვები — სულ

თქუჱნია!.. ბამლადონიმ ქეთევან!.. ..

—ამალამ, რა დამართებიათ ქაღალდებს! მე სულ ჰიკები მამდის, ქეთევანსკი ბუბნები და ჩერვები! თქვა სორემანმა.

—ლუარსაბ! დრო გაატარე ჩემ მაგიერ!—სთხოვა ქეთევანმა.

—ბატონი ბძანდებით!

ქეთევან გავიდა ქალთან. ქეთევან იყო ძლიერ მოწყენილი.

—მე გაცყობთ, ემწვლებო! დღეს ექვსნივე ერთათ ყოფილხართ. სად იყავით?—ჰკითხა სორემანმა, და გადახედა ემაწვლებსა გამომცდელის თუალით.

—ოჰ, ღმერთო ჩემო! ამ ქალებისთანა... თუ ყველა არ გაიგეს, თუ ახალი ანბავი წამს და წამს არ შაიტყეს, ვინ იცის რა დაემართებათ! საიდამ წარმოსდგება ეს სულმოკლეობა, იცი, ბებრუცანა?—უსაქმობისაგან! ოჯახისაგან ცელი აგილია, და ქალაქში იარალამს თამამობ. უსაქმო კაცი ლობე-ყურეს ეძებს.

—რა არის ლუარსაბჯან! ჩუჱნც ადამიანის შვლებივართ, გვინდა ვიცხოვროთ ქუჱყანათაზედ, გვინდა ვიცოდეთ სად რა მოხდება, ვინ როგორ არის.

— რასაც გსურს, მოგახსენებ: დღეს კარგი ჭკუა მოუვიდა ამ ყმაწვილებსა. ამიტყუდნენ და წამიყვანეს კლუბში. ყველამ ვითამაშეთ ქაღალდი და, აჰ, მოიხსენეთ, თუ თქუენს ყურებს ეკლათ არ მოხვდება: ამ შენმა ძმისწულმა თონიკემ წააგო სტოლში სამოცდა-ათი თუმანი, რომელიც პრიკაზისათვის ჩამოიტანა და ცარიელი დაბძანდა; თეიმურაზმა წააგო ლანცკნეცში ოცდა ისუთმეტი თუმანი და, მერონია ხვალ აპირებს წასვლას სოფელში, რომ კიდევ ჩამოიტანოს; ხიმონამ ითამაშა ნარდი და წააგო ოცდა ათი თუმანი, პრიკაზისთვის ჩამოტანილი; ელიაზარმა წააგო სტოლში ორმოცდა-ათი თუმანი, რევაზმა მოიპარცია ჩუღუნ ვარდა ათიოდე სხუა მექონ ხორა კაცი და ათი თუმანი გადიხადა.

— შენ რაღა წააგე? — ჰკითხა ლუარსაბს ხორეშანმა.

— მე მოვიგე ოთხი მანათი და შვიდი შაური იარალისში. მე მხოლოდ თუ ფული წავაგე ქაღალდში, და თუ წავაგე, ხუთმანეთზე ზევით, პრაშჩაი!..

— შენ ჩემო თავო! რასახით მეწყინა! — აქმო, თონიკეჯან, გაკოცო!... გულში ხომ დარდათ არა გაქუს!... დალ, აერე, თონიკეჯან: ფიქრშიაც ნუ გაიკარებ!... უთხრა ხორეშანმა თონიკეს

ასეთის ალერსით და სიტკბოებით, რომ თვითქის ეუბნებოდა: წადი და კიდევ ითამაშეო.

ქალები მაინც უფრო ნარნარის გულისანი არიან! გული აგრძნობინებს იმათ, რომ მცირედით და მხეცებრივის ცნობით ყმაწვილკაცს არ უნდა ამხილონ შეცთომა, არც მისცენ დარიგება. გამოცდილებით ვიცით, რამდენსაც დასცდენს, სწევნი ყმაწვილკაცსა, რომ მოამულევინონ ურიგო ყოფაქცევა, უფრო და უფრო მკვიდრდება და შეემსჭვალება მას, რასაც ეძლო, მანამ თვითონ არ შეიგნებს და არ დაინახავს თავისის ყოფაქცევის ურიგობასა. შეიძლება დარიგება გადაკვრით, იგავით, დაცინვით. ანუ სოკრატის მზგავსისა. ამიტომ მე ვერ გავამტყუნებ სოფიასა, რომ ასე ალერსიანად მოექცა თინიკეს: იმისი ერთი მოხვევნა, ამასთან ამოოხვრა, ჩემს აზრით, უფრო მეტიერია ყოველს დარიგებაზედ და დატუქსვაზედ. იქნება იმ ქალმა თინიკემ ვერ იგრძნო, ანუ არ უნდოდა ეგრძნო მამიდის ბრძნული დარიგება, მაგრამ შეუძლებელია იმისი გულმტკივნეული ოხვრა და ალერსი ოდესმე არ მოაგონდეს და — ვინ იცის იქნება მაშინ ოჯალებიც ყოვლისოს! ..

ქეთევან დაბრუნდა დაღონებული და ფერ მიხდილი; არ იქნებოდა არ გამოსულიყო, რადგანც

სტუმრები უიმისოთ მარტონი იყვნენ. ყველანი მისცვივდნენ ქეთევანს, ჰკითხეს მიზეზი ჯერ მი-სდილებისა და ელენეს გამოუსვლელობისა. ქეთევანმა დაარწმუნა სტუმრები რომ სურდოთი იყვნენ უქეიფოთ და სხვა მიზეზი არა ჰქონდათრა. თჳთ საქმითკი დედაცა, ქალიცა იყვნენ ავათ ელდისაგან.

მართლადაც ცუდ მდგომარეობაში იყო ელენე. პირუწყლი, თხუთმეტ მინუტამდინ იყო დივანზედ გადასვენებული, ძლივსღა ფეთქამდა, გული ძლივ ძლივ უცემდა, სულმობრძავს გავანდა. მაგრამ ენერგიამ არ უღალატა ქალსა, მსწრაფლ მოიყვანა ისი გრძნობაში. ელენე წამოჯდა, ელენეს გადმოსცვივდა მდუღარე, მსხვილი ცრემლები და კარგა ხანს აბნია ცრემლი, მანამ გული არ მე-უმსუბუქდა გამოსაცდელობა უხატავდა გონებაში, რომ ალექსანდრე იყო სხვისა; გული ეუბნებოდა ადავობლიდით ალექსანდრეს სიყვარული აღარ მაცოცხლებსო. ქალიც აჰყვა გამოსაცდელებისა და გულს, ოხრავდა, ემინავდა — კინაღამ გაგიჟდა! უთუოთ გაგიჟდებოდა, თუ მრავალი ცრემლი არ დაეღვარა.

„ოჰ, მხსნელო! — შესცქეროდა მაცხოვრის სახსა ელენემ: ოჰ, მხსნელო! რა მწარეა ეს საათი ჩემთჳს! განა ამ საათისთჳს დავიბადე! მაგრამ, მა-

მოცევე ჩემი უგუნური დარდები, უფალო!—ახ, ალექსანდრე, ალექსანდრე! ვინ, ანუ რამ მოგხიბლავა, რამ წაგართო გონება! ფუფლებში?.. შენ ახლა გიხარიან, მე გტირი; შენ ილხენ, მე გული ამევსნო ჯოჯოხეთის ცეცხლით; შენ შესცქერი ახალ ქალს, რომელიც არცა გვერდია, და არც გიყვარს იგი, მეკი შენ მოეფერებოდი და აღარა მყავს სხვა სატრფო ალექსანდრე! მე უწყალო, რას შემართებოდი! გული რად გამიღე და სიყვარულს რად მიჩუქნებდი, გული მე რად გამიღე და სიყვარულის ცეცხლით რად ამივსე! ოჰ, რა სახით მეზიზღები! ნეტავი ერთი თვალით დავინახო, რომ დავხანჯლო, რაინის ხანჯლითკი არა,—რაინა რა საჭიროა!—მე დავხანჯლავ ზიზღის თვალით, რომელიც შენ მოგკლავს, თუ კიდევაც გაქვს გრძნობა და კეთილშობილება!»...

ამ დროს მეორე ოთახში, სადაც იყვნენ სტუმრები, ატყდა რაღაცა ყვირილი. ელენემ ყური დაუგდო, ყვირილი ესმოდა, სიტყვებიკი ვერ გაიგონა. ელენეს ელდა ეცა; ეგონა ქმრისანს გული შეუწუხდა. გაიქცა ქალი! ხან აქეთ კარებს მიგარდა, ხან იქით კარებსა, მაგრამ როდესაც დაფიქრდა და ნახა, რომ ცრემლისაგან ჰქონდა თვალები დაწითლებული და ლოყები დამწვარი, აღარ

გავიდა.

ყვირილის მიზეზი იყო ალექსანდრე რაინდიშე.

რა წამს შეელო კარები რაინდიშემ, ყმაწვლე-ბმა აიტაცეს ვინ ქუდი, ვინ დივნის ბალიში, მიაყარეს ყვირილით:

— მოგვილოცავს! მოგვილოცავს! მოგვილო-ცავს!...

მერე მისცვივდნენ, დაჰკოცნეს, აიტანეს და ჰა-ერში მააგდეს, ყვირილით:

— მოგვილოცავს! მოგვილოცავს! მოგვილო-ცავს!

ქალებიც აჰყვნენ ვაჟებსა და იმათ მზგავსად ჯერ დაჰკოცნეს ალექსანდრეს, მერე ტაშის კვრით გაამეორეს:

— მოგვილოცავს! მოგვილოცავს! მოგვილო-ცავს!

ქეთევანს ეწყინა ალექსანდრეს მიხვლა, ეწყინა ისიც, რომ მიულოცეს. ქეთევანმა მრუდის თუა-ლით მისედა და არ მიულოცა, არც იკადრა ფეხ-ზედ წამოდგომა.

ალექსანდრე გაშტერდა და არ იცოდა რას ულოცავდნენ ასე გულმხურვალედ; ამიტომაც ჰკითხა იმათ:

— ყმაწვლებო! მადლობას მაშინ მოგახსენებთ

მოლოცვისათჳს, რომელსაც გამაგებინებთ რასაც მო-
ლოცავთ.

— მითომც არ იცის რასაც ულოცავთ! მმეო, რას გვიმალავ! ნიშნობა ხომ უჩუმნოთ შეჭამე, ქორწილიც უნდა აგრე შეჭამო! ჩუმნკი ბანს უკან და კარს უკან! ახ, ტი მოშენიკ! — უთხრა ლუარსაბმა.

— ყმაწვილებო! თქუენმა სიცოცხლემ არ მესმის, რას მეუბნებით! რის ნიშნობა, რის ქორწილი, რის ფლავი და ჩლავი!

— თუ არ გესმის, მე გაგაგონებ. აქ მო... (ყურში ჩაჰყვრა ლუარსაბმა) შენ დანიშნულ ხარ; ამას გილოცავთ.

— ღმერთო დამიფარე ჭორისაგან! ეს რა მესმის! — ვიზედ დავინიშნე? როდის დავინიშნე? ვინ გითხრათ?

— ჰა, ჰა, ჰა! — შეჰყვრა ლუარსაბმა: მთელი ქალაქი ლალანებს! — ვის ატყუებ!

— შევრცხვე თუ, გატყუებთ! შემატყობინებთ მაინცა, ვიზედ დავინიშნე?

— სოლომან ისაკიჩ მეჯღანუაშვილის ქალზედ, უთხრეს ერთობრივ ყმაწვილებმა.

— თქუენმა სიცოცხლემ, ყმაწვილებო! გეფიცებით როგორათაც პატიოსანი კაცი, რომ ეგ

ცილია, და განა ეგ არის ჩემზედ შემოწამებული, რომ მამიკლან ეს საცოდავი გული. ვინ გითხრათ ეგ ჭორი?

— კერპაძემ.

— «ვერიდებოდი ბოლოკსაო, დამხუდა ბალის ბოლოსაო.» სულ ვერიდები იმ კაცსა, მაგრამ არ იქნა, ვერასგზით ვერ მოვრჩი. წარმოიდგინეთ, სხუა ვის შაეძლო დაებადა მაგისთანა ცუღლი, თუ არ კერპაძესა! — ოჰ, კერპაძე, კერპაძე! საზოგადოება ხედავს შენში გველსა, მაგრამ კიდევაც ეილოლიებს მაშინ, როდესაც მაუძლიან გაგისრისოს თავი და დაშხამული ენა!

— მამა ნუ წაგიწყმდება, ალექსანდრე, მართალს ანბობ, რომ არ დანიშნულხარ? — ჰკითხა ლუარსაბმა.

— მამაც არ წამიწყმდება, დედაც, ნამდვილ მართალს ვანბობ.

ყველანი დარჩნენ რაღაც გაუსაზღვრებელ მდგომარეობაში, გაჩუმდნენ და მუნჯათ შესჭყურებდნენ ალექსანდრეს; თვთქოს კიდეც ეწყინათ, თვთქოს კიდეც იამათ, რომ გაუცრუვდა ალექსანდრეს დანიშვნა.

ქეთევანმა მოიმხიარულა, მაგრამ იმისი სიხარული ჯერ კიდევ არ იყო სრული, კიდევ ჰქონდა ეჭვ. რასაც ძნელად მოელი, იმას ადვილად ვერ

დაიჯერებ.

— რას გავშეშდით და ხმა ვეღარ ამოგვლია, წამოიყვირა ბოლოს ლუარსაბმა: დავსხდეთ ქალე-ბო, გავაგრძელოთ იარალიში! — საკვირველია, საი-დამ დაბადა კერპამეტ ეს სიცრუვე! რათ დაბადა!.. ჭეშმარიტად სახლში არ არის მესამკები!..

ქალები და ლუარსაბ დასხდნენ და განაგრძეს იარალაში. სიმონ, თეიმურაზ, ელიზბარ, თონიკე და რევაზ გვერდით მოუსხდნენ ქალებს, რომელ-თაც მააქეზებდნენ ზოგი სიმღერით, ზოგი თარით.

ქეთევან ვერ მოშორდა ალექსანდრეს, ვერც გავიდა ქალთან ესაუბრინა სიცრუვე ალექსანდრეს დანიშნისა, თუმცა ეშინოდა, რომ იმისს გასვ-ლის შემდეგომ, რაინდიმეს საიდუმლოთ არ ეთქო სტუმრებისთვის, რომ ხამდევლით იყო. დანიშნული და რომ ეს დაუმალა იმან მხოლოთ ქეთევანსა და ელენესა. ქეთევანს უნდოდა გადეყარა მტანჯვე-ლი ეჭვ და ამიტომაც ისი უყურებდა პატიოსნე-ბით სავსეს ალექსანდრეს გამომცდელის თუალით. სურვილი ქეთევანისა სწრაფად ასრულდა. ალექ-სანდრემ გაიხმო ქეთევან ცალკე, იკითხა ელენე და გაიკვირვა, რომ ელენე ჩუეულებრივ არ მიე-გება იმას პირველი კარებში. ქეთევანმა დაარწ-მუნა ალექსანდრე, ვითომც ელენე იყო სურდო-

სავან უქიფოთ. ყმაწვილკაცი შეწუხდა და მაშინვე გავიდა, ქეთევანის ნება დართო, ელენეს სანახავათ. ქეთევან დარჩა სტუმრებთან.

რაინდიმემ წყნარა დააწკარუნა ოთახის კარი, რომელშიაც იყო, ელენე. კარი გაიღო. ელენემ შეხედა ყმაწვილკაცს ისეთის თვალით, თითქოს ეზიზღა იმისი დანახვა. ალექსანდრე შეწუხდა, შეშფოთდა, დარჩა გაშტერებული შუა ოთახში, ვერც წინ წადგა ფეხი, ვერც კარზე გავიდა. მოთმინებიდამ რო გამოვიდა, ალექსანდრემ უთხრა ელენეს.

—ელენე! ვეღარ მოვცდენივარ! განა აგრე შეგძულდი! განა თქვენგან ეგ იმედი მქონდა! რათ მამიძულეთ? რა დავიშავე ისეთი, რომ ღირსი ვიყო მაგისთანა სიძულვილისა! რათ სტირით? შემატყობინეთ მიზეზი თქვენის მწუხარებისა.

ელენემ ხმა არ გასცა.

—ელენე! ელენე! ხელი მიბოძეთ.

ელენემ ხელი არ მისცა, ამოიოხრა და გულ ხელ დაიკრიბა.

—ელენე! კარგი მამა და დედა ნუ დაგეხოცება, პასუხი მამეცით.

ალექსანდრემ გამოსთქო ეს სიტყვები ისეთის ცრფიალებით, ისეთის გულწრფელობით და შეს-

ბრალისის სახის მეტყუელებით რომ ელენე გამო-
ვიდა ბნელ აზრებიდამ. ელენემ დაუწყო თუალ
დამცქერებით ყურება ალექსანდრეს, გეგონებოდათ
ეუბნებოდა: «სხუაზედ დანიშნული, აქეთის გამ-
ნობით ველარ მოხვდოდი ჩემთანა. არა, შენ და-
ნიშნული არა ხარო». დიაღ, ელენე ცხადად დარ-
წმუნდა, რომ რაინდიმეს არ გაექრო სიყუარული,
რომელიც აუგზნო იმან. ელენეს გულში იცნა
ალექსანდრეს გული, და — ელენეს° მიეცა შეცბა,
ამ საკვირველმა ქალმა იგრძნო თავისი ურიგო
ქცევა, რომ ცუდით თუალის მიხედვით აწყენინა
თავისს საცოდაო ყმაწვილკაცსა, შეწუხდა. შეინანა
და დააპირა ბოდიში მოეხადა, მაგრამ მწარედ
შედეგა, ველარ აასრულა სურვილი. ქალმა იფიქ-
რა, რომ თუალები აცხადებინენ იმასა, რომ რა-
ინდიმე ნამდვილად იყო დანიშნული თამარზე ეს
ბნელი აზრი გადაეფარა ელენეს გონების თუალე-
ბსა და იმან ველარ იცნა ხელმეორეთ ალექსანდ-
რეში თავისი ალექსანდრე. მაშინ ფამწვლმა ქალ-
მა გადმოყარა ცრემლები და გული ველარ და-
იჭირა. ალექსანდრემ არ იცოდა რა ექნა, ასე შე-
უვიწროვდა მწუხარებით გული!

— ელენე! ჩემო ტრედო! გულის რათ მიწყლუ-
ლებთ! შემატყობინეთ თქუენი მწუხარება; იქნება

შეგიძლო გადავიყარო რიცხა გეცანჯავს.

—ოჰ, ალექსანდრე! — უთხრა ელენემ: მე ასეთი ცეცხლი ამეგზნო გულში, რომ თქვენ ალარ შეგიძლიანთ გაანელოთ.

—როგორ თუ ცეცხლი აგეგზნოთ გულში! ეგ რა მიბძანეთ, თქვენი ჭირიმე! რა ცეცხლი უნდა იყოს, რომ არ შეიძლებოდეს განელება!

—ნუ გიკვირსთ! ნამდვილს და მწარეს ჭეშმარიტებას მოგახსენებ.

—ვაჲ მე! — თქვა ალექსანდრემ და შუბლში ჴელი შამოიკრა.

ელენე გაოცებული დარჩა და თჳთქოს გამოფხიზლდა.

—თავში რათ შამოიკარით, უმაწვილო? ეგ რას ნიშნავს? — ჰკითხა განცჳფრებით ელენემ.

—რას მიბძანებთ, ქალო? რალათ მინდა სიცოცხლე, თუ თქვენ აგიცრუვდებათ რამე!

—რათა! ჩემის გულისთჳს რათ გინდათ გაიუბედუროთ თავი! რათ გინდათ გააუბედუროთ თქვენი დანიშნული!

რაინდიძემ ენაზედ კბილი დაიდვა, მიხჳდა ელენეს მწუხარებასა და დაიმშჳდა გული.

—ვინ არის ჩემი დანიშნული? — ჰკითხა ალექსანდრემ.

— თქუჱნ უკეთ გეცოდინებათ.

— არა, მე არ ვიცი.

— როგორ თუ არ იცით! თქუჱნს დანიშნულს თქუჱნ ვერ იცნობთ?

— არ ვიცნობ! თქუჱნს სიცოცხლეს გფიცავ, არ ვიცნობ!

— საკჳრველია!

— არა არისრა საკჳრველი; ამიტომ რომ მე რო ვიყო დანიშნული, მეცოდინება კიდეფაც ჩემი დანიშნული.

— მართალს მიბძანებთ მაგასა? არა ხართ დანიშნული?

— ვიზედ? ვინ მოგახსენათ?

— მე გავიგე.

— ეგ ტყუილი მოგხსენებიათ. მაგრამ ახლაკი აღარ შემიძლიან არ მოგახსენო მართალი: მე ვარ დანიშნული ჩემს გულში ერთს ქალზედ. სხუა იმისს გარდა, ვინც უნდა იყოს, თუნდ ჰქონდეს მილლიონები, ფიქრშიაც არ გამივლია და არც გამივლის.

— მაშ სოლომან ისაკიჩის ქალზედ არახარ დანიშნული?

— დავილალე ელენეჯან ამდენის ფიცით! მიბძანეთ, რასან გსურსთ ჩემი ტანჯუა, როგორ

გნებავსთ დავიფიცო, რომ მე არას დროს გულში არ გამივლია სხვს შერთვა, თქვენს გარდა. მამიტევეთ თუ თქვენი წინაღმდეგია ეს ჩემი სურვილი.

—ალექსანდრე! —თქვა ელენემ ასეთის გრძნობით, ასეთის ტკბილის ხმით, რომ საჭირო არ იყო დაემატებინა იმას დანაშთენი სიტყვებიც: «მიყვარხარ, თანახმა ვარ».

—ოჰ, ელენეჯან! რა ბედნიერი ვარ!

—ალექსანდრე! ახლა გავცოცხლდი! —უთხრა ელენემ და მისცა ჴელი ალექსანდრეს.

ალექსანდრემ დაუკოცნა ელენეს ჴელები. ამათ სიხარულს არა ჰქონდა საზღვარი!

ამ ყმაწვილმა კაცმა და ყმაწვილმა ქალმა მისცეს ერთმანეთს ბეჭდები, და ჴელი ჴელს მოკიდებულნი გავიდნენ სტუმრებთან.

—ქალებო! ყმაწვლებო! წელან ტყუილათ მომილოცეთ (ანუ ის მოლოცვა ამას მოასწავებდა!); ახლა კი მე ნამდვილად დავინიშნე კნეინა ელენეზედ. მამილოცეთ.

—შენკი გენაცვალოს ქეთევან, ალექსანდრეჯან! შეჰკივლა ქეთევანმა. და სიძესა და ქალს დაკოცნა! —კნეინა ხორეშან! ჩემი ბუბნები აბა ამას მოასწავებდნენ, თქვენი პიკები კი წელანდელს ანბავს,

რომელმაც გული მამიკლა!... ... ...

## XVII

. . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . .

## XVIII

ექვსის თთვის შემდეგ, მე და სოფიო, დალონებულები გვერდით უსხედით ავათმყოფს თამარს.

... კარგა ვერ მოგვისდა, სოლმან ისაკიჩქან, ეს სახლი! იჰ, ნეტავი იმ დღეს, როდესაც ჩემი თამარ კარგა მყვანდა!—მიითხრა სოფიომ და ღრმათ ამოიოხრა.

—ნუ სწუხარ, დედიკან! მე კარგა ვიქნები,—უპასუხა ავათმყოფმა თამარმა დედას: აქიმმა დაარწმუნა, ამ ერთ კვრას ლოგინიდამ ადგებაო.

სოფიომ ნუგეში სცა ავათმყოფსა, ლოგინი გაუსწორა, და მერე, თამარმა რომ ჩაიძინა, განაგრძო:

— მე სულ იმაზედ ვფიქრობდი რომ ეს სახლი ვერ მოგვიხდა კარგა. რაც აქ შამოვედით, თჳთ-ქმის ყოველ დღე მწუხარებაში ვართ; ავათმყოფი არ გამოგველია: ჯერ ისაკი გვყვანდა და კინალამ ჴელიდამ გამოგვეცალა, ახლა თამარია, და, ღმერთმა იცის, რა მოგვივა. საკვირველია! ცისისუბნის ქოხში ერთობრივ მთლიანათ ვიყავით: არც სიცივე და სიცხე, არც სიშიშვლე და ნოტიო სახლი, არც შიმშილი და მწყურვალება არას გვავნებდა. აქკი ღმთისწყალობით ყოველივე უხვათ გვაქვს; სახლი ასე არის მორთული და შემკობილი, რომ ჴელმწიფეს ედგომილება; ჭაერი უკეთესია; ნებივრობა, სიამოვნება, სტუმარი, საზანდარი არ გვაკლიან; მოსამსახურები, სულ თავს გვევლებიან; სულიერ მამათაგან კურთხევა ხშირათ მოგვეცემა ხოლმე; არავისგან არა გვქონია. მაგრამ ვეღარ ვისეირეთ! აჰ, მეც მგონია, დავსნეულდი; შენც, სოლომან ისაკიჩ, ველარა ხარ უწინდელსავით მხიარული.

— ნება ღმთისა აღსრულდეს!

— ვენაცვალე ღმერთსა! მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ჩუენ მტრებიც გვყვანან.

— რაზედ ამბობ მაგასა, სოფიო? მტერი რას დაგვაკლებენ?

— შენგან არ მიკვირს, სოლომან ისაკიჩ! მაგას როგორ ანბობ! მტერი ბევრს ვნებას მოგვცემს.

— მეკი ვერა ვხედავ მტერსა, და თუ შენ ხედავ, მე არ ვიცი.

— გამოცხადებულ მტერს ვერც მე ვხედავ; მაგრამ განა არ არიან მტერნი, რომელნიც დაფარულად გვითხრიან ორმოსა?

ამ სიტყვაზედ მომაგონდა ჩემი დაფარული მტრობა, რომლითაც მოვკალ სარქისბეგაშვილი, და მე შევიგენ ეს ბოროტი; ამ ბოროტის სისამაგლისაგან გული დამიწყრულდა, შევშფოთდი; მეორეს მხრით ფიქრშიაც შევედი, რომ სამაგიერო არ გადამხდოდა. შიშისაგან კანკალი დამაწყებინა, ცოტას გაწყდა ჭკუიდან შავიშალე... ამ დროს თამარმა ამოიკვნესა. თამარის კვნესა მოხვდა ჩემს საცოდავს გულს, მეც ამოვიკვნესე და ვიგრძენ, რომ კვნესა იყო შედეგომილება იმ ბოროტისა და საცოდაობისა, რომელშიაც ჩავაგდე უბედური სარქისბეგაშვილი. მე ვცდილობდი განმედევნა ეს ბნელი და მავნებელი ფიქრები, მაგრამ სჯნიდისი მდევნიდა, მამხილებდა ცოდვასა· ერთსა და იგივეს დროს გულს მიქენჯნიდა სჯნიდისი, გონებალა ჩემი დაეძებდა დაფარულ მტრო-

ბსა. უეჭუწლია, ვიფიქრე, რომ მტრობისათვს მტრობა არ გადამხდეს. წარმოვიდგინე თავი ჩემი სარქისბეგაშვილისავით გაკოტრებული, დავრდომილი, უმოწყალეო, ავათმყოფი ცხისხუხნის ქოხში და ელდამ გამიგმირა გული. «ვაა მე!» ვთქვ კვნესით.

სოფიოს ეგონა, რომ თამარისთვს ამოვიკვნესე და იმანაც ამოიოხრა. მეკი ასეთი შიში ჩამივარდა გულში რომ დაფარულ მტრებზე ვფიქრობდი.

—სოფიოჯან! მტრებზე რათ ჩამოაგდე სიტყუა ვკითხე მე; ხომ არავინა გვმტრობს?

—შეუძლებელია, რომ კაცს მტერი არა ჰყავდეს მაგრამ მე არ ვიცი, ვინ უნდა იყოს ჩუენი მტერი.

—გვყავსკი მტერი?

—გვყავს.

—ვინ არის?

—დაფარულია.

—ოჰ, სოფიო! ასს გამოცხადებულ მტრებზე, ერთი დაფარული მტერი უფრო საშიშია. მაგრამ შენ როგორ იცი რომ ჩუენ გვყავს დაფარული მტერი?

—მკითხავმა მითხრა.

—მკითხავმა რა გითხრა? როგორ გითხრა?

როგორ შეიტყო?

—მკითხავმა მითხრა, რომ ამ სახლში ჯადოები არის ჩაფლულნი სხუა და სხუა ადგილას, და ამიტომაც მშვიდობა არ გექნებათო.

—აი! მაგისიკი არ მეშინიან! ჯადო არ არის ქრისტიანთაზე, —ასე გამიგონია, ასე ვარ დარწმუნებული, —და თუ ვინმე აცდუნებს სულსა, რასაკვირველია, სარგებლობისათჳს. წარმოიდგინე, მკითხავებზედ უსაცოდავესი არავინ არის; თუ მაემლოსთ რამ, პირუწყლოდ თავიანთ თავს უშველიან. გადაყარე ეგ ფიქრები!

—მაშ რას მივაწეროთ ჩუენი დაუსრულებელი უბედურობა! რას მივაწეროთ, უცებ რომ დალონდები ლხინში?...

სოფიომ არ იცოდა, რომ ჩუენ გვდევნიდა საცოდაობა სარქისბეგაშვილისა და სხუათა, რომელთაც შევამთხვე მე ბოროტი, და ამიტომ ჩუენის უბედურობის მიზეზად ხადიდა ისი ჯადოსა. არა. მე მდევნიდა ცოდვა, ჩემი მტერი იყო ცოდვა; სხუა მტერი მე არა მყვანდა. ოჰ! —ვთქვ მე გულში: ნეტავი მწყემსად გავზრდილიყავ, სიმდიდრე, პატივი და დიდება არ მქონოდა, და ჩემს გულს არა ჰყოლოდა მტერი —ცოდვაო!...

## XIX

ჩვენი ლაპარაკი მოსწყვიტა ექიმმა, რომელიც სწამლობდა თამარს. — მერყევალი ექვსი თთუე ეს უ. ექიმი სწამლობდა თამარს, ყოველ დღე სხუა-და-სხუა წამლებს წერდა, ყოველ დღე თჳთო თუმანი მიჰქონდა; თამარს იმისს წამლობით არა ეშველარა და იმ დღესაც ისეთი გულახსნილი და პირ-მოღიმარი შემოვიდა. თჳთქოს პირჩვეული მოსვლა იყო იმისი ჩვენს ავათმყოფთან, თჳთქოს იმედი მოჰქონდა ავათმყოფის მორჩენისა.

ჩვეულებრივ ექიმმა მაჯა უსინჯა ავათმყოფსა, მერე გვკითხა.

— გუშინდელზე დღეს როგორ არის?

— სიცხე აქვს გაუნელებელი, ფერდს უტკივებს, ახველებს.

— წუხელის როგორ ეძინა?

— როგორც გულავ.

და ექიმმა აიღო ქაღალდი, მაკეცა, ეარდასია და დააპირა რეცეპტის დაწერა.

— ნუ სწერთ რეცეპტსა! — უთხრა ექიმსა: საკმათ წამალი დალია საწყალმა ავათმყოფმა, და უკეთესობა არ მაეტყო, თან-და-თან სნეულდება

უმღერდება. მე ვხედავ ორიოთ დღეღა დარჩენია საცოდავს. ამ ორიოთ დღეს მაინც ნუღარ დავტანჯავთ წამლებითა!

ექიმმა წამლები დაჰდო და მითხრა:

—მე მადლობელი ვარ, რომ რაც მე უნდა მეთქო თქუენთჳს, თჳთან თქუენა თქჳთ; მე ვერა ვხედავდი გამომეცხადებინა, რომ თქუენი ქალი არ მორჩება. მე ეს დიდი ხანია ვიცი. თქუენი ქალი ჭლერქია.

—ექუსის თთჳს წინ არ იყო ჭლერქი?

—იყო; მე უფრო ვიცი.

—მაშ თუ იცოდით, თქუე დალოცვილო, ქინაქინას როგორღა აძლევდით! ქინაქინა რო არ გეძლიათ, მორჩებოდა უთუოთ, მორჩებოდა!

—მართალია, პირუელში არ უჩნდა სიჭლერქე; ჩუმი ციება მეონა; ამიტომაც ვაძლევდი ქინაქინას.

—ხუთი თთვე ქინაქინა აძლიეთ?

—მაინც არ მორჩებოდა თქუენი ქალი, რომელიც დაჭლერქებულა წყენისავან.

—მით უმეტეს, იმას არ უნდოდა ქინაქინა, არც წამლობა, გართობის მეტი. რათ დამლუპეთ ახლა როგორღა ავადეინო შვილი! იმდენი ხარჯი რათ მომეცით!

— საქმით კანონით, ჩუჱნ ქალსა ვსდებთ ავათმყოფსა სანუკვემოდ, წამალს ვაძლევთ სანუკვემოდ, და არა იმიტომ რომ უთუოთ მოვარჩინოთ.

— ვერაფერი ნუკვეში გასლავს, რომელსაც სიცხის გამოკაფის მაგიერ, სიცხის გასამლიერებელს წამალს აძლევთ.

— მე ახლა საჭირო აღარა ვარ. მშვიდობით!

— მშვიდობით.

და ექიმი წავიდა ისეთის დამშვიდებულის გულით, თვითქოს იმისს ქალით არავის არა ვნებოდა რა, თვითქოს ასს ოთხმოცი თუმანი ჩემგან არ წაეცანა, თვითქოს ვალდებული არ იყო ყოფილიყო შემწე საცოდავის კაცობრიობისა!...

## XX

— იჰ, ნეტავი მიამოს რამე! თქვა თამარმა რომელსაც გამოილევა.

— ბა, თამარჯან, რა გიამება! გვითხარი, შვილო, და ვეცდებით ავასრულოთ, — უთხრა სოფიომ დედობრივის გულმტკივნეულობით.

— ნეტავი იყოს ვინმე უცხო ადამიანი!

— ვინ უფრო გიამება!

—მაკრინე კარგი დედაკაცია; მალიან მიყუარს
—ახლავე გაუგზავნი, შვილო, მაკრინეს ფაეტონსა,—უთხარ მე და გაეგდი ბძანების მისაცემათ.

ამ დროს შემომესმა ხმა დროშკისა, რომელიც დადგა ჩემ სახლთან, და გაიარა ორმა წამმა, რომ დროშკიდამ გადმოხტა თვით მაკრინე ტუჩმოხეულშვილისა, რომელიც მოვიდა თამარის სანახავათ მაკრინეს ნახვა დიდად მიამა, რადგანაც თამარს სწრაფათ აუსრულდა ნატვრა.

—ეს არის... მაკრინე, თქუენთან მინდოდა მეახლებინი ფაეტონი.

—რა ამბავია?—მკითხა განცჳფრებით მაკრინემ.

—თამარმა ისურვა თქუენი ნახვა.

—მამ კარგა მქონიცქჳ. მეც იმისს სანახავათ მოვდივარ.

—მობძანდით, თქუენი ჭირიმე!...

თამარს დიდად იამა მაკრინეს ნახვა, ასე იამა, რომ ტუჩებზედ სიამოვნების ლიმილი გამოესახა.

—რასა იქ, თამარჯან! როგორახარ!... გამხნევდი!, . როგორ მეპარება!.. ემწვლი ქალი ხარ!... სნეულობას აგრე როგორ უნდა დაუვარდე!... წამალს კიდევ ხომ?... ჰკითხა მაკრინემ ტროფიალებით.

—გუშინ და დღეს არ დამილევია, და ვერმ-

ნობ უკეთესობას. — ოჰ, რა მიამა თქუენი ნახვა!

— შენმა სიცოცხლემ, ქალო, გული გაქუს დასურული! შენი წამალი არის სიამოვნება, გართობა. აფთიაქის წამლები რა კეთილს დაგაყრის!

— აფთიაქის წამლებს ნულარ მამაგონებთ, თქუენ სახელს ვენაცვალე! ექუსი თვეა დამცხანჯეს, მამკლეს, გული აღარა მაქუს!

— არა შვლო? აღარას ვეჩუევ, რაც არ გასიამოვნებს! — აბა, თამარჯან, მითხარ; რაზედ გალაპარაკო? რა უფრო გესიამოვნება?

— თქუენი ჭასჭასით ლაპარაკი მიყუარს. მიბძანე, თქუენი ჭირიმე, რაც თქუენ გნებავსთ ახალი ანბაები გეცოდინებათ.

— ახალი ანბავი ათასი ვიცი, მაგრამ არც ერთი ისეთი არა არისრა, რომ გაართობდეს შენ გულსა; უმეტესი ნაწილი ჭორია, მოგონილი კერპამისაგან.

— ოჰ, თქუენ სახელს ვენაცვალე, მაგ სახელს ნულა გამაგონებთ! საშინლათ მძაგს! იმ დღემ მამკლა, როდესაც იმ ულოთომ, ხმა დამიგდომთელს ქალაქში ჩემის ალექსანდრეზე დანიშვნისა. მართლა, თქუენ ხომ გეცოდინებათ ალექსანდრეს ანბავი!...

— გუშინ მივიღე იმისი წიგნი.

—თან გახლავსთ?

—დიაღ. გესიამოვნება წაეკითხო?

—დიაღ.

გული მამიკვდა, მაკრინემ რო ამოიღო ალექსანდრე რაინდიმის წიგნი. აბა თამარს ორის დღის სიცოცხლე აღარა ჰქონდა და როგორღა უნდა გაესხენებინათ იმასთან ალექსანდრეს სახელი, ნამეცნავით როგორღა უნდა წაეკითხა იმისი წიგნი!... მე დავაპირე მეთხოვნა მაკრინესთვის, რომ არ წაეკითხა წიგნი; მაგრამ თამარს ასეთის სიამოვნებით და მოუთმენლობით სურდა წიგნის გაგონება, რომ მე ვეღარა გავაწყვერა.

მაკრინემ წაიკითხა შემდეგომი.

«ჩემო უძვირფასესო დედიდა მაკრინე!»

«მე მივიღე თქუენი თორმეტი წიგნი და, აი, ახლა გწერ პასუხსა.»

»თქუენ მემდურით, რომ დავინიშნე და ჯუარი დავიწერე თქუენ შეუტყობლივ; მემდურით, რომ თქუენს შუამავლობას პატივი არ ვეცი; მემდურით, რომ ჩემს ანბავს, ჩემს ყოფა-ცხოვრებას არ გატყობინებ; მემდურით, რომ არც ერთს წიგნზე პასუხს არა გწერ.«

«მე მქონდა შესაწყნარებელი მიზეზი, რომ დავრჩი თქუენთან ყოველს დროს უკაცრავათ:

უმიზეზოთ არა იქნებარა. იმედი მაქუს, შეიტყობთ რა ამ მიზეზს, აღარ გამკიცხავთ, აღარ დამემდურებით»

«მომისმინეთ.»

«თქუენ მაშინ მობძანდით ჩემთან მუამავლათ, როდესაც მე ვიყავ კიდეც დანიშნული კნიაჟნა ელენეზე. მაგრამ ადრეც რომ მობძანებულიყავით ჩემთან მუამავლათ, მაინც კიდევ ვერ მავირთავდი სოლომან ისაკიჩის ქალს: ამიტომ რომ მე მიყუარდა ელენე, თუალი მეჭირა ელენეზე და იმისს გარდა სხუას არავის შავირთავდი. თამარ დიაღ ჩინებული ქალია, ღირსია ჩემზედ უკეთესის ქრომისა, მაგრამ მე და თამარ არ ვიყავით ერთმანეთისთჳს დაბადებულნი.»

«ქორწილში ვერ მოვიწვე ამიტომ რომ ქორწილი ჩემი მოხდა სწრაფათა, ორ_სამ დღეს, ისიც სოფელში და არა ტფილისში. მე დავიწერე ჯუარი ს. წითლიანს, ჩემს მამა_პაპის სალოცავ ეკკლესიაში, ქორწილი გადვიხადე ჩემს მამა_პაპის სახლში.»

«ოჰ, მაკრინე! აღარა მენატრება რა! სრული ბედნიერი ვარ! ელენე განხორციელებული ანგელოზია!»

«დიაღ, მე ვარ ბედნიერი, მომაცემულს აღარას

ვნატრობ! ასე გამინდვით ბუნებაცკი ჩემთან იშვებს
წარმოიდგინეთ მაღალი კორდი, ამ კორდზედ
დგას ჩემი სახლი, რომელიც დაჰყურებს ერთის
მხრით მდინარეს, საშუალ ჭალაკის მოზინავს,
მეორეს მხრით ცყვიან ლელეს, და ამასიქით ს.
წითლიანსა, წინ, აღმოსავლეთით, მწვანეთ შე-
მოსილს ვრცელს მინდორს, რომელზედაც, ჩვენს
ახლოს, აქა-იქ ხარობენ დიდი კაკლის ხეები და
სხვა-და-სხვა ხესილი, დასავლეთით ზვარსა, მშვე-
ნივრათ შემუშავებულსა. დილით ადრე, უმზეოთ,
წამოდგებით და ასი ათასის სხვა-და-სხვა ფრინვე-
ლთ საკვირველის გალობით დატკბებით; წმინდა,
ცხოველი ჰაერი ჩაგიდგავსთ მარლუწბში ყვავილე-
ბიდამ შეკრებილ სუნნელებას და ძალსა; მდინარე
გამოგაფხიზლებსთ, გაგაცოცხლებსთ, გაგაუმაწვ-
ლებსთ; ტყე, მინდორი, მწვანე ვენახები დაგიტკ-
ბობენ, დაამშვიდებენ ყოველს თქვენს გრძნობასა.
აქ მდინარეს ხმაურობა და ფოთოლთა შრიალი, იქ
ხბოსი და ძროხების ბლავილი, იქ მწყემსის სალა-
მურის სტვენა, აამებენ თქვენ სმენას. რა შედა-
რება ბუნების მშვენიერებას! სად ვიპოვით იმისს
მზგავსებას!...»

«ჩვენ არა გვმინავს, როდესაც ბუნება ხარობს
სიცოცხლით; არა გვმინავს, რომ ბუნებამ დარცხო

თუთან, უჩუენოთ, არ ისარის, მარტო თუთან არ
ადიდოს დამბადებელი.»

«ელენეს ქცევა მაკვირვებს. მე სრულიად იმედი არა მქონდა, რომ ელენეს ნებივრობა არ დაეწყო. მაგრამ არა. ელენემ მოაწყო, მოკმაზა სახლი, ისე კარგა, რომ უკეთესად მორთვა საჭირო აღარ არის. ელენემ მიიღო გამგეობა სახლისა და დაუზარებლივ აძლევს ისი სახლში განკარგულებას. თქუენ ნახავთ სახლში სამაგალითო სისუფთავეს, მოსამსახურებს წმინდათ ჩაცმულსა; თქუენ ნახავთ ყოველის სიკეთით სავსეს სახლსა: თქუენ ნახავთ წესსა, მშვიდობასა, სიხარულსა, ბედნიერებასა; თქუენ ნახავთ, როგორთაც მოსამსახურენი, დაუზარებლივ, სიხარულით, ერთგულად ასრულებენ თავიანთ თანამდებობასა; ვერ გაიგონებთ ორგულობასა, წინააღმდეგობასა, ცრუცვნებასა, საჩივარსა, ლანძღვასა და სხუა უწესობასა. ყოველის ამ სიკეთისა არის მიზეზი ელენე. ოო! ელენეს არა სძინავს! ელენეში ვერ იპოვით გამბნევსა, დაუდევნელსა და გამფუჭებელს ქალსა! ელენეში ვერ იპოვნით უგუნურ ამპარტავნობასა, მედიდურობასა, თავისს თავის მოარშიყესა, დაუდგრომელს ქალსა!

«მე მივიღე გამგეობა ყმისა და მამულისა. ყოველსავე მივეცი წესი, ყოველივე დავაყენე

სწორე გზაზე. ყოველთვის ჩემ თვალწინ კვდები, და მე არც მეთაკილება, არც მეზარება. რასაც სხვათა კაცი სხვა დღეს აკეთებდა, ახლა იმასვე უნდებიან ორი კაცი ორს დღეს. ამ მცირე ხანს სადაც ვე-თანს არ ვყველო, ვიარა; სადაც ბარი არ მოსკვ-დროდა მოსწყდა; სადაც ვაზი არ იყო, ვაზით გაი-ვსო, სადაც წისქვილი არ იყო, ვაკეთე. მრავალი გავაკეთე, გავამშვენიერე: ყოველივე მოვიდა მოძ-რაობაში; ყოველივე ალღვავდა. ყმას მეუმსუბუქდა ერთი ნახევრით სამსახური და მადლობელნი არიან ჩემი გლეხკაცები. შრომა არ მიფუჭდება, ბუნება უხვად მიწევს; ამიტომ გლეხი კაცი მუშაობს გულმოდგინებით, სიცხოებით, ერთგულათ ჩემი შამოსავალი გავრცელდა, და ამ შამოსავალსა, სარ-წმუნო მმანდებოდეს, ქალაქში არ წავიღებ, ანუ არ გავაბნევ სათამაშო ნივთზე.»

«მაგრამ არ გეგონოსთ, რომ მოკლებულნი ვიყვნეთ ჩვენ ყოველს სიამოვნებასა. არა, თქვენ გაქვსთ თეატრი, ჩვენი თეატრია ბუნება და ჩვენი თეატრი სჯობია თქვენსასა. თქვენი თეატრი არის დასაცული, მაგრამ ბუნებისთანა მშვენიერი რათ იქნება! თქვენ ორკესტრზე ათ, ას, ათას წილ უკეთესათ და მშვენიერათ გალობენ, კანცერტს უკვრენ ასი ათასი ფრინველნი, რომელნიც გულს

აცვიობენ, სულს ასრულებენ. თქვენი დეკორაციები დასაცულია, ჩვენი ნამდვილია; — მგონია ნამდვილი სჯობდეს მილიონჯერ მოისყენილ ცილობებს! ჩვენ კიდევ მით ვჯობივართ, რომ ყოველ დღე უფასოთ, გასამთვნებლით ჩვენს თეატრში.»

«დილით ადრე ვსწავლობთ, ვიღვიძებთ და ვმღერით საკვირველის ბუნების მშვენიერებით. დღე საქმეს ვაკეთებთ. საღამოს ხან ფეხით, ხან ცხენებზე, ხან ფაეტონით ვსეირნობთ; ღამე ვსწავლობთ ცის საკვირველებს, მცხოვრით, ვფიქრობთ და ვადიდებთ ღმერთს. სცენაზე არ ვგავართ სხვათა, ოპოლმის ყოველ ღამე, თქვენი გამოჯავრებული, მყვავ-ცემით იარაღებს, ხან ნადებს, ხან ასასხლისა, ხან წიგნებს ვკითხულობთ. თქვენ ქალაქში მხო-ლოდ იარაღის თამაშობ, წიგნების კითხვა საოცარი ღმერთის არ მოგეცა თქვენთვის! სად რითიღა მოგწონსთ ქალაქი? ამით? თუ? აქ ათ-ბით? ღმერთმა მოგვცეს თქვენ ცხადად ადიდეთ და ადიდეთ, ჩვენც დავსვათ რას მოგვცემს!»

«ხედავთ, მაგრამ, როგორ ყოველ საქმე ვარ ვართული. ეს არის მიზეზი, რომ თქვენს თვალ-მიც წიგნზე ამ ერთს მასწავლს მიეცეს განსაკუთრ. მამაცობით.»

თქვენი უსამართლო კეთილსინდის რასაცამე-

—ახ, ნეტავი თქვენ, ალექსანდრე და ელენე! კარგა რომ გეთვალთვალე მამშურდებოდა თქვენი ბედნიერება; ახლაკი, ახლა, იცი, რა მიამა თქვენი ბედნიერება! ღმერთმა გაგაბედნიეროსთ ბოლომდის, თქვენ ერთმნობით თამარმა.

მაგრამ თამარს თვალები მაშინვე მოერღვა, და ცხადათ შეეტყო, რომ ის სწუხდა თავისს უბე-დობას. . . . . . . . . . .

---

ძმაო და ნათლიმამავ ოჭანეზ! აქ ვათავებ, ჩემს ისტორიასა. შენის თხოვნით ავწერე ჩემი ცხოვ-რება და შენ გიძღვნი ამ ქმნილებას.

დანარჩენი ჩემი ცხოვრება არა ვსცან საჭიროთ ამეწერა, ამიტომ რომ არა მოხდარა ჩემში ღირსი შენიშვნისა და აწერისა. მართალია ბოლომდის მე ვიყავ სავსე მდიდარი, პატივცემული, მხიარულათ ვეჩვენებოდი სახლს და მოყვარენი დამნატროდნენ; მაგრამ იმ დღიდამ, როდესაც დავიწყე დიდებით ცხოვრება, ჩემს გულს ჰქონდა რაღაცა განუ-საზღვრებელი ჭმუნვა და მე აღარ მესიამოვნებოდა რა ქვეყანათაზე. ამ ჭმუნვის მიზეზი იყო ჩემ-ში; ჩემს გარეთ არა ყოფილა.

ამ ჩემს აღსარებას განდობ შენ.

შენი სოლომან მეჯღანუაშვილი.

ლავ. არდაზიანი.

(დასასრული,)

## არაგვი.

ყვირის და მორბის არაგვი მკვირცხლად,
აპობს და არღვევს კლდეებთა ფიცხლად;
განკვეთს დიდთ ზვრითა ვითა ისარი
არაგვი ჩემი, ლომი, ის არი!

ზღუდენი სალთა მაღალთ ქარაფნი
გარს შემორტყმიან როგორც დარაჯნი,
ვით საპყრობილეს შეუმწყვდევიათ,
მაგრამ არაგვი ვერ უძლევიათ
და იგი ისევ ამაყად არი!

კვლავ ზვირთი თოვლთა ზედ დაეცემის,
მეხებრ ტეხითა მწვედ დაეტევის,
მრწოლით სულდგმული ძლივს გაეღწევის,
გარნა არაგვი არ გაექცევის,
და მას ბრძოლაში მარადის არი!

მცირე ხანს არაგვს ყულეის დასდებენ,
და მისსა სრბასა შეაბრკოლებენ,
მარამ არაგვი ჰსძლევს თჳსთა მტერთა,
და ზედან აყრის სირცხვილის მტვერთა,
შედგომს მძლევისა მოძღვრო არი!

ბრძოლისგან ადგას მას დიდი ჭაფი,
გადასდის თავზედ მდუღარე ქაფი,
პირზედ ჩამოზდის ოფლისა ლაფი,
არ აქვს სასვენათ არც ერთი სქაფი,
გამარჯუებული მდინარე არი!

თავის სამშობლოს ხლიტის და თამაშობს,
რა გასცალდება ჭმუნვით მავალობს,
ზევით ჰგავს არის გახარებული,
ქვე დალონებით არს დაღვრემული
და დაჩუმებით მავალი არი!

თჳსთ, დედის რძეებრ ის შეერგება,
უცხოდ, მკვახეთ ჰსჭვრეტს ხოლო არ უტკბება,
ჰგლეჯს, ფორიაქობს, მეტად უწყრება
და მყმამყულით მზრდელი ის არი!
განკვეთს დიდთ ზვირთითა ვითა ისარი!

თავს ევლებიან ჭაბუკნი ქალნი,

ყვავილნი მთისა პირს ზრდილი ფიქალისნი,
პირს ეხვევიან თვისსა მშობილისა
და ის შეიტკბობს თვისსა დობილისა.
აჰ თვისთავის როგორი არი!

კრავნი და მწყემსნიც მაზედ ხარობენ,
როკვა ხტომითა მისკენ მავლობენ,
ფრინველნიც რიყვრად მაზედ გალობენ,
მათის მღერისა საგნად ის არი

განკვეთს დიდთ ზვირთთა ვითა ისარი
არაგვი ჩემი, ლომი, ის არი!!....
კნ. ბარბარე ჟორჟაძისა.

---

პოემითგან: «რუსეთუმე.»

X თავი.

---

ბნელით მოსილი საჩხერეს არე
განისვენებდა ტკბილისა ძილით,
როს მთის წვერიდგან გამოჩნდა მთვარე
და გადაჰხედა კორდსა სიცილით.
შეჰხედა ცასა მან ფერად ლებით;
რა ვერ შენიშნა მაზედ ღრუბელი,

მოსცურა ნაზათ თავ-მომწონებით
და გადაჰკარგა მთებს იქით ბნელი.
ცაზედ ვარსკვლავთა გახარებულითა
მნათობის წინა იწყეს ნავარდი;
ერთ ხმად შეჰსძახეს ქვეყნით ბულბულითა,
არომატს ჰსცემდენ ია და ვარდი.
სურნელებითა დაბრუებულნი
თვითქმის ფოთოლნიც არ შრიალობდენ
და ანგელოზნი ცით მოვლენილნი
საჩხერეს თავზედ დასტრიალობდენ.
ყვირილა მარჯვნით, ძირულა მარცხნით,
ჩიხურა კორდის შუა მდინარე
ნანას იმღერდნენ დაბალისა ხმით
და ბანს აძლევდა მათ არე მარე.
მერე სულ ერთად შეერთებულნი,
რა საჩხერესა მოშორდებოდენ,
მღვიმის ხეობას გაქანებულნი
მინავარდობდენ, კლდეთ ასლტებოდენ.
მოდი ნახევი ცისე ამაყი
ახალციხესა გადაჰყურებდა,
თავს აღარ ქცევა ღრუბლის ნაშლაყი
ცისეთ ცისესა და მდუმარებდა.
აგონდებოდნენ მას ტკბილნი დრონი
თვისის პატივის და დიდებისა,

ოდეს გმირთ-გმირი მისი პატრონი
სოლომონ ჩვენი იმერლებისა,
ჩხუბების შემდეგ გამარჯვებული
პირდაპირ ციხეს მოაშურებდა
და ლხინის მოყვარე მირონ-ცხებული
პარაკლისს პირველ ახდევინებდა.
შემდეგ მის ჭვრეტით გახარებულთა
(ვინ გაბედავდა მასთან მოწყენას!)
ის უბძანებდა წარჩინებულთა
მწვანე მოლიზედ სუფრის გაფენას.
და თვით ვითა ძმა ყმათ შუა უჯდა;
იყო ყანწით-თასით ტრიალი-ტრიალი,
ვერცხლის დანებით სთლიდენ რა ზეჭით,
სოვლიათ გაჭქონდათ მზიალი-ზზიალი!
აილებდა რა პირველად სამსოს,
მეფე ეტყოდა ყმათ: «ალავერდი!...»
ყმანიც ეტყოდენ: «მეფევ! გაამოს,
განძლიერდი და ტკბილად დაბერდი!!...»
სხვა და სხვა რიგი ლხინი ამ გვარად
მეფის, ციხესა უნახავს ბევრჯერ
და უსმენია კიდემაც მარად
ხმა ნუგეშისა: «მრავალჟამიერ!»
დღესკი ეს ყველა მას მოეშალა
აწ აღარ ესმის ტკბილი ხმა მეფის!

დროებამ თვისი ყრუჭწნა მალია,
აღასრულა რა წესი ბუნების.
საყდარი იგი სად პარაკლისსა
მეფე იხდიდა მლოცველი მარად.
ეხლა შექმნილი სახტომლად მგლისა
და მეფის სახლი მწყემსის სადგურად!..
ამას ფიქრობდა ამაყი ციხე
ტკბილი დროის მგონი იყო ტანჯვაში
და შეჭმუხვნილი ამაყი სახე
მას ჩაეხატა ყვირილას წყალში...

თ. აკ. წერეთელი.

---

## კერანის ციხე

ვახტანგ ორბელიანისა.

შემოსევა მქონდა სიარულისა
გადავიარე მთა გომბორისა,
მთის მარს შემკული წყარო მინდვრისა
და აღმართული მთა კერანისა.
დიდს ხანს დაუწყე მას მთას ყურება
ვადიდე ღმთისა განგებულება!
მთა არს მაღალი გარე კლდოვანი

მაზედ ნამყნი ქვეცკიროვანი,
ცისე მავარი ქულბაქოვანი.
გზა ძნელ სავლელი კიბე კლდოვანი,
ძველით შემქნია მისი შენები
ვახტანგ მეფისგან არს ნაშენები,
მხნითა ჰფარავს თვისს სამეფოს,
და განუმარცა მკლავი ძლიერი!
ჰოი მეფეო სახელოვანო,
ვახტანგ ძლიერო გორგასლიანო!
ბერძენთ მეფენი შენგან ძრწიან
და შენი შიშით იმალვიან,
როს ამხედრდები მეფეო მალით!
შენნი ივერნი გიძღვიან ჯვარით!
მტერს სძლევ, განდევნი მისივე ძალით
სპარსეთს განაშხნობ გულითა რჯულით.
სად არს მეფეო იგი მლოცველი,
შენი გმირებით ივერიანნი,
ცისცრი გვირგვინი სკიპტრა სჯანი
და მუზარადი ლომ სახიანი?
ამით სახელ გდევს გორგასლიანი
ოჰ! აწ ვერანა ვალალიანი,
რომ შენზედ ბჭობდა მეფე ძლიერი
დამარცა აწ შენზედ მზე ნათლიანი
და შემოერტყმის ნისლ-ცრემლიანი

ცისკრისა მკერდსა ცვარ-გრძნობიანი....
ვიგონებ ვარდი მწარ სიტყვიანი
ამაოსაცას გულ ცეცხლიანი...

კნ. ბარბარე ვახვახოვისა.

1860-სა წელსა
14-სა ნოემბერს.

---

## ყადის ჯორი.

(ამ დროების არაკი.)

ერთს ყადს გაუქცა მსუქანი ჯორი,
(არვისა ჰყავდა იმისი სწორი),
გაიქცა, საცდა გარდაისვეწა,
მარამ ვერ იქნა ვერსად მოძიეს,
თუმცა მეძებნელთა დიდხანს ეძიეს.
დიდყურა მსუქცმა ბევრი ირბინა,
შემდეგ როცა მას დასცხოვა ბინა,
ბოლოს მივიდა ერთსა წყლის პირსა,
სადაც ეძინა გამხდარსა ვირსა. —
ჯორმა რა ნახა აქ ვირი, აუარ, ჩამოუარა,
დაჭსუნა, დაისუნსნა, ცეუპით წიხლები უყარა,
ბოლოს წარმოსთქვა წყნარათ
მარამ მკაცრათ და მწყრალათ:

დასხე ამ ვირსა, უჯიშოს, რეგვენსა გაუზდელსა,
თავს უდის ჯორი ვადევარ ყურსაც არ ინძრევს
გრძელსა,
არა სჯობს ყადსა ვაცნობო, კელსა აიღებს მელსა
და ამ გვარის უზდელობისთჳს, ამ ვირს მოსწყვე-
ტავს წელსა!...
რა ესმა ვირსა ესენი, ფეხზედ წამოსდგა მარდათა,
ჯორს პატივი-სცა სალამით, თავი დაუკრა მდა-
ბლათა,
შემდეგ წინ წასდგა მორიდებითა
და მოახსენა მოწიწებითა:
მშჳდობა თქუენსა მობძანებასა, ბედნიერებავ
დიდის ყადისო,
აქ განისვენეთ, ხრდილი იხრდილეთ, წყალი, ბა-
ლახი თქუენთჳს მწადისო,
თქუენს მეტს ამ ველში არვის მოუშვებ, არა
პირუტყჳ აქ არ დადისო,
მეც აქ ვახლდები, ვემსახურები, როგორც შე-
ვიძლებ თქუენს საკადრისო.—
ყადისა ჯორი ამის გამგონე,
ველარაფრისა იქმნა მომგონე:
ალოყსდა პირსა,
შესძახა ვირსა,
ვითომც გულითა—

დაჩაგრულითა:

—როგორ მიბედავ ამ გვარს ყბედობას?
რათ არ მოიშლი შენს თავხედობას?
შენ ვინა გგონივარ წყლისა და ბალახის?—
მაგ თქმისათვის ამოგგლეჯ ცალსას,
ვცემ და ვაქცევ, ვერ ჰპოვებ ალაგს!..
მამის ვიამა სიტყვა ლიმილით მწარით:
—ოხ, რა დრომბის ჩემზე მეყსწრაფით!..
—არა, მე მსუცი, მე უმფროსი, ვეღარ მფარველნი-
ულით მიყვარ ჯარისა:
შენ ჰყავხარ მდიდარს, მასთან გორგს მსუდარს,
ვინასამს, ფივლის ოვგოროც რომ ქოხსა,
ვარგსა დარბაზში, სუფრათ ვიყლის, ბნელს და
ქარს ვაძევს როგორც რომ ლოხსა,
ვხედნის, ვასწავლის, ასე ვარნებდი, ვერა ვბო-
ბდით ჩემზე მესსა სწორისა,
მაგრამ მე ვხედავ შენ შენი ჯამი გორგს ვერას
ვწავს ზარმაცსა მძიგვნისა!.

—

ვადი ვინახავს ნებიერთა,
შენ ვერ იოჯები წყსიერთა
და მადლობისა მაგიერათა,
დარბი, მოსულისა ჩემს სამზერათა!...
მამა შენსა,
დედა შენსა

მე ვიცნობდი ძლიერ კარგათ:
დედა იყო ზარმაცობდა, გასდებოდა სხჳსა ბარგათ,
მამა იყო ძლიერ მშ ოდ და მომთმენი როგორც ძიძა,
დიდგუარიანი გუარის იყო, ჩუმი იყო მკვდარი ბიძა;
ვხედავ მან ვერ დაიმარხავს, ვერც სწავლა და ვერცა წესი
და ვირის ჯიშიც დაიკარგავს, გამოსულხარ უარესი!...
ჯორმა პასუხი ვერ უგო ვირს ბაასში ვერც ერთში,
და ვირი მწყრალათ გამობრუნდა ჯორს ჰკრა ოთხი წიხლი ფერდში!...

---

ვერვისა ვკადრებ შედარებისა,
ვერავის უძღვნი ამ გვარს ქებასა;
მარამ დროებითა,
სავსეს ამაყებითა,
ვპოვნი ერთს ორსა,
როგორც ყადის ჯორსა!
ქვეყანა მოუვლიათ, სწავლა ვერ მიუღიათ,
მოდიან დიდკაცობენ და პირი დაუღიათ!..
ვისაც ჯიბეს უჭყავის, ამ ჩვენს საწყალს დროშია,

## ლექსები.

მამის ნამაგევი ერთი-ორი ცრემლია,
ისიც ამაყობს, არავის სწყალობს,
ანთებს გულებსა და ყდის ჯოროზს!
ზოგი ვალით ცანთ იცოდს, მდიდრათ გამოპრან-
ჭული,
სახით და ზნეობითკი სამაგლათ დაღმანჭულა;
მას შიმშილით წივიან, ესკი მღებს ვით ლორი,
და კლუბში ამაყათ დადის როგორც რომ ყადის
ჯორი!

თ. რაფიელ ერის-თავი.

---

### კნ. ბარბარე ჯორჯაძისას.

(ექსპრომტით.)

ბადრო მზეო ბრწყინვალეობ მარადა,
ახოვნებით მტკრეცელთა სწყლავ მწარადა.
რომ ამიკი შენთვის იყოს მყარადა,
ბულბულებრივ ეტიკტიკე ცხარადა.
ათრობს სხეათაც თვალთა შენთა ისარნი,
რაგინდ მტკრეცნი იყვნენ შენზედ მსისხარნი.
ეც პოეტსა ნება ლექსობისანი
ვის ელვა ჰკლავს შავის თვალებისანი..

კნ. ეფემია ანდრონიკოვისა.

## მდიდარი გაღარიბებული.

---

უცებ მიმელო ჩემი ქონება,
ჩემი დიდება, ჩემი ცხოვრება,
როს მაგონდება, თვალით მიბნელდება
მომდის უეცრად გულის ლონება!

განა მე ამას მოვიფიქრებდი,
ასე უეცრად გავღარიბდები?
როგორც ღარიბი მეც დავღონდები
ანუ ოდესმე მეცა მოვკვდები?

იმ აღუწერელის ჩემსა სიმდიდრეს
მე ყოველის ჟამსა ზედან დავმღეროდი,
თუ არ მდიდარსა, აროდეს ღარიბს
წინ შემომყროდა ხმას არ გავსცემდი!

აწ ვით მძინარემ, თვალნი ვახილე,
ოჰ! ღმერთო ჩემო! ეს რა ვიხილე,
ყოველი ქონება, ოქრო თუ ვერცხლი
განჰქრა უეცრად ვითარცა ფერფლი!

მაშ ამ სოფელსა რას შევხაროდე,
ანა რასა ჰგავს აწ ჩემი ყოფა!

ჰგავს შემომქმედსა დიდათ შევცოდე
თუ მაპატია მაშ ეს მეყოფა!

როს ამა ფიქრით ჭმუნვით მოცული
მე, ბედისაგან უცებ მოკლული
მიმოვიდოდი თავ დაღრომილი,
ღარიბი შემხვდა ძაძით მოსილი.

რა შემომხედა, უცებ განცჳფრდა,
მითხრა: რა არის მაგ გვარი ჭმუნვა,
შენ ვინ, ეგ ოხვრა, ანუ ეგ ურვა,
თითქოს დიდებით შენ ფუფუნებდი
და ჩემებრ ღარიბს დაიწუნებდი! —

მდიდარს ვინ უმრავს დიდსა ქონებას,
თუ არ შესწირავს გრძნობას, გონებას,
და თუ ღარიბი არ შეიწყნარა,
მაშ დაემონოს განგების ნებას!

გახსოვს, რომ ერთხელ შენს კარს მოვედი
მცირედი ლუკმა მშიერმა გთხოვე?
რა დამინახე სახლში შახვედი,
გაჯავრებითა მე დამითხოვე?

ყველას ესმოდა შენი ყვირილი
და უსამართლოდ ესრეთ ჩივილი:

«მიჯობს ცხოვრება მრთლად გადავჰყაროთ,
ვიდრე ღარიბსა შემოვეყაროთ!»

ჩემო მდიდარო! წყაის სოვლისა
ნისლი ღამეზრივ შენა გზურავდა
ჵ ეგ ტყვე ქმნილი, საწყალი სული
ტანჯვით, ვაებით, შიგან ჰცაურავდა!

აი! ღარიბნი ერთ გზას ვადგივართ,
მოსვენებულის ფიქრით დავდივართ;
ცხოვრება ჩუენი ერთგუარ სრულდება,
მეტი სიცოცხლეც არ მოგვმულდება! —

სად არის შენი დიდი დიდება,
სად არის შენი ლხომებრ ზეიობა,
ჩემებრ ღარიბსა ხმას არ გასცემდი
არ გაგონდება ის: პირ-შაობა?

ძმაო ღარიბო! გაჰქრა ყოველი,
მხედავ, ვრონინებ ცრემლით მთოველი!
მაშ რაღა არის საყვედურება
თუ ღმერთი გიყვარს ნუ მემდურები..!

ჩემო მდიდარო, ეგ მართალია,
სიმდიდრე უცებ წარმავალია!

შესთხოვე ღმერთსა, რომ მოგიტევოს,
სიმრთელით მაინც აწ დაგიტეოს!

თორემ განჰქრები, ვითა რომ წამი,
როს წამოგესხმას პორფირი შავი —
და წაროგადგინონ სამსჯავროს ტაძარს
იქ ცხადად ჰნახავ ჭეშმარიტ განსჯას!

და თუ გვერთ გიდვეს ჩემებრ მართალი,
შენ აღარ შეგხვდეს იქ სამართალი!
ყოვლით მ. გულის მდიდარო ღონე,
ეს ასე არის მე გამიგონე!....

დ. ზერიევი.

2 იანვარს, 1860 წელს.

## სალაყბოს ფურცელი.

(წიგნი, მიწერილი ქ. ტფილისითგან ქუთაისს დ. ბაქრაძესთან, შესახებ გენჯის დასრულებისა.—ზოგი ერთისაგან შესხმის წარმოთქმა გენჯში.—ქართულ ლიტერატურაზედ ლაპარაკი.—ლიტერატორის ავათ მოპყრობა.—გუბერნსკის მარშლის ამორჩევა და ამაზედ აზრი.)

საყვარელო ბაქრაძევ! იქნება ხშირად გინახვივარ ტფილისში და იქნება ახლაც მხედავდე თქვენ ძველის სასიქადულო იმერთის სატახტო ქალაქს ქუთაისში, მაგრამ რა რომ თავზედ მხურავს უჩინმაჩინის ქუდი, არ იცი ჩემი ვინაობა!... ამ წიგნსა გწერ მე, მე საყვარელო და ძვირფასო ჩემის სულის მეგობარო! მე, რომელიცა მხოლოდ ერთი ზრუნავ ჩვენის ისტორიისათვს.—ამას ამისათვს გწერ, რომ გინიცობაა მეგხვდეს ახლანდელის საუკუნის ისტორიის დაწერა, ეს ჩე-

ში საქართველოს ბაცის გამონაცემის კალმის შრომაც შიგ დაჭმაცდა. შენ მეგულები ერთი მეისტორიკე და ნამდვილი საქართველოს მზრუნველი, შესახებ მამაპაპის მოთხრობისა! შენ გვაჩვენე ჩვენ უძველეს დროს მოქმედთ პირთ მოქმედება, შენ გვაგვაცან, ჩვენნი ისტორიის პირთაგანი ბაგრატ, — შენ უნდა გააცნო, ვრცლად ჩემებრ მოლაყბეთაგან მოწოდებულის მასალებით ჩვენ შვილის შვილთ, ახლანდელის საუკუნის მოქმედნი პირნი; ბოროტი არა უნდა დაიმალოს რა და კეთილი ხომ უნდა თამამობდეს პირველს როლს, ჩვენის, ამ წიგნის მოწყრის საგანი, უნდა გაგიცხადე საყვარელო ქართველთ ისტორიკოსო და გითხრა, რომ არის დაწყობა კენჭისა და გათავება. ამ კენჭში რა ანბავი იყო და რა არა, ენა ვერ აღწერს და თვით მხილველიც ძნელად გამოიცნობს დაწვრილებით ანბავს. — მე მხოლოდ აღვიწერ, თავიდგან ბოლომდინ, მოკლედ, თუ როგორ დაიწყო და როგორ გაიარა.

ჯერ ეს უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენის კეთილშობილთ საზოგადოების შეკრება მოხდა ტფილისის კლუბში, რომელიცა ეკუთვნის თ. ივანე ბაგრატიონ მუხრანსკის და, რომლისა შენობა ძველს

ტფილისში იდიდება. (*) აქ მევდევბი და, არ იქ-ნება მადლობა არ შევძლევნათ ამ კლუბის პატრონს ყოველთა ქართველთა ვისაცკი მცირედიცარი გრ-ძნობა და კეთილსინიდისი გვაქვს. — კეთილშობილთ საზოგადოება საჭიროებდა შესაკრებელ სახლისათვის და ეს შესაკრებელი სახლი გვაჩუქა თ. ივანე ბა-გრატიონ მუხრანსკიმ. ასე გვაჩუქა, რომ მოეგვცა ნება ყოველთვის ამ გვარის საზოგადოს საქმის-თვის იქ შეკრებისა. — ამ წლის კენჭში, თვთქ-მის ქალებმაცკი მიიღეს მონაწილეობა და ამ მო-ნაწილეობის მიღების მიზეზიც არის, პატრონი კლუბისა, ასე, რომ ამ ჩინებულს ზალას, ერთის მხრით, ზემოდგან აქვს ქალებისათვის სამყოფი ალაგი, საიდანაც დაიცქერონდენ ქართველთ პარლა-მენტზედ. —

პარლამენტი! პარლამენტი! სწორედ უნდა ვსთქვა და მოვილაპარაკო ამ პარლამენტზედ, სწო-რედ ამომივა სული და სწორედ ლაპარაკის თქმა მირჩევნია, — ვინ არის ამსოფლად ბედნიერი, ვინ არის ამ დროებით სოფელში საუკუნოდ

---

(*) არმაკუნოვის სახლებს არ ვახსენებ და არც სახსენე-ბელია. — ამის მიზეზად ბევრი მაქვს, მაგრამ ჯერ დარ-ჩენს. — თავის დროზედ სულ გ მოვსთქვამ. რასაკვირველია შემურულის სახით. —

დამრჩენი? ვანა რომ არიგინ, მამასადამე ვისი მემინიან და ვისი მერიდება? სწორე ჭკუობს ყველას; დეესნენი სისწორის რიხალზედ სწორე ალაგს ვიმყოფებოდე და ისევ ისე დამალული ვიყო და ხალხში გაურკვეული, როგორც ვეა მცნობე და ა- ისეთი ჩემი ვინაობა, თუმცა ზოგჯერ ყოველ დღე-ღამით, თუნდა ქუთაისში, თუნდა ცხეკლისში, თუნდა სიღნაღს, თელავს და გორში.— კენჭის დაწყობის დროს ჭქონდათ მომზადებული სხვ. და სხვ. პირთ შესახებ, სადაცა აცხადებდნენ თავიანთ მამულისათვის გულმოდგინებულობას, რა არის ერთერთი ალაგი ჩვენც ვიპოვნოთო ჩვენში. ბედნიერმა ქართველებმაც დაუჯერეს, თვალები დაახუჭეს და ვინც რა შესახებ საქმე, ვინ დაედევნა — ერთი კენჭები იყო რომ იქითკენ მიიბოდნენ. — კენჭის დაწყობის პირველ დღეს, ერთი დიდი ყმაწვილი კაცი გამოვიდა სცენაზედ, რომელმაცა დაიწყო თავისს აზრის წარმოთქმა. — ამ დროს მე ერთს კუნჭულში ვიდექი და ვუყურებდი, სწორედ მოგახსენოთ მე ყველასა ცნობილი და სხვ. ნიკო მე ვერ მცნობდნენ ჩემის უმ ნამჩინის ქოლის წყლობით. რა მწ.მს მიუცდეს ეს ამბავი, ზოგჯერ მოსწყვედნენ და წინ წადგნენ სასმელებო, მიეც როგორც ცნობის მოყვარე, მოუსვენოებდ, მაგრამ, რა, მეგონა

ქართულს ენაზედ წარმოსთქვამდა და აგ უბედურება, ჩუენ საყვარელს ენას თავი მიანება და დაიწყო სხუა ენაზედ. — ამისი სმენა იყო და ჩემი უკან დაღლომა, ყურებშა ბზუილი დამიწყეს, უკან უკან წამოველი და მლივს კარებთან რა მოველი, კარში ქურდივით გამოვიპარე. — მეორეს დღეს შევიტყე, ვითომც ქართულს ლიტერატურაზედ ელაპარაკნოს. — ქართულს ლიტერატურაზედ, და სხუა ენაზედ! სხუებსაც უთქუამთ თავიანთი აზრი, თუმცა ქართულს ენაზედ, მაგრამ ხუთის და ექუსს ლექსში, შემოურევიათ სხუათა ენის ლექსები. — რასაც გწერ საყვარელო მეგობარო, მრიელ მოკლეთ გწერ, ამისათჳს რომ მეშინიან ამ სალაყბოს ფურცელმა დიდი ალაგი არ დაიჭიროს. — წვრილმანებს არ გამოუდგები, — აბა ამ გვარი წვრილმანები რა დასაწერია: ერთისთჳს კენჭი ჩამოაცვარეს, რომელსაც გათავდა და ცნობის მოყვარენი მიეხვივნენ მესამოწმებლად, ერთი ქართველი ქართულის ტანისამოსით გამოვარდა ხალხიდგან და ყჳროდა, მესდესიაც პიაცჳი ჩორნში მოუვიდა და სოროკი თეთრმიათ! აი კიდევ ესა: ერთი ჩემი მეცნობთაგანი შემხვდა კახეთითგან, თავი დაუკარი, ვერ მიცნო და მკითხა: რაო? მენც ხომ კენჭისთჳს არა მთხოვ, რომ თეთრში ჩაგიგდო-

გო—გის აღწერს ამ გვარს წვრილმანებს. ესკი უნდა ვსთქუ, რომ ადრინდელს ყუნჭებზედ, ეს ბევრით უკეთ წავიდა, ისე უკეთ, რომ არც ისე ძალიანი ყაყანი ყოფილა და არც ისე ცხადად ერთი მეორის მტრობა და მეცილეობა.—მხოლოდ ერთზედ მოსვდა მეცილეობა და ამ მეცილეობამ, სულ წაუხდინა და ჩაუშალა ყოველი ღირსება. ამ მეცილეობის დროს მომაგონდა სიყმაწვილე—არ გახსოვს, ყმაწვილებს კიდე რომ უთამაშნიათ, რომელსაც წაუგია ქინქილი გაუწყვია, და უთქვამს, არა მჯერავს, ჯერი არ არისო და წაკინკლავებულან. სწორეთ ეს ამბავი იმას მოემზგავსებოდა.—ერთი პირი ამოარჩივეს,—ის პირი, რომელიც, უნდა სულ ქვემა თქუას კაცმა არ არის ურიგო,—არა თუ ურიგო, თჳთქმის კეთილიც არის,—მაგრამ რას იტყვით, არ იყაბულეს, ჩამოუცვარეს მეორეთ, მესამეთ,—მაინც ქინქილი.—მეოთხეთ, მაინც თეთრდება.—ბოლოს... ეჰ! თავი მივანებოთ, როდესაც მაგონდება, ტანში ჟრუანტელს მასხამს.—სხვანი პირნი, თჳთქმის ისევ ისინი იყვნენ ამორჩეულნი, რომელნიცა ყოფილან, ერთის გარდა, და ეს ერთიც ის, რომელმაც მეხმა წამოსთქუა.?!! ოჰ, ესკი დამავიწყდა, გუშინ ერთი ჩუენ ქართველთ ლიტერატორთაგანი მოვიდა

ჩემთან, რომელიცა მიცნობს და არც მიცნობს, როგორც სალაყბოს ფურცლის მწერალს, — აქ, ამ ალაგს რომ წაიკითხამ იცნე, ეს რა გადაკვრ-გადმოკვრით ლაპარაკობსო. გადაკვრ-გადმოკვრით არ ვლაპარაკობ, საყვარელო, მაგრამ რა ვქნა — ბევრის დაწერა და თქმა მინდა მაგრამ იმას ვერდები, კიდევ სიდიდეან გადაგდება არ დამიშლიან, ბევრი იცინა და მითხრა: გიგე ასოლი ანბავით. — რა ანბავი მეთქი გკითხე. — მიამბე ეს. — ქრომა დაიწყო, კენტის დაწყების დროს როლაზედაც ლაპარაკი, ჯერ ქართულათ მოჰყვა, რაღაც თავებს და წიგნებს ასახელებდა. რა ვეღარ გააგრძო ქართულის ენაზედ, დაიწყო სხვა ენაზედაო. — მეუბნებოდა და ბევრს იცინოდა. — მე სწორე — მოგახსენო, ყური არ ვათხოვე, ამისთვის რომ, რა დასამალი აქვს იმ მთქმელს, რომ ქართული კარგა არ იცის. — რასაკვირველია ქართული [illegible] სასწავლებელი რომ გვქონდა და ამის ეთქო; სხვა იყო... ესლა ყოველი კაცი იმას ცდილობს! დროების მისულვით მოიქცეს, ოლონდა თავისი საქმე კარგათ წაიყვანოს და გინ დასცდეს, ვინცა უნდა თქოს. — კენტის დაბარებების დროს რომ ეთქო ვისმეს რამ, მაშინ აღარ მივაწერდით თანამდებობის მემიებლობას. რაკი თავში

დაიწყო გათავდა. ბევრს აღარ გავაგრძელებ საყვარელო ბაქრაძე! ბოლოს დასრულდა გუბერსკის მარშლის აღმორჩევაზედ, რომელიცა ღირსია შენიშვნისა. — ჯერ ეს უნდა გითქვათ, რომ ამ უკანასკნელს დღეს თქუა კიდევ ერთმა პატივცემულმა პირმა, მაგრამ ეს წარმოთქმა მაგდენად არა ღირს. — როდესაც უნდა გათავებულიყო, მაშინ გამოვიდა სცენაზედ გუბერსკი მარშალი, ყმაწვილი კაცი და მეტად მოსაწონი. სწორე მოგახსენო, შეხედვა იყო ჩემი და სხუა აზრის მიღება ამ კაცზედ. — ამის მშჳდის სახითგან გამომეტყუველებდა ბევრი რამ კეთილი და სასარგებლო. — ამ ყმაწვილის კაცისაგან ბევრს კარგს უნდა გამოველოდეთ. აა საიდგან დაიწყო, და მოჰყვა თქმას. რასაკვრველია მე მხოლოდ ვწერ რამოდენსამე მოსაწონს აზრებს: «კეთილშობილნო! წარსულს წელს მქონდა ბედნიერება და წარუდგე მისს იმპერატორებითის დიდებულებას, ცარსკის სელოში (სამეფო სოფელში) სადაც მიბძანა მადლობა და ამ მადლობის თქუენზედ გადმოცემა, თქუენის ერთგულებისათჳს. — მეც ჩემის მხრივ კეთილშობილნო უნდა მოგახსენოთ ჩემი უგულითადესი მადლობა. რაც რამ წყალობა მივიღე ჴელმწიფისაგან, ეს წყალობა მოგეწერებათ თქუენ...»

აღარ დააცალეს დაესრულებინა, შექნეს ტაშის კვრა და ზახილი; სწორე მოგახსენოთ მეც ისე მომეწონა ეს გულწრფელობითი წარმოთქმა, რომ თავის თავად ჩემმა ჴელებმაც შექნეს ბარტყუნი. პირველად მე შევუპრე, ამ ყმაწვილის კაცის სასარგებლოდ. — მხოლოდ ერთი არ მამეწონა, ეს რომ ბევრმა კეთილშობილმა ვერ გაიგო, რადგანც რუსული ენა არ ესმოდა. ეს ჩინებული წარმოთქმა უნდა ყოფილიყო ყოველთათვის გასაგონს ენაზედ. მაინც პატივი და დიდება ამ ყმაწვილკაცს, რომლისგანაც ბევრს კეთილს მოველით. დაბოლოების დროს უნდოდა კიდევ წაეკითხა ერ.ის და ეს ერთიც გასლდათ, უფალი ჩუენი რედაკტორი, მაგრამ ამასკი აღარ მისცეს ნება, ესეც არას ითხოვდესო. უნდაკი დაიბეჭდოს, რაცა ჰქონია მომზადებული. ამ პირობით უგზავნი შენის წიგნის პირს კერესელიძეს, რომ ამ ჩემის სალაყბოს ფურცლის ქვემოთ ის თავისი ქმნილებაც ჩაურთოს. — ვინ იცის, იქნება არ დარჩეს უნაყოფოთ და თავისს დროზედ აღსრულებაში მოიყვანონ. (*) ამის მეტს არაფერს არ მოგწერ საყვარელო ბაქრაძე, ჯერ ეს კმარა. — ზოგი

(*) მეტი გზა არ არის უნდა აღვასრულოთ უფ. მოლაყბის თხოვნა. რედ.

შემდეგომს იყოს.—ოჰ! კიდევ დამავიწყდა, დას-წყევლა ღმერთმა, რომ გეუბნები, არა იქნებარა კარგი, ლიტერატურა ვინ და ასე გადაკვრ გადმო-კვრით ლაპარაკი.—მაგრამ მიზეზს მისკლები.— ერთი ქართველი ლიტერატორი, ეშმაკათ და ქაჯათ კენჭში შემოვიდა, რა არის მეც ვნახო რა ანბა-ვიაო. მენს მტერს დაადგეს, რაც ამას დღე დაუ-უნეს კასელებმა. ჩვაბა ვისწავლია და რაღაებსაც ჩხაპნით, მან როგორი გამჭვე ჩიტენზედ აგის და-წერაო.—დიდი მფოთი მოსვლებოდა თუ მეორეს ოთახში მშვლობის მოყვარეთ არ ვყავნათ. აჲ საყვარელო, ჩიტენში ლიტერატურას როგორი ღირსება აქვს.—მებრალება ქუმძარიტი ეს ჩემი საცოდავი კალამი, ამის ნუკუმით მეც მემისიან ეს დღე არ დამადგეს.—რა ვაწყობა, ბევრს ამისთა-ნაებს უნდა მოველოდეთ ჩოგი ერთის ტკპანებისაგან.

მოლოცებე.

---

## რამდენიმე აზრი შესახებ კენჭის გათავებისა.

---

უპატივცემულესნო კეთილშობილნო! ერთის მხრით მე არ მეკუთნი თქვენს საზოგადოებას თუმცა ვსლოვარ კეთილშობილთავანი, რადგანც

განგებას არ მოუცია ჩემთვის არცა მამული და არც თქუენზედ დაწესებული ქონება, მაგრამ როგორც კეთილშობილი, თჳნიერ ყოველის ქონებისა; როგორც ერთგული მოქალაქე ჩემის მამულისა, როგორც ქართველი და რედაკტორი ქართულის სალიტერატურო ჟურნალისა, ვითხოვ ნებას წარმოგსთქო ზოგი ერთი ჩემი აზრი, შესახებ ქართველთ კეთილმდგომარეობისა.—უკეთუ მომეცემის ნება, თქუენ კეთილშობილნო! მოგახსენებთ მოკლეთ იმედითა მით, რომ გულმსურვალედ სურვილი ესე არ დარჩების უნაყოფოთ.—

დავიწყოთ აქედგან: ვინა ჰსთქუა და რომელმა დაამტკიცა, რომ კეთილმდგომარეობა კეთილშობილთა, ნამდვილი განათლება და განვითარება მდგომარეობს ამასში, რომ გაიგზავნენ პირ და პირ სიყრმითგანვე ჩუენნი შვილნი და შვილისშვილები ერთ-ერთს რუსეთის სასწავლებელში; რომელმა ჰსთქუა, რომ განათლება კეთილშობილთ შვილებისა, მხოლოდ მასში მდგომარეობს, რომ სიყრმიდგანვე თავისს სამშობლოს ქუეყნას მოშორებულმა ყრმამ ისწავლოს რუსეთის ერთ ერთს სასწავლებელში, მდაბალში თუ მაღალში.—არა, უპატივცემულესო საზოგადოებავ! ჩუენა გვაქუს და გვქონია მამაპაპით გამოცემული და სამკვდრო

დაშთომილი ერთი უმთავრესი ზნეობა — ეს გასლავსი, — სარწმუნოება და სარწმუნოებაში განვითარება! უკეთუ გვესმის სარწმუნოების ღირსება; უკეთუ მტკიცედ გვიპყრია სარწმუნოების კანონები და, უკეთუ ამ სარწმუნოების კანონებს შეუდგებით ბეჯითად, მაშინ დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ ვიქნებით ნამდვილნი განათლებულნი. სად იყო და საიდან იწყობოდა ჩუენი ნამდვილი განათლება? სად აღიზარდა დავით აღმაშენებელი ძველ დროს, ეს სამაგალითო ისტორიის პირი? სად აღიზარდა უკანასკნელი ქიზიყის ღრმად განათლებული და ნასწავლი მიტროპოლიტი იოანე? გაბედვით შემიძლიან ვსთქუა, რომ ეს უკანასკნელი იყო ლამპარი მრთელის კახეთის განათლებისა, — ამის სხოლაში იზრდებოდნენ მრავალნი წარჩინებულნი კახთა შვილები, რომელთა წინ, ვერცა ერთს ევროპიის განათლებულს შეეძლო დგომა. კახეთში იყო, არ მოვიხსენიებ აქ ქართლსა, რადგანც ჩემის მოხსენების აზრის განვრცელებას ვერიდები, — ორი სხოლა: ერთი წმინდის ლუთაების მონასტერში, შუამთის ახლოს, სადაცა აღიზარდა დავით აღმაშენებელი არსენ იყალთოელის ზედამხედველობით და მეორე წმინდის ნინოს მონასტრის სხოლა,

რომლის მოწამეჲნი დღესაც იდიდებიან.—აქ ასწავლიდნენ საღმრთო საეროს წიგნს, რიტორებას, ღუთის მეტყველებას და სხუას. უკანასკნელს დროში ასწავლიდნენ ენებსაც, რომელთა შორის თამაშობდა უპირველესს როლს რუსული ენა. კადნიერებით შემიძლიან ვსთქუა, რომ მამინდელნი აღზრდილნი ბევრ გზის გარდემატებიან, ახლანდელთ მაღალ სასწავლებელში აღზრდილთ. მე მოგახსენებთ შესახებ ქართულის ენისა. რას ნიშნავს ეს, რომ მამინდელებრ ნასწავლნი ქართულს ენაზედ და დახელოვნებულნი ძჳრად მოიპოებიან ჩუენს ქვეყანაში?—ეს ცხადია! ამის მიზეზნი ვართ ჩუენ, თჳთან ჩუენ კეთილშობილნო! სადაცა აღიზარდა დავით აღმაშენებელი, ის სხოლა შექნილა ფრინველთ სადგომად; სად განაგებდა მიტროპოლიტი იოანე და სადაც, ესე იგი: სადაც იმყოფებოდა სამაგალითო წმინდის ნინოს მონასტრის სხოლა, ის გარემოება თჳთქმის დარღვეულა, ერთი ეკკლესია დარჩენილა და ისიც შერიცხულა მცხეთის ეკკლესიათ,—იმ ქართველთ განმანათლებელის საფლავზედ დაფუძნებული, რომელმანცა დიდი ღვაწლი შესძინა ჩუენს სარწმუნოებას და განათლებას. განვჩხრიკოთ კარგათ და დავაკჳრვოთ თვალი, რომ ყოვლის ღონის_ძიებით მეცადინეობა უნდა გავძვე-

წიგა, არ მოსწავლიყო სამკვდროდ მამაპაპით გადმოცემული ეს ორი უმთავრესი სწავლა, სადაცა ჩუენი შვილები და შვილის შვილები სწავლობდნენ, პირველად თავიანთ მამაპაპის ენას და მერე, ღუთის მეცნიერების საშუალობით ფილოსოფიას. წარსულს აღარა ემგულებარა, უნდა ვიფიქროთ მომავალისათვის. — თუ გვსურს ჩუენის შვილების განათლება; თუ გვსურს იმათი კეთილ გზაზედ დაყენება, პირველად ამას უნდა ვეცადინობდეთ, რომ მივსცეთ იმათ შემთხვევა ისწავლონ: პირველად თავიანთი მამაპაპის ენა, ჩუენი მეცადინეობაც დამოკიდებულია ჩუენ წარმომადგენლებზედ. — პატივცემულნო წინამძღვარნო! დღეს თქუენ დაგინდოსათ ჩუენმა საზოგადოებამ ღირსეულად, მძიმის ტვირთის ასასრულებლად; დღეს თქუენზედ არის დამოკიდებული ჩუენის შვილის, შვილის შვილების კეთილდღეობა. პირველად უნდა მოიხმაროთ ის ღონისძიება, რომ დაწესებულ იქმნენ ის სასწავლებელნი, რომელთაცა დიდი მნიშვნელობა ჰქონიათ ძველის დროს; ის სასწავლებლები, სადაც უსწავლიათ ზედმიწევნით ქართველებს თავიანთი ბუნებითი ენა. რომელსაც ისწავლიან და განვითარდებიან თავიანთს ბუნებითს ენაში, ესმით რა ღირსება თავიანთ თავისა, მაშინ შეიძლება

გადაიყვანებოდნენ უმაღლეს სასწავლებელში, სადაცა ისწავლიან სხვასა ენასაცა და სხვა საგნებსაცა. თუ ჩემი არა ვიცით, სხვას რას ვისწავლი? თუ ჩემის თავისა არა მესმისრა, სხვისას რას გავიგებ? ბევრმა არ იცის ახლანდელს დროში ქართული ენა, უმეტესად მაღალი სასწავლებლებითგან მოსულთა, ამას თვითონვე აღვარებენ. არ შეიძლება სულის და ენის ლექსში, ქართველმა ქართულს ენაში არ გაურიოს სხვა ენის ლექსი. ეს გახლავსთ ქართულის ენის უსწავლელობის მიზეზი, ნაკლულევანება ქართულის სასწავლებლებისა. ერთს ჩვენს კეთილშობილთ მწყემსთაგანს მოუხსენებია, ვითომც საჭირო იყოს უმაწვილების რუსეთში გაგზავნის მოუმატონ რიცხვი, ან პრიკაზის დანარჩენის ფულითგან, ანუ ჩვენის ღონისძიებით. ჩემის აზრით უმჯობესად ვხედავ, იმ დანარჩენის ფულიდგან, უკეთუ მთავრობა წყალობას მოიღებს, დაწესდნენ და განახლდნენ ის ქართულნი სასწავლებელნი, რომელნიცა ყოფილან მოქმედებაში ძველს დროს.— და მეორედ მოიქცის ყურადღება იმ სასწავლებელს, რომელნიცა დაწესებულნი არიან მთავრობის წყალობით ჩვენდა სასარგებლოდ. ეს მოვალეობა აწევს, კეთილშობილთ მხრივ ამორჩეულს პირს. განათლების წარმატება მოსწავლეთ რიცხვში კი არა მდგომა-

რეობს, — განათლების წარმატება მდგომარეობს სწავლის თვისებაში და ღირსებაში. მამასადამე უნდა მივაქციოთ ყურადღება ჯერ იმ სასწავლებლებს, რომელშიაც სწავლობდენ ქართულს ენას. — გიმნაზიაში დანიშნულია ქართულის ენისათვის ერთი მასწავლებელი, რომელიცა ასწავლის მხოლოდ კითხვას და წერას. ეს საკმაო არ გახლავსთ. ქართულის მოსწავლის ქართველისათვის საჭიროა იცოდეს, თავისი მამაპაპის ისტორია, ისტორია თავისის ლიტერატურისა და კლასიკებისა, რომელთა ზმენას ჩვენნი შვილები სასწავლებლებში მოკლებულ არიან. რუსეთში გავზავნის რიცხვის მომატებას მოსდევს ხარჯიცა, რომელიცა ან უნდა ვიხოვოთ ჩვენდა სამძიმოთ მთავრობასა, ან უნდა კისერზედ დაწვეს კეთილმობილთ, რომელთა მორის შემძლებელნი მდიდარნი არ არიან. — მხოლოდ ამ სახით სასწავლებლებზედ ყურადღების მიცემა, როგორც გაჩვენეთ ზემოთ, არ მოითხოვს არავითარსა ხარჯსა. — საკუთარის სასწავლებლის დაფუძნება ყოვლის უეზდის ერთერთს მონასტერში, სადაც იქნებიან მასწავლებლად ქართულის ენის მცოდნენი ბერები, აგრეთვე არ მოითხოვს ხარჯს, რადგანაც ყოვლის მოწაფისათვის არაფერს შეადგენს, სწავლაში გაიღოს წელიწადში რამდენიმე მანეთი.

ამით მოვიყვებით ორს: პირველად, რომ დაწესდე-
ბიან საკუთარნი სასწავლებლები, სადაცა ისწავლიან
თავიანთ ბუნებითის ენის გარდა, რუსულს ენასაც,
მეორედ დაწესდებიან ისივე მონასტრები, რომელ-
ნიცა ყოფილან ადრე დიდებაში და, რომელნიცა
ახლა გაუქმებულნი არიან.—ზოგი ერთის აზრი
გასწავლით შეადგინონ საზოგადოება, რომელმაცა
კისრად უნდა იდოს ძველი წიგნების გამოცემა.
ეს აზრი დიდად მოსაწონია, მაგრამ ესკი უნდა
მოვიხსენიოთ, რომ იმ საზოგადოებაში არიან თუ-
თანვე ის თაოსანნი იმ გვარნი პირნი, რომელთაცა
არ იციან გვარიანად ქართული ენა. ჯერ უნდა
ვისწავლოთ და შემდგომს ვასწავლოთ; ჯერ უნდა
შევიძინოთ ენის ცოდნა, რომ უფრო სიამოვნებით
წავიკითხოთ ის ძველი წიგნები, რომელნიცა ზოგ-
თათვის ახლა ძნელი გასაგონია.—ამას გარდა კე-
თილმობილმა უნდა გაიღოს ყოველწლივ გადა-
კვეთილი ფასი მაშინ, როდესაც რომ ჩვენ ჟურ-
ნალში შემოვაცხადეთ ძველი წიგნების ბეჭდვა.—
არა სჯობია ამ ჟურნალში იბეჭდებოდნენ ვრც-
ლად ძველი წიგნები, რადგანც სცამბაც. მზათ
მომართულია, მხოლოდ კეთილმობილთ საზოგა-
დოებამ იზრუნოს კელის მომწერთ მომატებისათვის.
ფასი ისივე იქნება, რაც უნდა მოემატოს ჟურნალს

და განვრცელდეს. ხელის მომწერისათვის მაშინ ფასის გალება არ იქნება სამძიმო, რადგანაც ჟურნალსაც მიიღებს და ძველს წიგნებსაც ძიგ ჰპოებს.

ყოველს სახელმწიფოში უპირველესნი საგანნი არიან ორნი: სწავლა და ლიტერატურა, ეს ორნი ერთი ერთმანერთზედ მჭიდროდ არიან დამოკიდებულნი. სწავლისაგან წარმოსდგება ლიტერატურა, ხოლო ლიტერატურისაგან ჰსწავლა. პირველი ჩუენი ზრუნვა უნდა იყოს ამ ორ საგანზედ, უკეთუ გვსურს ჩუენის შვლების აღყვანება და მტკიცედ განათლება. მეორე კისრად მიდვის მე, თქუენს მოჩილს მონას და მოსამსახურეს, თქუენისავე შემწეობით და თქუენისავე დახმარებით.— რაც რამ შეუძლიან ჩემს კაცობრიობით ძალას, არასა ვზოგავ ჩუენის სიტყვიერების წარმატებისათვს.— ეს მეხუთე წელიწადია, რაც გამოდის ჩუენს ენაზედ სალიტერატურო ჟურნალი, ჩემს მხედველობასა ქვეშე. არ შემიძლია აქ შემოკლებაში, არ მოვახსენო მადლობა ამ ჟურნალის დამფუძნებელს, თ. გიორგი ერისთავს, რომელიცა იმყოფება ახლა აქ და, რომელიც იყო მიზეზი ახლანდელს საუკუნეში ჩუენის ლიტერატურის გზის გახსნისა. რასაკვირველია არ შეიძლებოდა პირველსავე დაწყებაში მისცემოდა ის სისრულე,

რომელთაცა იდიდებიან ევროპის ჟურნალები-თვის მკითხველნი ხედავენ თან და თან წარმა-ტებასა. წარსულს წელიწადს მოუმატეთ მეტი მწიგნობრობის ნაწილი, სადაცა იბეჭდებიან მეტ-ლი წიგნები. ამ წელიწადს მოემართეთ იმ გვა-რად რედაქცია, რომ დაკაწვლეთ მხატვრობის კილოსანი, რომლისა სამუალობით ჟურნალში იქნებიან მეტის ცის-ქალაქების სახეები თვისის აღწერილობით და გამოჩენილთ მწერლების ფორ-ტრეტები თვისის ცხოვრების აღწერით.—

დღეს სრულდება, თუნდა ვსთქვათ დასრულდა ივნისი. ჩუენი ყოველივე იმედი და სასოება დამ-ყარებულია უფალთ აღმოჩეულთზედ. თქუენით მოველით პატივცემულნო, ამ ორის საგნის წარ-მატებასა და ჩუენში კეთილმოქმედობის დათესვასა. თქუენ უნდა დათესოთ ჩუენში ნაყოფი და თქუენ-ვე უნდა მოიმკოთ ჩუენის მკრეფასის მამულისა-თვის. ორნი უმთავრესნი საგანნი: სწავლა და ლიტერატურა, მეფობენ ყოველს ქვეყანაში, და ამ ორთა უპირველესთა საგანთა უნდა დაეხმარნეთ იმეფონ ჩუენს მცირედს ქუეყანაშიცა, სადაცა მე-ფობს ყოველით კერძო მყუდროება და მოსვენება. დასასრულს,—ამას მოგახსენებთ, იქნება თქუენში ზოგმა ერთმა, მიიღოს ეს ჩემი აზრი სწყენად,

უალავოდ. მე ამაზედ ეჭვში გახლავარ და ამ ეჭვში მყოფობის დროს მაგონდება, ჩუენის წარჩინებულის პოეტის შოთას, განთქმულის პოემიდგან ერთი ალაგი, სადაცა ჰსწერს:

«ბევრჯელ თქმა ჰსჯობს არა თქმასა, ბევრჯელ
თქმითაც დაშავდება!...

ივ. კერესელიძე.

**1861 წელსა.**
**იანვრის 30.**

## ნაკმაზი.

ერთმა ჩემმა მეგობარმა, რომელთანაც მქონდა ჩუენს ჟურნალზედ სინქომლოდ ლაპარაკი მითხრა ბოლოს: «ჟურნალი არის მზგავსი ეკკლესიისა, სადაც ყოველს კაცს შეუძლიან შესვლა და სანთლის ანთებაო. მდიდარი თავის სიმდიდრეს გამოიჩენს და გლახაკი სიგლახაკესაო. ამისთჳს ყველამ, თავის შეძლების გვარად, უნდა ვაჩვენოთ ჩუენს ჟურნალს შეწევნა მწერლობით ანუ სხუა რითიმე. ამას ითხოვს ნამდვილი მამულის სიყუარული. ცარიელი ლაპარაკითა და ტყუილათ სელების მლით არა გამოვარა ჩუენს სასარგებლოთ.» ამ სიტყვებმა, სწორეთ მოგასხენოთ დამაფიქრეს. თვალწინ წამომიდგა ახლანდელი მდგომარეობა ჩუენის ჟურნალისა და, თითქო, მესმოდა ამის ყვედრება, მსგავსად იმ პაგარძლისა, რომ უთქუამს: იკარგს

არ მალოცხიან, თუ არ მაკადრიანო," რაგქნა რით გასწყინო ქერხილ', ამ ჩვენს პატარძალს მეშფი-ობა მეთქი? ფილოსოფოსს, ლუთის მეტყველობის და სხვა ამ გვარი მალალი და სამეცნიერო საგნების თავი მე არა მაქვს მეთქი. «დიდს თავს დიდი სული ბერკა უნდაო.» ამაზედ დიდხანს ვფიქრობდი, დიდხანს ვიყავ გამოუთქმელს ლუმილში, და დავდიოდი სან წინ და სან უკან ჩემს პატარა ოთახში, ისე რომ თავბრუ დამესხა, და კარგათ რომ დავილალე, დავიქანცე, მივედი და დავსხედი სკამლზედ, რომელზედაც არავინ მორეული, მთიულობისა არ იყოს, ქოთურში გამმული, ეყარა სხვა და სხვა ჟურნალები და გაზეთები. ავილე ერთი, ავილე მეორე და როგორც ვიცი, მხიარულის სახით, ისე წავიკითხე. კარგე რომ არავინ არ იყო იმ დროს ჩემთან, თორემ თავის მებნა რომ არ დეეწყო, ქალებს უთუოთ დამიჭერდა და ამასთან წაიბურტყუნებდა: საწყალს რა დემართა უთუოთ გაგიჟდაო? მაგრამ მიზეზი ამისთანა მხიარულობისა სრულებით გასაკიცხები და ჭკუაზედ შემშლელი არ იყო. ვითომ მეჭორა რუსული გაზეთი «Сѣверная пчела»: (ჩრდილოეთის ფუტკარი). სადაც იყო დაბეჭდილი სტატია სახელდობ: «Всякая всячина.» დავხედე თუ

არა იმ სტატიას მაშინვე წამოვსწვდი, თითქო ვიპო-
ვნე დაკარგული რამ და ვუთხარ ჩემს თავს: ამას
უნდა მოვკიდო კელი მეთქი. ვავლი, მივავლი,
მოვავლი და რასაც დავინახავ, შევიტყობ ანუ გა-
ვიგონებ, და ან რასაც წავიკითხავ მოკლედ და შე-
სანიშნავს ამბავებს ცალკის მკითხველებს შევატ-
ყობინებ მეთქი — იმ სტატიას სახელადაც ეს იყო,
გადავწვდი მაშინვე ჩუბინოვის ლექსიკონს, თუმცა
დიდის შიშით, რომ შენსა «Всякая всячина»
როგორ უთარგმნია მეთქი. ლექსიკონმა უმეცრობს
რომ, სხვათა შორის, ეს ლექსი არ დავიწყებია
და უთარგმნია: «რაც გინდა ყოველფერი.»
ვსთქვ, ამ ლექსს მეც ასე ვისმარებ მეთქი. ამ
ფიქრში რომ ვიყავ, ამ დროს მომაგონდა ბასხო,
რომელიც ჰქონიათ ერთ ალაგს ქართულის ენის
მცოდნეთა, მაზედ რომ «Смѣсь» ქართულად
როგორ უნდა გადმოვთარგმნოთ? ერთს უთქვამს
სხვა და სხვა ამბავი, მეორეს ალია მესამეს და
სასაცილოკი ყოფილა, მესამე წამომდგარა და უთ-
ქვამს: მოდი ნარკვევსათ ვთარგმნოთო ამაზედ
დიდი ლაპარაკი ჰქონიათ და ჩვენებურად ბევრიც
უყვიათ. სერიოზნობა ხომ იცით ნაკვეთობისა:
სიძულვა, ქუდი, სიცილი, ყვირილი და.. საქმის
დაუბოლოებლობა. აი ჩვენი ჩვეულება. მაშინ

ბოდა — **Смѣсь** ეთარგმნათ ესრეთ თუ არა, მე ამაზედ არაფერს არას ვიტყვ და ჩემი ჩრდილოეთის ფუტკრის «**Всякая всячина**» კი ნაკმაზსა» მითარგმნია და ესრეთ მიწოდებია ჩემის სტატიისათჳს, და ნუ გეგონებათ, რომ ამ თარგმნას მე თავზედ ვახვევდე ვისმე, და როგორიცა ჭეშმარიტესა ჩემს ნაკმაზში, პურის ნაკმაზსაკი არ გეგონოთ. ესე იგი ჩემს სტატიაში ყველაფერი იქნება, რასაცკი ჩემი ყურები და თვალები, გაიგონებენ და დაინახვენ და ამისთჳს, საჭიროთ ვრაცხ დღეის შემდგომ დავიხურო უჩინმაჩინის ქუდი, და ისე ვიარო ყველგან, რომ არ დამემალოს რამა. ხოლო კახონათ დამიძვრია: არც კარგი და არც ცუდი, არც ბოროტი და არც კეთილი არა დავმალორა. ესრეთ, რასაც გავიგებ, დავინახავ და წავიკითხავ წვრილ წვრილათ, ნაწყვეტ ნაწყვეტ და წყნარათ მოვახსენებთ. ნათქვამია «აჩქარებითა სოფელი არავის არ მოუჭამია.»

ანჩისხატურათ ჩავიკეცე ქუდი, ვახსენე ღმერთი და ბედი, და გამოვედი შინიდამ ქუჩაში, სადაც დამხვდა მოხუცებული ერთი დედაკაცი, ორკეც ჩადრ წამოსხმული, ტანში მოხრილი, რასაკვირველია სიბერისაგამო,, ტუჩებ და ლოყებ ჩამოშვებული. უეჭველია რომ არ მაეხედამდი იმ მშუწ-

ნიერებასა, და თუ შამყხელნა კიდეცა ისე მაინც არ გავშინჯავდი, როგორც მშვენიერს ქალსა, რომლის ხილვით ყმაწვლს კაცს დაუწყებს ხოლმე მაჯა ხშირად ცემასა და გული მრიელ ჭმევრასა, თითქო საოფლე მაყყართ; მაგრამ ერთმა მისმა ცხვრის დაცემინებამ მიიქცია ჩემი ყურადღება, ასე რომ თავით ფეხამდისინ თვალი გადავავლე და ისე ჰგვანდა ის მოხუცებული ჩემს ერთს მცნობს მოხუცებულს დედაკაცს, რომ ცოტა გაწყდა არ მოვიკითხე და თავი არ დაუკარი, და რომ დავაცქერდი, მაშინ მლიკ გიცანი, რომ ის არ იყო და ვსთქვ: სახით რომ ასე ჰგავს, იქნება ქოროობამიაც ჰგვანდეს მეთქი. მაგრამ ვინ იცის, იქნება ისე მორიდებული იყოს ქორაობისა, როგორც ჩემი მცნობი. წინააღმდეგ ამისა, მორიდებული არის სიმართლესა. უნდა მოგახსენოთ რომ, ჩემს მცნობს მოხუცებულს რომ ყური დაუგდოთ განჭკვრდებით და სამჯერ უთუოთ პირჯვარს დაიწერთ: ღმერთო სადამ იგონებს ამდენ ქორებსა და სიცრუესაო. მაგრამ ჩემი თ... სწორედ ანგელოზათ მეჩვენა შემდეგ ერთის ყმაწვლის ქვრივისა, რომელიც ესლახან გავიცანი. პირველათ არა მეჯეროდა რომ ამისთანა ყოფილიყო მაგრამ, სამწუხაროთ, მალე დავრწმუნდი, რომ ამისთანა მექო-

რე, იქნება, როგორც შეუბნებოდნენ მთელს ხმე-ლეთზედაც არ იყოს მეთქი. თუნდ ალაპარაკეთ, თუნდ აჭირავეთ, გარწმუნებთ, პურის ჭამა, რაც გინდა მშიერი იყოს, დაავიწყდება, თითქო ეხლახანი სუფრიდამ ამდგარაო. ამის ლაპარაკს რომ ყური დუგდოს კაცმა მაშინვე იტყვის: «წყალს აქცევს ამობრუნებულსო,» ჰქწორიეთ ამაზედ უნდა იყოს ნათქვამიო და სწორედ ამისი ქა-რი უთუოთ ამის ჭორაობას მოუკლავსო: როგო-რადაც იმათ ჭორაობას ყური არ უგდებ და არც მჯერა ხოლმე, აგრეთვე იმ ზემოხსენებულ მო-ხუცებულის ცხვრის დაცემინებისა, რომელსაც არა რამე ძალა არა აქვს და არც ექნება კაცის მოქმედობაზედ და ცხოვრებაზედ, მაგრამ ამათ მორწმუნებას ისე ღრმათ გაუდგამს ჩვენში ფე-სვ, რომ ბევრნი, ჩვენს ალაგს რომ ყოფილიყე-ნენ უთუოთ უკანვე დაბრუნდებოდნენ: «ჰე! ერთი ცხვარი მომივიდა, ხეირი არა იქნებაო.»

ცხვრის დაცემინება, როგორც ნიშანი ბედნიე-რებისა ანუ უბედურებისა ძველადვე არის მიღებუ-ლი. გომერი, რომელიც ჰსცხოვრებდა რამდენიმე წლის წინათ ქრისტეს შობისა, ჰსწერს ამაზედ თავის პოემაში: «ოდისეა,» პოეტები, რომლებსაც ლა-მაზის ქალის ქება უნდოდათ, ამბობდნენ: «ამის

დაბადების დროს ამურთ ცხვარი დაუცემინებიათო? ცხვირის დაცემინება დილით ქვეშაგებიდამ და სუფრიდამ ადგომის დროს უბედურების ნიშნადა და ისე იყვნენ დარწმუნებულნი ამაზედ, რომ მეორეთ მიუბრუნდებოდნენ ქვეშაგებში წოლას და პურის ჭამასა. საბერძნეთში, კურთხვის დროს, ვისაც ცხვირს დააცემინებდა უთუოთ უნდა ეთქვათ: ვწყალობდეს იუპიტერი. აფრიკაში, აღარ მახსოვს რომელს ქალაქში, როდესაც იმათ კოროლს ცხვირს დააცემინებდა, თავმდგომთა უნდა დაიწყონ სამოხელი თურმე ყვირილი და ვინც იმ ყვირილს გაიგებს იმანაც უთუოთ ბანი მისცესო და იმ ყვირილით მთელი ქალაქი შეიტყობს ხოლმე რომ კოროლს ცხვირი დააცემინაო. წარმოიდგინეთ რა ყვირილი უნდა ასტყდეს, როდესაც კოროლს შეეყრება სურდო სასაცილის მსგავსი რომ არის! საიდამ, ანუ რომლის მიზეზით დაუწყვიათ ხალხს თავის დაკვრა და მილოცვა ცხვრის დაცემინების დროს: ვწყალობდეს იუპიტერი, ღვთის წყალობაა, სიცოცხლე, დღეგრძელობაო და სხვა ამ გვარი სურვილი, ნამდვილათ არავინ არ იცის. ცხემით სულის ამოვვართმევენ თუ ცხვირი დააცემინე ჩუმნში მაშინ, როდესაც მიცვალებულს ასვენებენ. ყველამ ხელი უნდა დაჰკრას და სთქვას «შენი ჭირი მენა

სეხნასო.» საჭირო არ არის თვითოეულათ ჩამოვ-
თვალოთ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენში ცხვრის
დაცემინებასა.—ყოველმა ქართველმა თვითქმის
იცის. «ჩვენ ამიტომ გჭირცემთ პატივს ცხვრის
დაცემინებას, სწერს მონტანი, რომ თავიდამ
წარმოდგება. სასაცილოთ ნუ აიგდებთო, ამას
ჭსწერს არისტოტელიო.» თავს ამიტომ ვიკრამენ
ცხვრის დაცემინების დროს, სწერს არისტოტელი,
რომ ამით გაჩვენონ, რომ შენი ტვინი არის
ტახტი გონებისაო.» დიდი ისტორია შესდგება
თვითოეულად რომ ჩამოვსთვალოთ სხვა და სხვა
აზრები ამ საგანზედ. ანბობენ ვითომც ევროპაში
ეს ჩვეულება შემოსულიყოს მეექვსე საუკუნეში.
იმ დროს გაჩენილა თურმე რაღაცა ჭირი, იმ-ნი
რომლისა ყოფილა ცხვრის დაცემინება და მაშინ
ვისაც დააცემინებდა ცხვრის სიცოცხლე უნდა ენა-
ტრათ იმისთვის, რადგანაც იმჟამათ გადაურჩებოდა
კაცი იმ ჭირსა, რომ ცივი საფლავი არ მოენახა.
მიზეზი ცხვრის დაცემინებისა ხშირათ ცხვრის მარლვე-
ბის გაციებაა და ცხვრის მიენით კანის გახმობა, რო-
დესაც ნაზლას თავიდამ აღარა აქვს მომდინარეობა.
მაგრამ ამ მიზეზებს დავიდევს ამათ მორწმუ-
ნება, რომლის აღმოფხვრა უნდა მივანდოთ მხო-
ლოდ განჭსჯასა განათლებისსა. გაუნათლებელი

გულო ქრისტეთ შეიწყალოა, შეიწყალე უკურს, შეიწყალე სწყურა. რომლის იქნება ჩვენსა წლოვანება, წლოვანება გასაღების, წლოვანება გონების? მაშინ, რომელსაც გონება მოეცემა თავისი ალაგი და თავისი მნიშვნელობა, არ იქნება დაიხოვნილი და დავიწყებული და არ ისახსოვლებს აქა იქ უადგილოთ და უხაყოფოთ, მოვიწვიოთ გონება და ვკითხოთ ყოველივე და დარიგებისამებრ მისისა ვიმოქმედოთ, და უეჭველად დავემორჩილებით ამათ მოთხოვნებსა, რომელთაცა დამონავებულნი არიან ჩვენნი ძველი ერთი ბატონები, საკუთრები და საყვარელნი მეგობრებით შვილთა და შვილის შვილთა ჩვენთაგან.

იქნება ბატონები გამიწყრნენ ამ თავისუფლებისა და სიმართლისათვის ჩემისა და მოისმინონ [illegible] ჩემი რადგანაც ჩემი სიტყვები [illegible] მათის სახლის; ამისთვის მათ უნდა მოვახსენო, რომ ბოროტებისა ჩემში სიტყვებით არ აქვს ალაგი, გარნა კეთილის სურვილისა და განზრახვისა, რომლისა მიერ ლაპარაკი სასიყვარულოთვე ჩემთა მამულთა. ვკითხოვ ბატონებს რომელნიც უნდა იყონ დაფარული მათი საკუთრებანი და ან რა მიზეზი უნდა მოვიგონოთ, რომ საქმეებითა არ გამოვაცხადოთ? ამა სიტყვა-

რულს, თუ მოგვითხოვენ ნამდვილს და არა ცრუსა სიყვარულსა, ამას ვერ იკისრებთ, რომ ჩვენის ძმის ნაკლულევანებს გულკრულით ვყრიდნე ვუყურეთ და სხა არ ამოვიღოთ, თვინიერ იქ არა აზრეარია, მიწიერსიმშვიდე და მიწიერ სიყვარული ჩვენი იმით. მდგომარეობს რომ არც კეთილი და არც ბოროტი, არც ღირსება და არც ნაკლულევანება არ დაგვიმალოთ. ვულნეთ დიდად ხელი ბიჭონებმა და იქ მოსმენა პატიოს ამაზე თუ ვსჭვრეტთ და თუ არა ვჭვრეტთ ეხლა არა გარიგებსმა და მეც ფრთხილ მოუსვენის ჩვენს საქმესა, რომელიც მეკირა, სად არის იგივე. ნებენ, ვიცი უნდოდა ვერ ვიპოვნე, მე ვან ვრძელობ ჩემს მოუწყენლობს. —

რომელიც ზემით ვიცი, ნამის ფერით მქონ-და ქვეყ ნაკუთი და იმ მეგობარ, ვიღაცა სუმინარიის წინა და მისი ღვთისმშობლის ქვე-ვასულის, ამ ახალ სიტყვების. თუ ვნახო მე-ცული ახალი ანბავი აქ მოვიხსენიო, ვიტყვი, ვამოეირჩე და უფრო ახლო ნაცნობ რამე, ვიცი მით, თუმცა უნდა ეწიდონ იმ ყრის ვეფხის თავ-ზიან დასაყვედური და პირველ ღვიძლი რომ ჩა-მოდის, თორემ ვულისის ანგარიში მეტი არის ფუფუნებისა: ერთი თუმან! ორიც თუმან, ამ

სალაყბოზედ ბევრი რამ არის სათქმელი,—ამ სალაყბოზედ ბევრი რამ არის სათქმელი, რად-განაც ჩქარებით საქმის გაკეთება არ ვარგა, ამი-ტომ შემდგომისათვის დარჩეს ამის აწერა და მნიშვნელობა. ქარვასლასთან მეიდანი და სალაყბო-ფილიქანზედ ბოლოკის შესახებ რომ არის, გა-გონილი ხიდან ვნახავთ რომ ვიქნათ კაცი, ერთი რუსული ჩაცმული, მეორე ქართული, მაგრამ რუსულის ქუდით აი უსწავლი მესამება და ვე-მოკნება! მესადგნე ერთმანეთს მოგვივლით რომ დაინახეს ერთმანეთი, აგე სიამოვნებით გაუცინეს ერთმანეთის, რომ გვეონება აო წლის უნა-ხავები არიანო-რუსული ქუდიანმა მეამ მიასლოვ-დებოდა და ჩამოართმევდა ქუდს, მორიდამვე და-უმახა:

ოჰ! ეჲუჲ!

მოლის ინჩისიბარე? ჰკითხა მეორემ და ჩამოარ-თმევს ერთმანეთს ქუდი.

თბილელი.

(განგრძელება შემდეგში.)

120 ვერსზედ წარსულს თჳს ნუხვრში გა-შეგებულის ერთი სტრიქონი ლექსი, გისოვე წაი-კითხეთ ესრედ:

მამ უგრძნობლობით,
სულ-გაქვავებით
* ნუ დაჰნელებ ნიჭთა ცეცხლთა.
უსიხარულოდ,
უსიცოცხლულოდ
რა სანატრელ-არს სიმრავლე დღეთა.

ქვლის მოწყენით სია დაიბეჭდება შემდეგომ ნუხვრში.

## მოძღურება.

ბიბლიოთეკა

თქმული ეპისკოპოსის გაბრიელისა მიერ სოფელსა საჩხერეს ალექსანდრე წერეთლის სასახლის ეკკლესიასა შინა, ჩყნ-სა წელსა ოკტომბრის თ-სა.

მრავალთა საგანთა თჳს მსურდა განზრახვა და საუბრობა თქუენ შორის ძმანო ქრისტიანენო, გარნა მცირე ჟამი ჩემის აქ ყოფნისა არა მაძლევს ნებასა, და აწ უმჯობესად მივრაცხ, გსთქუა რომელნიმე ჭაზრი ორთა ანუ სამთა უსაჭიროესთა და უმეტეს სხუათა სასარგებლოთა საგანთათჳს, ესე იგი, პირველად, უქმობისათჳს, ანუ თუ ვითარ მავნებელ არს და ცოდვილ უქმად დროების განტარება, მეორედ თუ ვითარი მოწყობილება, ანუ, დაბიურად გიცყჳ, ვითარი მისვლა მოსვლა უნდა იყოს შორის მღვდელთა და ერთა; და მესამედ ერთობისათჳს ქრისტიანეთა შორის, ანუ

მისთჳს, რომელ ერთობა და სიყვარული ნიშანი არს მცხოველ ქრისტიანობისა.

თქუენ ყოველთა იცით, ძმანო, რომელ ერთ-მან მხოლოდ თვით განვლო რაც მე შემოვსულვარ სამწყსოსა ამასა შინა; უწინარეს ამისა, თუმცალა შორის ვიყავ ქვეყანისა და მამულისა ჩემისაგან, გარნა ხშირად გამოვიკითხავდი და შევიტყობდი ყოველსა აქაურსა გარემოებასა და მდგომარეობასა; მაწუხებდა და მაკჳრვებდა მრავალი აქაური უუ-გემო და უსიამოვნო ამბავი; ხოლო, შემდგომ მოსვლისა ჩემისა, ამ მცირე ჟამში, უნამდვლესად შევიტყვე, სამწუხაროდ ჩემდა, ვითარ დარღვეულ არს აქა ყოველი ქრისტიანობრივი ზნეობა, ხშირად განვიზრახავ გულსა შინა ჩემსა და ვკითხავ თავსა ჩემსა თუ რომელნი და ვითარნი არიან მიზეზნი ცუდისა ამის ზნეობითისა მდგომარეობისა ჩუენისა; ვითარცა მკურნალი გამოიკვლევს დაწვრილებით საცხოვართა სნეულად მყოფისა კაცისა რათა შეიტყოს მიზეზი რომელმან მისცა დასაწყისი მისთა სნეულებათა და მიუწეროს მას შესაფერი წამალი, ეგრეთვე ჩუენცა უნდა ვეცადოთ დაწვრილებით შევიტყოთ სულიერნი ჩუენნი სენნი და მიზეზნი, რომელთაგან იგინი წარმოდგებიან, უკეთუ გვსურს რათა მოგვეცეს კურნება.

ვგონებ რომელ თქმულნი ზემორე სამნი მიზეზნი, ესე იგი უქმად დროების გატარება, მღვდელთა და ერთა შორის ცუდი მოწყობილება და განხეთქილება ანუ უთანხმოება შორის ქრისტიანეთა არიან უმთავრესნი და უმეტეს სხუათა მავნებელნი.

ვსთქუათ პირველად უქმობისათჳს, ანუ უქმად დროების გატარებისათჳს. დრო, ძმანო ჩემნო საყუარელნო, ყოვლისა კაცისათჳს არს და უნდა იყოს პირველი და ძჳრ-ფასი საუნჯე, ვინაიდგან იგი არს საშუალი ანუ ღონე შეძინებისათჳს ყოველთა სხუათა საუნჯეთა, ვითარცა ხორციელთა, ეგრეთვე სულიერთა. ვინც ჰკარგავს თჳთ ცხოვრებასა, იგი ჰკარგავს ყოველსა სიკეთესა, ჰკარგავს თჳთ ცხოვრებასა თჳსსა, ვინაიდგან დრო არს თჳთ ცხოვრება ჩუენი: განათლებულთა ერთა შორის არა მოიპოვება არცა ერთი კაცი, მდიდარი ანუ ღარიბი, რომელი ან ერთი საათი იყოს უსაქმოდ. ყოველი სული მათ შორის იმას ცდილობს, რათა ასარგებლოს თჳსი დროება და შეიძინოს რაიმე ყოველ დღეს. გარდა ამისა უსაქმოება არს წყარო ყოვლისა ცუდი მოქმედისა, ანუ, ვითარცა იტყჳს ერთი რუსული იგავი, არს იგი დედა ყოველთა ცოდვათა. არცა საკჳრველი არს ესე: ვინაიდგან უქმი კაცი მიდრეკილ არს ყოველსა ცოდვისადმი; ადჳ-

ლად მისცა მას გულში ყოველი ბოროტი გულის სიცრუე, ადვილად აცთუნებს მას მტერი.

ახლა მივიქცეთ ჩუენდამი:

თქმული აწ სრულიად გამართლდება, როდესაც მოვიხსენებთ მას რაც მომხთარა და რაოდენსა ვხედავთ უწესოებასა ჩუენ შორის. უმეტესად კეთილმობილთა შორის რაც ისმის ურიგობა და სჯულის დარღვევა ყოველივე წარმომდგარა უქმობისა მათისაგან. ვითარ განმრავლდებოდენ და განძლიერდებოდენ კეთილმობილთა შორის მრავალნი, რომელნიც ვესმის, შემარცხვენილნი საქმენი, უკეთუ თითოეული მათი იდევს რომელსამე საქმესა ზედა და მოსწავლედ ასრულებდეს მას. ერთი ფრიად მავნებელი ჭაზრი ძველიდგან არს დაფუძნებული ჩუენ შორის, მმანო ქრისტიანენო, ესე იგი ვითომც რომელნიმე მოძმანი, ანუ მეუმაობა ანუ სულით მოქმედება შეაგინებდეს კეთილმობილსა კაცსა, ძველთა დროებათა შინა ჭაზრსა ამას ჰქონდა ძმანო, თჳსი მოწაფე მაზუზი და საფუძველი; ვინადგან მაშინ ყოველი კეთილმობილი კაცი იყო აღზრდილი იარაღითა და იცავდა მამულსა თჳსსა მრავალთა მტერთაგან და ვერ მოიცლიდა მუშაობად და მამულისა კეთებად; ხოლო დღეს, მადლითა ღუთისათა, მოვეგვეცა მშჳ-

ლობა და მოსვენება მტერთაგან და კეთილმობილე-
ნიცა უნდა შეუდგნენ საქმისა კეთებასა და მამუ-
ლის მართვასა და მუშაობასა. თითოეულმან მათმან
ახლა უნდა გაიჩინოს თვით ოჯახში და მამულში
საქმე და არა იყოს უქმად. არა ვითარი საკლუ-
ლევანება ესრეთ არ დაამდაბლებს და წაახდენს წო-
დებისა კაცისასა, ვითარცა უქმობა.

ახლა ვსთქვათ თუ ვითარი მოწყობილება ჯერ
არს იყოს შორის მღვდელთა და ერთა. ვგონებ,
ძმანო ქრისტიანენო, თქვენცა თანახმა იქმნებით
იმ აზრზე, რომელ, ვინაიდგან ღმერთმან განა-
ჩინა მღვდელობა, ვინაიდგან მღვდელნი არიან
ჩვენ შორის, თქვენ ყოველთა ის-გირჩევნიათ
და უნდა ცდილობდეთ რომ მიიღოთ მათგან რაც
შეიძლება უმეტესი სულიერი სარგებლობა. ახლა
ვიფიქროთ: ორთა მღვდელთა შორის რომელთაგან
ერთი სრულიად დამონებული არის თავადისა ანუ
აზნაურისა, ანუ საზოგადოთ, მრევლისა თვისისა,
ესრედ რომელ, არც შეუძლია და არც იცის ხმის
ამოღება მათწინაშე, ანუ დარიგება მათი, და მხო-
ლოდ სწირავს და ილოცავს, გარნა მეორე კადნი-
ერათ იტყევს ყოველსა, არა ეშინია და შეუძლია
დაარიგოს და ამხილოს ერი, ამ ორთა მღვდელთა
შორის რომელი მისცემს მრევლსა უმეტესსა სარ-

გებულობასა? ვგონებ რომელ ამაზე ცილობა არ შეიძლება: პირველი, თჳთქმის ურგებ არს, ხოლო მეორე ფრიად საჭირო და სანატრელ ყოველთა თჳს; გარნა რაოდენთა მღუდელთა, ოდეს მე ვე-ტყოდი მათ, რომელ იგინი თანამდებ არიან და-რიგონ ყოველნი და დააყენონ ცუდათ მცხოვრე-ბნი პირნი, გამომიცხადეს, რომელ თუმცალა იგი-ნი ხედვენ მრავალთა უწესოდ მცხოვრებთა თა-ვადთა და აზნაურთა, გარნა ვერ გაბედვენ რაჲმე უთხრან მათ შიშისაგამო შურისგებისა, მაშასადამე რაჲსათჳს სახმარ არიან და ვითარცა სარგებლობასა მისცემენ ესე ვითარნი საწყალნი მღვდელნი. ძველ დროებასა შინა იყო მმანი ერთი ჩუეულება; რო-მელ თავადი და აზნაურიცა ხშირად აკურთხევინებდა მღუდელად ერთსა თჳსთა ყმათაგანსა და ჰყავდა მას მღუდელი იგი, ვითარცა ერთი მოსამსახურეთაგანი, რასაკჳრველია ესე ვითარი მღუდელი სრულიად არ ეგვანებოდა მღუდელსა და ვერცა აღასრულებდა მღუდელობასა ჯეროვანად; გარნა ძველს დროს ესე ვითარი ჩუეულება მაინც ვერ წარმოადგენდა დი-დსა ვნებასა, ვინაჲდგან მაშინ ქრისტიანობა იყო მტკიცე. და მრავალთა ერის კაცთა თითქმის უმ-ჯობესად იცოდნენ სამღრთო წერილი და ჰქონდათ უმჯობესი ზნეობა, ვიდრე მღუდელთა, გარნა აწ

რომელნიმე დარჩენილნი კვალნი ჩუეულებისა ამის იზამენ დიდსა ვნებასა. ახლა უსარგებლო არს და უხმარ მღუდელი იგი, რომელსა არა აქუს სმენა, მორიდება და პატივი ერის კაცთა შორის.

ვიცი ძმანო რასა ფიქრობთ აწ თქუენ?

თქუენ, ვგონებ, ფიქრობთ შემდეგსა: რა ვქნათ ანუ რა ბრალი გუაქუს ჩუენ ვინაიდგან თჳთ მღვდელნი ვერ არიან ღირსნი პატივისა და სმენისა და ვერ მიიზიდვენ სიყვარულსა და მორიდებასა ჩუენსა. რაჲ ვსთქუა ძმანო ამაზე?... სამწუხარო და საუბედურო ჩუენდა უმეტესი ნაწილი მღუდელთა სამწყსოჲსა ამის ვერ არიან ღირსნი და სრულნი. დიდი სასჯელი და უბედურება არს ესე ქუეყანისა ჩუენისათჳს. გარნა, ძმანო ზოგნი მღუდელნი პატივისა ღირსნი და კეთილნი, და მათაცა არა აქუთ პატივი და სმენა; ამისთჳს უკეთუ გსურთ რათა გქონდეთ მღუდელთაგან სულიერი სარგებლობა, მიიღებდეთ მათგან დარიგებასა და მცნებასა, ნუ მხოლოდვე წირვასა და ლოცვასა მოელოდეთ მათგან, არამედ, უმეტესად, სწავლასა და დარიგებასა. თჳთ თქუენცა მოითხოვდეთ მათგან რჩევასა და დარიგებასა ყოველთა შინა შემთხვევათა, მაშინ აღსრულდება ვალი მათი და მოგეცემა თქუენ სულიერი აღშენება.

ბოლოს ვსთქუათ ერთობისათჳს. ერთობა ანუ ქრისტიანობის სიყვარულისათჳს, ერთობა, თანხმობა და სიყვარული, ამანი, არს ნიშანი და ნაყოფი ქრისტიანობისა. სადაცა არ არის ერთობა და სიყვარული, მუნ არცა ქრისტიანობა არის. უმეტეს ამისა თჳთ სარწმუნოება არა რა არს თჳნიერ სიყვარულისა. რასა იტყჳს პავლე მოციქული: ენასა თუ კაცთასა და ანგელოზთასა ვიტყოდე და სიყვარული არა მაქუნდეს ვიქმენ მე ვარვალი რომელი ოხრინ, ანუ წინწილი რომელი ხმობდე. და მაქუნდესცა თუ წინაწარმეტყუელება და უწყოდი ყოველი საიდუმლო და ყოველი მეცნიერება, და მაქუნდესცა თუ ყოველი სარწმუნოება, ვიდრე მთათაცა ცვალებადმდე, და სიყვარული თუ არა მაქუნდეს, არავე რა ვარ.. და მერეთუ ვაჭამო ყოველი მონაგები ჩემი და მივსცენ ხორცნი ჩემნი დასაწუველად და სიყვარული არა მაქუნდეს არა რავე სარგებელ არს ჩემდა.» ვარნა ძმანო ჩემნო, სად არის სიყვარული და ერთგულება ძმათა და მოყვასთა შორის ქუეყანასა ჩუენსა. ვგონებ რომ ყოველი კავშირი ერთობის დარღვეულ არს ჩუენ შორის, არა თუ მმობელთა შორის აღარ დაჩა თანხმობა, არამედ მახლობელთა და ნათესავთა შორის, ყურით ამათ ჩემთა ესმესთ,

რომელ მამა შეაჩუენებდა შვილსა თჳსსა, დედა სწყევლიდა შობილსა თჳსსა, შვილი უჩიოდა და აგდებდა სახლისაგან მშობელთა თჳსთა, ძმა ვე-ლარ დასდგა ძმასთან, ეს ვითარი არს სულიერი მდგომარეობა ჩვენი. ვეცადოთ, ძმანო, და გამო-ვიცვალოთ ხასიათი და ჩვეულება, გვახსოვდეს რომელ თჳნიერ სიყვარულისა და ერთობისა არა რაჲ არს ქრისტიანობა, და ამით გვეწოდება სახელად ქრისტიანე.

---

რუსის ომის ანბავი, თქმული თჳთ მუნ მყოფის ბესარიონ გაბაშვილისამიერ, დიდს შაბათს დღეს.

დღეს იხარებს დავით სულიერსა ჩანგსა თანა სულით. მღაღადებელი მეფე და იესს, აწ აღმო-სრულნა აღმთქმელმან კეთილობამან: ვითარმედ, «ერთგზის ვფიცე წმიდასა ჩემსა დავითს; რომე-ლისა შემდეგომი მსგავსად სიტყჳსა მიეცემოდა მეფობაჲ შენი და რამეთუ ძეცა მისი ბრძენი იგი სახელ სახეჲ სიბრძნისად თანა მმღუანუწელი, ვინ-თჳს დღეს ქელ-ჭყოფს მენისავე ათორათისა (1) წერად კალამ მიმსგებელი თმბურთისა (2) თანად მეუნისა.

(1) ბარათი, (2) ჯამჯი. რედ.

ორნი იგი მეფეთა პირნი ორმაღლისა(1) თანა კმათა შემწყობნი, ორკერძო განმარჯვებისა შენისა ნისაროულისა მესიკობენ; ორთა მათ მამამეთა ბრძენთა მიერ თქუენ ორთა მამამეთა თჳს, სამთა მათ მეფეთა მღუენი მეიწირგიან.

იგი მართალი მამაჲ მურდულსა მრთმელობს, მრჩობელ კერძოთა ეოლიათია(2) განმტკიცნეელობს; ხოლო სხუაჲ ესე ბრძენი მეფეჲ კუერთხსა უსამართლოთა განმხილველობს.

და ესრეთ ყოველნი სახლი დავითისი ქალ-ალტყუეულვილებრ განიმუენბს. რამეთუ დღეს დაცემა იქმნა ქედ-მაღალთა მათ უცხო თესლთა, აგაროვან და ალსდეა პირ-დავრდომილი. ჩუენ ქრისტიანეთა ქრისტეს მიერ საზრსე მეიმუსრა, და ჩუენ განვერეხით მეწევნა ჩუენი სასჯელითა. უფლისათა, რომელმან ჰქმნა ცანი და ქუეყანა. ქრისტე ალსდგა და ალეუადგინნა მონებისაგან მტერისა.

## ლექსი.

ათინელთ ენა ქუელ მესამენა, მესხმის მო-
ცალედ, გმვენს წამის წამად,
პლატონ, უმიროს, პროკლეოთურთ იროს, არის-
ტოტელი ჰყუენს დასაწამად,

(1) ჩანგური, (2) გმირი. რედ.

ბრძენნი და მხნენი, ფრანგნი, ბერძენნი, ჩრდილო, სამხრელნი, ჰსამს მესადგამად,
მოკრბით სეფესად, ქებად მეფესად, სოლომონისად ხილვა სალამად.
ოდეს ვის ემა ბრძოდეს, მუნ იცნობს კაცი კაცად,
ოდეს ვინ ჰსძლოს, სალსა მძლავრსა, ჯილდო უძღვინ ქუეყცა დაცად,
დიდთა მდომთა საქმე ცუდთა, ბრძენნი უწოდს არ მამაცად,
მაშ სადამე ჯერი არის, სიმდაბლე ვაჩნს ქელ-საცაცად.
მართ ჰგუანდა ნდომა აფსაზთა, და ცუდნი და მორჩევანი,
ბექირ-ბექს ასცეს ქელუმბეგ, და ზურაბს ალმრავს ლევანი,
ოთხნივე ძმანი მეითქუნეს, მარგამიძენი მლევანი,
დესპნით ფრენითა მოისმნეს, ლაშქარნი ქუეყნის მერევანი.
მოკრბა დასდასად, მწყობრ ბევრ ათასად, მარგა-მიქეთა ეგზო კარებსა,
ვინ იდგეს მორად, ანუ მათ ვორად, ფერს მა-ლოდ ვჭლიდეს, მთასა არეზსა,
ჯაჭუ თროსანნი, ისარ ფითოსანი, სიმრავლით სცემდნენ თუალთა ზარებსა,

აღთქმულნი ქრთამით გლიდერცა ღამით, ვეშუ-
იმზადებდნენ სასმარყებსა.
ყირიმელთ ჯიქელთ, ალანელთ კემურძელთ
ამცნეს ცნობითა,
ყივჩაღთა შემოიწუწვდნენ ინდობდნენ ქსჯულის
ძმობითა,
აფხაზნი შეეფიცოდნენ, ქრთამით და აგრევე ძღნო-
ბითა,
მეგრელნი სისხლი ქსწყურდათ თუცა შეესუათ
ეობითა.
შემოკრბენ და ალნუმს სახე დაუსასეს კმირად
ტევრად,
ცხენ თამამნი გადარჩივნეს, გადასვეწილთ მოსაწევრად,
ექუსნი გვარნი ექუსენითა ერთ კმაობდნენ ბევრის
ბევრად,
მიხდა გკითხო ზურაბ მითხარ, ვისი სისხლი
დაიდევრად?

## ანბავი და არა ლექსი.

მასმოდა ზურაბ შენისა სიბრძნისა სიბერე და ამად მიყვარდი რომე შენის მუწლისა სახლისა ზღუდეს ახალი შენობისა პირი ედვა,, აწ მე უბრალო ვიყო და ძველი შევიმართებიეს უმეცრე-

ზისა კედლისა მაშენებელად, რომელმანცა აღშენე-
ბული მკვდრი გოდოლი დაუცევე, და ევროპვე
არისა სასელოვანი სიმტკიცე უწყროთუწლისა ჯო-
რისა წინწვითა შემუსრე, და ცვლებრ ნაზელი
ზრდილობისა წესი გზასა უვიცსა ქუვად უკმარად
დაეგდე, და ამისთვს თქმული სამართლად ესე
არაკი ტაეპად.

ოდეს გაეწირონ ზედმან და სვემან, მაშინ დაე-
ცინონ კლდემან და ტყემან:

ჰანზათ

მის მჭსგავსად აღმიჩნდა თქუწნი უცები მო-
გონება, და თუ ვითცა კლდენი და ტყენი ეეცინოან,
ამა ანბავმან ზოლო ცნობიერად გარწმუნოს.

## ლ ე ქ ს ი.

მილონვით(1) მიმომსცომელნი, მოვლიდნენ მე-
ვრეთს მოზევლნი,
ზარბაზანთ წარმომმლუანელნი, იმედის მამავრე-
ბელნი,
დადიანთ მენი ლხინად სხდნენ, ამის უაზარელნი,
კმა ვვიმვლეთო მოესმათ კაცნი იახლნეს მც-
ნობელნი.

(1) სისარული. ცეკვ. რედ.

ქუთაისისა მორჭმით მჯდომელსა, ომისა მო-
მანდომელსა,
მეფესა ჰკადრეს მეცრელი მოჰფრინავს ჰგავს ნაკ-
თომელსა,
ჰკითხეს ჲ წიგნი მოართო, ფიცი ჰსწორე აქუს
რომელსა,
გალიმდა ვალი ხრესილის, აწ უთხოვნია მშობელსა.
ვითა ზავლად გამზიდველის, მავარდნისა მესუ-
და მური,
გუგას ცეცხლი მოედების გამოაჩნდა ვით ალმური,
მას ჰანბავსა თანა გაჭყვა, გულით წრფელი არ
მამსდური,
რიონს განვლის გამოჩნდება, სიყუარული სიმე
მმური.
წყალი განვლო თანა წაჰყვნენ ვინ ახლდნენ
სრისა ყმანია,
მსწრაფლ შეამოკლეს მიმორე გზისა სივრმე ჲ ვანია,
უმლუწბის მდაბლად სიმაღლე, არდია მისთჳს
მნანია,
დადიანთ მიესალამა საიმერეთოს ხანია.
მისთჳს თქმულია მსმენელნო, ჭამო საჭურე-
ცელია, ერთი მტკიცე პირიო.
ერთ პირობისა გზათა მრებული, არს სახალისო
სასტუმრებელი,

სადა რა საქმე შეუძლებელი, იგი მუნ არის გამ-
მარჯვებელი.

### ჭანზავი.

აწ ესეცა ვიამბოთ, თუ ვით შეჭგვანდა სიყუა-რული ამიერთა სპათა, საქმეცა უდიდესი სიმდაბლითა მოიპოვეს, რომელიცა აწ ითქმის ლექსად:

არა ცუდად მოყმარნი გაზირობდნენ ამა პირით,
იტყჳს: კაცი დადიანი, ვრცელ გონება სიტყუა-
მზირით,
ნუ მიხმობთო ფრიდონისებრ სისწრაფითა პურად
მჯრით,
მივეგებნეთ. მომავალთა მივხვდეთ მომხდომთ,
ლახნით მირით.
ჭაზრი ყოველი მეფისა, შებმა იყო ჯ სუროდა,
თქუა მისთჳს მოველ ჩემთა სპათა სისხლი ვასვა
ვით ჰწყუროდა,
ჯილავ დამართჳთ მიმართეს ცხენი არავინ ზმუროდა,
ზუბდითს გამოცდის საქმენი, ვინც ცუდად შეიქუროდა,
მისცნეს სულნი, ღმერთსა აგრევე, ლოლნე ყო-
ველ მიაბარნეს,
სპანი მპირე წაიცანეს, მაგრამ მათთჳს ბევრად
ჰმარნეს,

ერთი ათთა, ათნი ასთა, ასნი ათასს შეეყარნეს,
აწ ნახენით სიმცირესა, სიმრავლე სად გაეყარნეს.
გალმართ ენგურად სჯა უომარნი, სამ დასად
მოდგნენ ბერვიდენ ბუკებს,
იცვან ქლემ-ბეგ, გავლი და დავლი, ბრალი და
კრმალი, ჩემს ზურგს და სუკებს,
ცეცხლ და ალაფი, ვითლა მეწყალვის, ცხენს მრავ-
ლად გმოებ, გვა ნაცრუკებს,
გამოვლეს წყალი მინდორს დარაზმდენ, აწ იყ
არვისგან, არ მეიფხუკნეს.
სამთა რაზმთა სამნი მმანი, უმლვინნ ზურაბ
ქლემ ლევან,
მოყმე კარგი, მმა მეოთხე, გარს ურბენდის ბე-
ქირ მკნევან,
აქათ წარსდგა სჯასალარი, წერეთელი გულ-სრუ-
ლევან,
გიორგიცა მუწლი გმირი, წულუკიძე მედ-
გრულევან.
იქეთ და აქეთ შეიქმნა შეექიანება ზანისა,
შექმნათ ჭიჩვა აფხაზთა, დავიწყდა ნახვა სანისა,
თქუეს, ნუთუ მეფე აქ იყოს, რიდი აქუსთ თავთა
ფხანისა,
უზარდის მოციქულეს, მართლისა მისაცვანისა.

ჭანზავი.

აწ მისი უკუღმართი ბედი უზარდისი ესლებ-ის და ფათერაკისა კარავს დაუდევამს, მოწყვნად სულისა, კარვით ვინმყარუწლისა ხელმწიფისასა ინგბეთ და ჭკიოსეთ, მას მელასა ვანწირულსა, მე-ყრილსა ლომთათანა სიმწირის ყამსა რად მოს-ვალ? არა თუ რეგვენი და მლევე, მე რომ მგა-მა, მისვალ და ნახავ და ინანებცა.

მოსლვა მის მავბედის უზარდისა და აწ ომი ფიცხელი, და გამარჯვება მეფის სოლომონისა.

ლექსი.

ვაი ვარირას მომღერალთა, ავსაზთ მექმნეს ცეცხლა ბასცრი,
იწინამძღვრეს მოციქული, წინ-წარმოსდგა სამი დასცრი,
ზურვად ქუწვით მოიქცევდნენ, სიმაურე ჭსზანს ვითა ლასცრი,
რა ზარბაზანთ მექმნეს ხელი, უზარდის მოსვლა კასცრი.

ჭანზავი.

აჰი, აჰი! საწყალობელსა უზარდისა «მის მუა-კუდარისა კოზაკისა ქელი დაუმართაო.»

## ლექსი.

მეფე მშჳდი ამას ზედან, გულისხმობს და არა ლალობს,
გულსა მჯილვთა ნელ იკრებდა, ყოვლთა გულ იც მასთან დალობს,
ღუთის მშობლისად თუალით ცრემლსა, რუებს ნაცვლად წარმონალვლობს,
ვეფხვ ფრთოანსად გარდისახობს, გმირთა გმირი სალთა სალობს.

ვით ორბი მაღლით მხედვარე, ჰხედავს მისცემდა ბაისს,
ვით სონლურს დრო ხუდა შეჭფრინვად წეროთა დამზარბაგისს,
წეროთელს ლჳნოს მოთხოვდა, მანდიკს ვაქუს თუ აყბაისსა,
მოართუამს მცირეს მათრითა, არ ვართ ქალაქად და ბაისს,

მესუა და საჭურჭელი, მარჯუწდ ყოვლი მოიხილა,
ბმანა სიკუდილს ვინ ვადურჩა, ჩუწნთჳს იმუა და მობილა,
რით ვინ ჰკრიდა მომავალსა, არ იქმნების რაც არ ქმნილა,

ხვალეთ მკლნო ვისცა ვინდეთ, აჰა ჟამი მოწე-
გნილა.

აწ ნახეთ ომი, მტერეცეულთ სანდომი, მიდგ-
ნენ მარცხითად მარცხად მცირენი,
გეისართ ცოლი, შავხოხით მძლოლი, თეთრზა
ზეცან ზის თავ გამწირენი,
გაჭეგა ვინ გულით, მისთანა ბმულით, ქორისა
ქროზინენ არ ცუდ მმიერნი,
გნოლთ ჯოგთა ქორნი; ფრთე მყაწორნი, რას
გაფრთხენ ანაცრენი.

მეფემ ვინმე წითლოსანი, ერთი ნახა მათში
ის რას,
მეის მიმართ მიიკმაკნა, კარგი კარგმან უნდა
ხიროს,
მშვლდი ფიცხლად, მოემარჯვნა, მაგრამ კრმალი
ვინ იკისროს,
ოდეს ისარს კმალი ბასრი, შეხვდეს ვერ ღონით
იხროს.

თუცა დგა და უწყლოდ ჭხოცდი, არ ჭქონდა
მამი რიდია,
ჭვავს მვლო ჰნელეთს საომრად, მით გული ქდცა
ლიდია,
მივან ღრუბელსა მზე ნახა, ანაზდათ თვალთა მანდია,
მაკრთა და ვადაიკარგა, ცხენ მალი ივი ფლიდია.

რა იგი გაჰქრა სხუათ შესუდა, მის ცეცხლით ჩავარდნა მდაგერა,
მისდევს და მიზრახს სად ნახის, მტერი ჰყვა ვერას მავერა,
ზით ვავეპარე ქალემზეც, რას ელდით გარდავეკარგერა,
თუ სადმე ნახო ზურაბი, უთხარ მეფეა აგერა.

ჰანზავი.

ჰო უზედნო ღირსნო ძმანო, კარგნო ყმანო, თუმცა მისკე ლაროზისა უზარდის შეუმობრენება არ დაცადეთ, აჰა იგი მეფე და განისილეთ, მისი სახე ვისცა გინდესთ კარგთა მოყმეთა და ფალაგანთა წესით, ვისცა ვინ იხებებს ანუ მოყრულად, ანუცა მტერულად მეგერებიანთ მაგრამ თქუენ გითარ გსურდათ მისისა პირისა თუალით-შედვმა, აწ მე გვამზობით მისსა ჰამზავსა.

ლ ე ქ ს ი.

რა ნახეს მეფე მიჭრილი, გულსა შეაქნეს ზაზანი,
დაჰყარნეს ყოველნი საკმარნი, ეზ. მისი გასაწრაფანი,
ლეკურისა დრო სცდა მიჰკაფდა, ვით ნახა ზურაბი ჯაბანი,

ჭაერსა შიგან ჭფრინვიდა, ხრმალი სისხლითა ნაბანი.
მზეს შემურდა მთვარეს იხმობს, მოდგნენ
    იგიც განაკიდე,
ვარსკვლავთ რაზმნი კიჟინს ჰსცემდნენ, სხუაცა
    ვითხრა განაკიდე,
მარიხს ხრმალი სამესისხლო, მოეწუადა განაკიდე,
ცისა მშვლდსა გარდაეცვა, კილო ისრის განაკიდე.

ჭანჩათ.

აწ ესეცა ვეამბოთ, საკვირველი მური ვარსკვე-ლავთაგან მეფისა ჵ თუმასთანა შემწყდ მოვიდო-დეს, ოდეს მარცხ-მბრძოლი სიმაღლეჲ მოისი-ლეს მათ ათორთა ციურთა სუჭცთა ცისათა.

ლ ე ქ ს ი.

ათორ რიცხვნი ცისა ზოდნი, ერთი ერთის
    მომაწოდნი,
მოქრინ მორბინ, არ ვამგონნი, ზარ დამცყესნი
    უწელად მკოდნი,
ზოგნი ისართ მარუწდ მცოდნი, ზოგთა ეშურათ
    ქელთა ლოდნი,
მათნი მჭსრუწლნი, ვით ეროდნი, წარმწყმედნი
    საუკუნოდნი.

ვერძი მძჳდე, რისხჳთ მჭრქენი, სისხლის მს-
მელობს ვითარ ღჳნის,
ესე მედგრად მიჴეული, დამთხეველობს მათის
ცჳნის,
მარჩბივ რთავს ფათერაკთა, კალოს ლეწავს მკუ-
დართა ზჳნის,
ლომი კმით სისასტიკით, ტოტს ვისცა ჭკრავს
მიაწჳნის.

კარჩხიბი ესწყლავს ოროლით, მუა მუცლად
გამჭობელობს,
ქალწულს ლომობა მეცამლოდა, ქუას ჭკრავს სის-
ხლით დამცოლველობს,
თევზი წყლითა მინაქონითა, ბოლო რცყმითა და-
მთომელობს,

საქონელმან ღრუბელთ ჯარნი, სისხლის წჳ-
მად გადუქცივნა,
თხის რქას ვაქებ ვრმლად იბრძოდა, მიკჳის თავი-
არ ეტკივნა.
მშჳლდოსანმან ჯილდო ირგო, ტყუფ ხუთასნი
გადირჩივნა,
სასწორი სწონს ნაალაფევს, სარგებლამდის მიაწჳნა.

ჭანზაჳვი.

მათ ვარკსვლავთ ფიცხელის სახით გულსა მური

შემოადგემის მის დღისათჳს, ვითა მათებრივ უსხე-ულოდ მფრინვალედ მორბედი კაცი დადიანი მი-მოქროლვიდა თუალსა მიმცავცებს გონებისასა, ჵ აწ მისი მოგახსენოთ ჰსწორედ ლექსად.

ეთერისა ცეცხლისა მგვანი ქების ღირსი დადიანი,
სახელ კაცი საქმე ბრძენი, ხრმალ ძლიერად ფადიანი,
ვით მზე ლომსა ლურჯსა მჯდომი, ქებად დაუ-
ზადიანი,
ვეფარად მარეთ განსარჯი, გმირ ცვან, გამომც-
ხადიანი.

კმა ლომის ვეფარად მიმზრახი, მისჩეხდის
იცყევს ამოხა,
ათიათასთ დავაფრქწო, ვითლა შემიცდი სამასო,
ზურაბის შეყრა მსუროდა ენის ისარი დამასო,
თუ ვნახე სისხლით დავსთვრევო, კორცთა შევაქნევ
შამასო.

ორნი ემანი ოთხთა ძმათა მარგამიძეთა საპირდაპნი,
ვაქცეულთა განართხმიდეს, ვით ქორის ქუემ
მცირე ლაპნი,
ვიორგისგან განასლეჩთა, კაცთა იდგა სისხლის
ცლაპნი,
მისმახდიან თქუენცა იცით ასე ვეწოწვთიდნენ
მამა პაპნი.

# ძველი მწერლობა.

შური შემჭამს გიორგისი ძმისა დადიანის მის, თუცა ვჰკადრო ცხადად მისი, საქმით ღმერთო მესაცვევსი,
მარდი ჭკწრაფი მკვეთელი ხლმისა, გამკვეწთიცა ალმასისი,
სახით ამო სწადისი და სახელით მხედრობისი.
აწ შენი მსურს ქების კონვა, ვის სადღობელი წყობილო,
მამინ ჭვევანდი მცხეთა ცვესას, ჩვეუფთა რაზმთა განმაწყობილო,
ელვის სასჯელ მცერთა თუალის დამქუსხვო შემზარველო,
ვმირის ხმით დამქუხვო, თხემთა ცვნის დამთხეველო.

## ჭანზავი.

შეჭვევანდა შენდა მამინ შენის ლომთა ლომისა შემისა მჭსევესობა, ოდეს მეფისაგან მარცხ ქართა მიგან მე... მოსილი, და ვითა ხვეულებისა ვვარი გაწყწვდა, უსულავი ცეცხლი ევრეცა მოვესვრა ერთ-გულის გულისა ზედა ამად თურმე თქუწნს, კარისა პაპრონისა წინაშე ამო არის ყმისა სიკუდილი, მერ თუცა არ ევითსარ ქარი შენი ხუწნ ევრედაცა ლხინად მეძცვლედ გიამ-

ბოთო ვალი თქუენის *გამარჯუებისა მოკლედ, მრავლისა წამწყერელთა, მცირე რამე მოგხსენედესთ ლექსად.

შაბაშ, შაბაშ, შენდა ვაშა, თუმცა ეკადრე ვერა
დია,
შენი მესმა მცირე ცეცხლი, დიდთა კუთა მწუწ-
ლადია,
ისპად მსროლო თოფისა, ლეკურისსარ ბელადია,
ბრძენთა ენამ როდეს გაქოს, ყოველთჳს შესაფერადია.

ჰანგათ.

მუნადმდე პირი კალამთა, თემთა ზედა მუშაკობდეს, ვირემცა მართლის მეცვლად, უცუეთებდეს, და მუნამდე ცოცხალვიყო, ვირემცა არა ვაქებდე გიორგის, მრავალ-ეზის პატრონისათჳს მკუდარს წულუკიძესა დიდ ვვართა ცომსა.

ლ ე ქ ს ი.

შეფრინდა მდომი, ვის სურის ომი, დიდ ვჭართ
თა ცომი გიორგი ლომი,
ნასა რაზომი დასდუა საზომი, ცეცხლ ანაგზომი
მისდევს გამწრომი,

ჰსმობდა მიმსდომი, ჰსოუცდა მიმწდომი, სრესდა მიმსლოუცომი, ჰსმევდა მიმჭრომი,
ვერ დასასსომი, მალი აქუს მდგომი, ტანი გმირ გნომი, ლუთიგ დანამთომი.
ანუ იყო მას დღეს მგუანი, საფსონისა მკუ-ლელი ყმათა,
ანუ ლეკტორ მარცხო მბრძოლი, მირმიადონთ მე-ფრფონითა,
ვით მას ვინმე ასილოლესმან, ფინდის ჰკრა უგზა-რობითა,
ვჰსთქუა თუ მას ჰგავს ჰსრვიდა და ჰფარვიდა გულწრობითა.

## ჰანზავი.

აწ მე რამეცა ვსთქუა, მისსა სისხლსა კარგათ ასმია და მისისა ისრისებრ მართალი მოწამეცა იგია. მაგრამ, აქასადამე ჯერია დიდთა თჳსცა ენა მცირედ ვაუბნოთ, ვითა თქმულიცაა, ბრძენთაგან არაკად მრჩობლედი.

ნუგცონის ლონევ აუბნე ენა, კარგთა ჰანზავთა არ მეჩნის ქმენა,
თუარ უცილოდ, რაცა გაქუს ლხენა, მოგელოს იწყო უკუალოდ რბენა.

## ჭანბავი.

ჩემს თუალსა და სასმენელსა, რასაც მოასხენებს მას, მას უმეცარი პირი ჩემი ქებად არიდებს, რომელცა ქედსა კრმალი ბასრი მადგეს. აჰა მსმენელნო, ცოცხას მოყმესა ელიზბარს მოხედეთ, თუ ვით თავი ერთგულად დაუცს, ერისთავსა და სიმესა მისსა კელმწიფისა წინაშე, ამ გვარად მოისხენეთ ლექსად.

გუარად სახის გარდმომხაცი, მალვაობს და ელიზბარობს,
სჯულისა და მეფისათჳს სისხლთა დენას ვერ იკმარობს,
მუას რაზმად მევალს ფრუწად, წინა მდგომთა დამამწარობს,
მართლა, თხათაებრ ლომი ცოხს, და მისსავ თათსა დაიგვარობს.
სიყრმით ჩუჩუილი ომს არ მლეული, გულით მედგრული, დიდ გვარეული,
სარო ჭრხეული, კეთილზნეული, თვალ სათნეული, საოცეული,
თუალ სისხლეული, მცერთ სამცრეული, კრმალ კვრით ჭრჩეული ანაზდეული,
არ გამქცეული, სისხლ-დაქცეული, მარჯუჱდ მკრეული ურჩეული.

ავაზობდის ეავაზობდის, და ჰქროლვიდის, დას-
თროლვიდის,
ნავარდობდის მავარდნობდის, მიწას დაჰსცის და-
ჰქროლვიდის,
ანაზდობდის, ანაზრობდის, ეჭკაფდის და ეანასვ-
როლდის,
მილალობდის, თამამობდის, ეანაბნევდის ეანსცრო-
ლვიდის.

### ჰანზავი.

მისსა მცირესა სიღრმესა, სხუამცა მეტი რა ექმნა, რომელ მათსა სისხლისა ცვბასა მასიცა სისხლი მდინარედ მეზღინდებოდა, და თავი მთითა ნადენსა ცკბილისა წყაროსა ომსა მიგან მორბედი ცხენით თჳსისავე სისხლსა შეხურეცდის, და მის დღისათჳს ლხინის მადლობელი იყო.

მართლ რომენ მენი სახელი მენსავე ქაბუკობისა მოწნოდა, და სამართლად თემთაზედა დაისმა, ზიზოა, ევარ დიდო, დავისმაო, მსურის მენთჳსცა მცირედი ქებაჲ, ვითა სხუანი მოწამენი ბმანებენ, მის დღისათჳს თქუწნეან დიდს ვულოვნობას.

მას დღეს მსვავსი ავთანდილის, მეჭურვილი
ჯაჭვთ ზურზით,

კისკასი ჯ მკლავ-უებრო, მისდევს ხლმისა ხლა-ჩი ხლუჩით,
ზოგნი ჩივან აფხაზები, სით გავექცით ვერ გა-დურჩით,
ზოგთა წყლიდგან გამოითრევს, ვით მეთევზე, თევზს ლაყუჩით.
ვაეხმოდის, ვაეხლმოდის, დაიხმოდის, დაით-მოდის,
შეაყენის შეაქშენნის, დაითროდის დაითმოდის,
მიდმოხლტოდის, მიმოხროლდის, დაიქმოდის, და-ითქმოდის,
კვლავ არევდის, კვლავ არბევდის, მაიყმოდის, მაიხლმოდის.

გაჭარვა შოტლანდიის კოროლევასი

მარიამ სტიუარტის ლოხ-ლევენის ციხე-დარბაზიდამ. (*)

მე მოვიფიქრე საშუალობა ცნობის მიცემისათვს, უთხრა მარიამს, მიჯნურმა მისმა, გიორგი დუგლასმა; შეხედეთ იმა ჭაღარა გამარცვლებულ სახლის კიჭროსის ბორცვზედ: ყოველს საღამოს

---

(*) მარიამ სტიუარტი იყო შვილის–შვილი დისა ჰენრის VIII–სა მარგარიტასი, მიითხოვილისა შოტლანდიის კოროლის იაკობ IV სადმი. იგი იყო აღზრდილი საფრანგეთში, სადაც შეირთო იგი ცოლად კოროლმა ფრანცისკო II მან. ფრან–ცისკო რომ მოკვდა, მობრუნდა შოტლანდიაში და დაჯდა იქ მეფად; იქვე შეირთო ქმრად თვსი ნათესავი დარნლეი, რო–მელი მოკლეს ხანს იქით შეიძულა. უკანასკნელ გრაფმა ბოტ–ველმა მოჰკლა დარნლეი ნაღმით. დასჯის მაგიერად შეიყვარა ბორტველი და შეირთო ქმრად. ამისთვს შოტლანდიელები ადუდგნენ დედოფალს, ხელი აალებინეს, ტახტიდამ და შეაგდეს ლოხლევენის ციხე–დარბაზში.—

იქ დაინახავთ თქვენ სინათლეს, რომელიც იქმნება მნათობი თქვენის იმედოვნებისა. როცა ისურვებთ, ჰკითხოთ თქჳენ მეგობრებსა, თუ როგორ წარმატებაში მათი მზადება, დადგით სანთელი ფანჯარაზედ, კიპრონის სინათლე გაქრება; დაიდევით მაშინ ხელი გულზედ და ითვალეთ ძგერა მისი, და თუ შემდგომ ოცის ძგერისა სინათლე არ გამოჩნდეს, იცოდეთ რომ მზად არ იქმნებიან. თუ სინათლის გამოჩენამდის დაითვალოთ ათი, — გამოსვლა თქვენი მოხდება რვა დღის შემდგომ. თუ დაითვალოთ ხუთი, — გამოსვლათ მეორეს დღეს; თუ სინათლე სულ გაქრეს, — თქვენ განთავისუფლდებით იმ ღამესვე. შემდგომ ამისა დელასმა მოახსენა დედოფალს: მეიმედება რომ თქჳენ შესცდეთ, ანუ დაგავიწყდესთ ჩემი მოხსენებული და ამისთს მომირთმევია ეს ქაღალდი, რომელშიაც იპოვნით ჩემის მოხსენებულის დაწვრილებით აღწერას.

პირველს გაზედვას წარმატება არ ჰქონდა. დედოფალს მოესმა ეზოდგან ხმა ცხენის უფროსის ვილიამსის, რომელიც მზადებდა, რათა განამლავლონ სადარაჯო ადგილები და დააყენონ ნავებთან ერთი მოდარაჯე; ამისაგამო მან იფიქრა, რომ გიორგი დუგლასი წავიდოდა. მან აღიხვნა თვალნი

ცისაკენ გამოხატვითა განუსაზღვრელის სირცხვილისა და მასთანავე მადლობისა; დაიბუტბუტა რამოდენიმე სიტყუა, სთხოვა სალდათებს წაყვანა თჳსის დაჭრილის ამხანაგისა, უბძანა ინცენდანცს, ორივე კარების კარგათ დაკეტა და შევიდა სახლის დარბაზში, რომელშიაც ერთის წამით წინ ფრიადი განათლება და ხმიანობა იყო, უკვე დაბნელდა და იქმნა მყუდროება. შემდგომ ერთის წამისა საწოლი ოთახის კარები გაიღო და დედოფალი ჩამოწოლილი მარიამ სეიტონის (*) მხარზედ მოადგა კიდევ ფანჯარას და განკჳრვებულმა უნებურად იკივლა და დაიკრიბა ხელები ნიშნად კმაყოფილებისა: სანთელი იყო ანთებული ბორცვზედ — მხსნელი ნიშანი მკრთოლვარებდა კიდევ ქარიშხალში.

ამის უფრო სასიხარულო რაღა იქნებოდა დედოფალისათჳს. მან იცოდა რომ, რადგან მცველებმა გაუღეს პირველი შეცდა, უთუოდ იგინი გაფრთხილდებოდნენ და მამასადამე გაპარვის იმედი უნდა გარდედვა მას განუსაზღვრებელს დრომდის, მაგრამ ისეც საკმაო იყო რომ მისნი მოკეთენი აჩუენებდენ იმედოვნების ნიშანს სანთელს, რომელიცა უმეტესად ამხიარულებდა და ეუბნებოდა მას, რომ გიორგის ცუდი არაფერი შემთხვევია.

(*) მარიამ სეიტონი იყო მისი სეფე-ქალი.

შემდგომ ყოვლის მხრის განსაცდელისა დაღ-ვება სოლომე წამი მოსვენებისა, რომელსაც ბუნება კაცის შემოიკრებს ძალას მოსათმენელად მომა-ვალის უბედურებათა. წინა დღეს დედოფალს ქონდა იმედი განთავისუფლებისა, და რაცხდა ფრიად მე-სწუხებელად კიდევ ორი კვირის ტყვეობას, მაგრამ რაოდენიმე საათს უკან, შემდგომ შემთხვევისა, რომელმანცა დაუკარგა მას იმედი, დაწყევდა მომავალი თავისუფლების მეპირებითაც, თუმცა არ იცოდა როდის მოხდებოდა.

მეორეს დღეს ეზოდამ შემოვარდა დედოფალის ოთახში ქვა, რომელსაც, როგორც პირუწლად, გარემემო ეხვია ბარათი დაწერილი გიორგი დუგ-ლასისაგან. იმ წერილის აზრი იყო შემდეგომი:

„თქუენ მიმმანეთ თავს ნუ მოიკლავთ, მე დაემორჩილე; გმადლობ თქუენ დიდებულებავ, რომ მომეცით შემთხვევა თქუენთჳს ხელახლად თავის შეწირვისა, მაგრამ ვაჲ! ჩუენმა პირუწლომა მარცხმა დიდხანს გადავიკარგა იმედი თქუენის გან-თავისუფლებისა. ჭამილტონი, ჰერისისი, არგილი სეიტონი და სხუანი მეგობარნი ჩუენნი იძულებულ არიან გაგზავნონ თავიანთი სალდათები, რომელნიც იყუნენ ვითომც სხუა მიზეზისგამო შეკრებულნი კინროსის არემარეში, თჳთონაცა წავიდნენ თავის

ციხე-დარბაზში; დავშთი მხოლოდ მე არა მქონე-ბელი ციხე-დარბაზთა და ადგილთა, არ შემიძლიან დაგინიშნოთ ვადა, შემიძლიან მხოლოდ დავარწმუნო თქვენი დიდებულება, რომ მე ვდჳმარობ ნიადაგ დღე და ღამე თქვენთვის და ამ წიგნის მორთმე-ვით დაგიმტკიცოთ, რომ თქვენ ჰყავს კიდევ ერთი მეგობარი ლოხ-ლევენის ციხე-დარბაზში; თუმცა ეს მეგობარი არის ყმაწვილი, მაგრამ გულიკი ვაჟკაცისა აქვს. თქვენო დიდებულებავ, შეგიძლიათ ენდოთ მას, ვინც მოგახსენოსთ ეს ოთხი სიტყვა იმ ლექსისაგან, რომელიც იყო მეგობრად ჩვენის გვარის სადიდებულოდ:

დუგლასსი დუგლასი,
საყვარელი და ერთგული.»

საბრალო გიორგი! იკივლა დედოფალმა, როცა წაიკითხა ბარათი, აი ერთგულება რომლისათვის არ არის ქვეყანაზედ ჯილდო, ვინა რომლისა-თვისცა კაცთა დაწესეს სასტიკი სასჯელი. წარ-მოგიდგენია შენ ოდესმე, საყვარელო ჩემო, უთ-ხრა დედოფალმა სეტონს, მშვენიერი მათი ვინაც მე ვუყვარდი ოდესმე? ფრანცისკო II მოკვდა უცნაურის ავათმყოფობით, შატელარი დაიღუპა ეშაფოტზე, დარნლეი ნაღმით, ბოცველი დაეთრევა მამულისგან გაგდებული, და იქნება ისიც დაიღუპა.

უკანასკნელ საწყალი გოგო დაწყევლილია თავის მოყვარეთაგან... ახ სეიტონ! მე ვარ შექმნილი საუბედუროდ ყველასათჳს ვინცკი მე მომეახლოვება და მე არ ვიცი მიუმატა მან, (მისცა სეფექალს ხელი, რომელზედაც მან აკოცა) თუ როგორ იპოვებიან კიდევ იმისთანა უგუნურნი, რომ ბედვენ ჩუმათ სამსახურს. შემდეგომ წაიკითხა წიგნი ხელ ახლად და ჩაიდო უბეში. მერმე დაწყო წყნარის ხმით განმეორება ჰიროპითის სიტყვების, რომელთაცა უნდა გამოეცნო მეგობარი, და რომელნიც იყვნენ ასე ვარგათ გამორჩეულნი საბრალო გოგოსაგან გამოსათქმელად თავის სიყვარულისა და გულისა.

დღენი და ღამენი გადიოდნენ უამბოთ; როგორც სჩნდა არც მეგობარნი დედოფლისა აპირებდნენ რასმეს და არც მტერნი. ამათ ალასრულეს თჳსი სურვილი, ესე იგი სული აღუბინეს ტასტოდეან მარიამს და დანიშნეს მურრაი შოტლანდიის მმართველად. ესენი იცავდნენ მარიამს სასტიკად და ეგონათ, რომ გაპარვა მისი არ შეიძლებოდა. დედოფლის მეგობრებმა იცოდნენ, რომ მაშინ მის განთავისუფლებას ვერ მოასწრებდნენ და საბრალო დედოფალი განატარებდა დროს მწუხარებაში.

გავიდნენ კჳრანი, თვენი; დადგა შემოდგომა;

დაყვთლებული ფურცლები დაცვვდნენ ხეებისაგან, მერმე ზამთარიც მოვიდა; თოვლმა დაფარა წვერი ბენ-ლომონდის, და ჩამოწვა რა თან-და-თან კალთებზედ, თითქოს შესუდრა ყოველი. ცა გაიყინა ისე რომ შეიძლებოდა მეორე კიდემდის გასვლა. ამა დროს განმავალობაში მარიამ ყოველ საღამოს ხედვიდა სანუგეშო სინათლეს და იყო მოსვენებული, მორჩილი თვისის მხვედრისა და ხანდისხან კიდევაც მოუვიდოდა წამი უწინდელის სისარულისა, როდესაც გამოკრთებოდა ღრუბელთაგან მარგანდელი მზისა, თითქოს ციდამ გამქრალისა. ბოლოს თოვლიც გაქრა, ყინვა დადნა, ბუნება განცხოველდა; მარიამ ხედავდა ფანჯრიდამ თუ როგორ გაიხარა ბუნებამ გაზაფხულის მოსვლით და საბრალოს ცქვეს კი არა შეეძლო მიელო ნაწილი ამ სასიხარულო ბუნების განახლებაში.

მართალია, დედოფალმა არაფერი იცოდა, თუ რა ანბავი იყო მისის საპყრობილეს გარეთა, თუ რა მოხდებოდა თვით საპყრობილეში, მისთვის რომ ყოველი წარმატება იყო დამოკიდებული თორმეცის წლის დუგლასის სიმარჯვეზედ. წასვლაზე გიორგი დუგლასს არა ჰქონდა დრო დედოფლის დაიმედოვნებისა. ყოველთვის, როცა დედოფალი ნახავდა სოლმე პატარა დუგლასს, იგი ეჩუქნებოდა

მას ისე დაუდევნელად და ისე მოტყუებულად სიყმა-წვილის უზრუნველობით, რომ მას ცოტ-ცოტად სულ დაავიწყდა ეს მეგობარი.

აპრილის დამდეგს მარიამმა შენიშნა, რომ ყმა-წვილი მიდიოდა სათამაშოთ გარეთ საპყრობილის ფანჯარასთან ჩვეულებაზედ უფრო ხშირად; და ერთხელ, როცა იგი სთხრიდა კედლის ძირში ორმოს ჩიტების დასამარხად, დედოფალი ყურად-ღებით უცქეროდა მის მუშაობას; მას ეჩვენა, რომ-ოდესაც ერთის ხელით სთხრიდა მიწას, მეორეს ხელით სწერდა იგი რაღაცას სილაზედ. მარიამ, როდესაც უფრო და უფრო თვალი ადევნა, მარი-ამი დარწმუნდა, რომ სიტყვები ეკუთვნოდნენ მას და წაიკითხვიდა რა ხან ერთს სიტყვასა და ხან მე-ორეს, ამოიკითხა შემდეგში ფრაზი: «ამაღამ შუა-ღამეზე ჩამოუშვით თოკი ფანჯრიდან.» რასაკვირ-ველია ეს სიტყვები ეკუთვნოდა მას, მაგრამ ყმაწვილმა არცათუ ერთის შეხედვით დაამტკიცა იგი, ასე რომ, ოდესაც მან იგრძნო მარიამის-გან სიტყვების აღმოკითხვა, გაათავა თვისი ორმო, დაავლო მახე და წავიდა, კიდევაც არ შეხედა ფან-ჯარას, რომელთანაც იდგა დედოფალი.

ტუსაღმა გადასწყვიტა უსათუოდ აღსრულება, ყოველ შემთხვევისათვის, სურვილისა, რომელიც

იყო დაწერილი სილაზედ. სეიტონმა თოკის უქონლობის გამო გარდააბა ერთმანეთზედ მეწრები და დანიშნულს დროს, გაიტანა რა სანთელი საწოლ ოთახში, გარდაუშვა ფანჯრიდგან. შემდგომ ერთის წამისა მან შეატყო, რომ ქვეშ რაღაცა მოაბეს და ზევით ამოსწია. ფუთა ცოტა მოდიდო იყო და ამისგამო შეჩერდა ფანჯარასთან, მაგრამ მოაბრუნეს კედელზედ და გაჭირვებით შამოამვრინეს ფანჯარაში, მაშინვე წაიღეს თავის ოთახში, დაკეტეს კარები და გახსნეს. იმაში იყო ორი სრული კაცის ტანისამოსი, ორივე ერთი; ერთის საყელოზედ იყო ქინძისთავით მიბმული წიგნი, რომელშიაც ეწერა: «ახალი დარიგება მათს დიდებულებას. ყოველ სალამოს ცხრა საათიდამ შუაღამემდის, დედოფალმა და მარიამ სეიტონმა უნდა ჩაიცვან გამოგზავნილი ტანისამოსი, როგორც შესაჩვევად, ევრეთვე მუდამ მზათ ყოფნისათვის, გასაპარავად, როგორც შემთხვევა მოითხოვს. ეს ტანისამოსები ვგონებ უნდა კარგათ იყოს მათ ტანზედ, ამისთვის რომ ზომა აღებული არის მარიამ ჶლემინგის და მარიამ ლივინგსტონისაგან, რომელთა ტანი ემსგავსებიან ტანსა მისის დიდებულებისა და სეიტონისა. ყოველს სალამოს დედოფალი უნდა თვალს ადევნებდეს ცეცხლის ნიშანს,

რათა იცოდეს, თუ როდის შესაძლო იქნება გაპა-
რვა და არ დაპირობს უდროოდ. მოკვრმონი დე-
დოფლის კრთებიან, მეგობრები მღვიმარებენ.»
ამ ანბავმა ძლიერ გაახარა დედოფალი, შემდეგომ
დიდის ზამთრისა მან ბოლოს შეროცხა თავის თა-
ვი დავიწყებულად და მოისწყინდა მარტო ყოფნაში,
მაგრამ ამ მლჳმარებითის ერთგულების დამტკიცე-
ბამ დაუბრუნა მას ყოველივე იმედი და ენერგიაცა.
ამ სალამოსვე მან და მარიამ სეიტონმა ჩაიცვეს
გამოგზავნილი ტანისამოსი, და როგორც გამო-
გზავნილი ფიქრობდა, კარგათ მოუხდათ ტანზედ.

მეორე დღეს დედოფალს უნდოდა ენახა პა-
ტარა დუგლასი, ჰქონდა რა იმედი, რომ რომლისამე
ნიშნით დაიმედოვნებდა იგი მას, მაგრამ არ უნა-
ხავს, სალამოს დედოფალმა შეხედა სინათლეს, და
დაითვალა ოცი გულის ძგერა, ჯერ არაფერი
იცოდნენ დარწმუნებით.

მაგრამ დედოფალი მიუხედველად ამისა, მაინც
ნამდვილად ასრულებდა მიღებულთა დარიგებათა:
ცხრა საათზედ ის და სეიტონი ჩაიცვამდენ ხოლმე
კაცის ტანისამოსსა და იქნებოდნენ ისე ჩაცმულნი
შუაღამემდისინ; ამ ნაირად გაატარეს ნახევარი თვე.
უკანასკნელ აპრილის დამლევს სინათლე კიდევ
გამოჩნდა, შემდეგომ ათის გულის ძგერისა

და მით დედოფალმა შეიტყო მოახლოება იმა ჟამისა, რომელსაც მისს მეგობრებს სრულიად უნდა ეცადათ მისი განთავისუფლება. სამი დღე გავიდა რომ ნიშანი არ გამოცხადებულა. ორს, მაისის დილას დედოფალს მოესმა დიდი ხმაურობა ციხე-დარბაზში. იგი მსწრაფლ მივარდა ფანჯარასთან და დაინახა სავსით ეზო მხედრობისა ცხენის ჯირზედ კუნძულთან მდგომარე, ნავები წავიდენ სიჩქარით მოსულთ მისაღებად. რადგან ციხეში მყოფთა პირთა გამოცხადების გამო ამ დროს შესაძლო იყო ვერ მოესწრებინათ დედოფლის გაპარვა, ამისთვს შეშინებულმა იმათი მოსვლით გაგზავნა მარიამ სეიტონი შესატყობად, თუ ვინ მოვიდნენ. სეიტონი მალე დაბრუნდა მეტად შეწუხებული. ახალი მოსული იყო ლორდი ვილლიამს დუგლასი, ლოხლევენის ციხის პატრონი, რომელიც შემდეგომ ერთის წლის უმყოფობისა მოსული იყო რამდენიმე დღის ვადით თვისის ამალით: მამასადამე ციხეში იყო შექცევა. ეს ამბავი იყო სამწუხარო დედოფლისათვს; ყოველთვს, როცა ლოხლევენის ციხე-დარბაზში მოვიდოდა ხოლმე ლორდი, ერთი იმოდენს მცველებს კიდევ მოუმატებდნენ და ყოველივე გაპარვის იმედი ამის გამო უნდა გადაედოთ მის წასვლამდისინ ერთის სიტყვით ბო-

როცა სული დასცვდა მას.

შემდგომ ერთის ხანისა დედოფალს მოესმა ფეხის ხმა კიბეზედ. თუმცა გასაღებები მისის ოთახისა ქონდა სამფეროჭიანის ზედამდგომს და კარების დაკეტვა მიენდომ არ შეიძლებოდა, მაგრამ ჩვეულებისამებრ დედოფალითან მყოფთა, ნაცვლად პირ და პირ შემოსვლისა, ვიღაცამ მოასხენა კარებზედ პაწკიპიცემით. სეიტონმა გააღო. ის იყო მეწლი ინტენდანტი ციხის უფროსი, რომელიც იყო გამოგზავნილი ლორდის ვილიამს დუგლასისსაგან დედოფლის და მისი სეფე ქალის სადილზედ მიწოდებულად. ლორდს უნდოდა რომ მისი მოსვლა ყველასათვის სასიამოვნო ყოფილიყო და სხვათა შორის მიეწვა თავის სადილზედ დედოფალიც რიგიან სარჩი ეძლეოდა მისგან. დედოფალი, თუმცა არ იყო სრულიად უგრძნობელი ამ პატივის ცემის ნიშანისა, მაგრამ უბძანა ინტენდანტს, რათა მოასხენოს მისი უქეიფობა და შიში რომ მისმა მწუხარებამ არ ავნოს საზოგადო სიხარულს. ინტენდანტმა თავი დაუკრა და წავიდა.

მთელს დღე იყო ციხეში დიდი მოძრაობა. მეზინებები იმ ნაირის ტანისამოსებით, როგორიც მოუყვიდათ დედოფალს და სეიტონს ხშირად დარბოდნენ ეზოში. ამასობაში დედოფალი იჯდა ფან

ჯარისთან მოწყენილი და უქმქროდა პატარა კიპრო-
სის სასულს; მისი ფანჯრები იყვნენ ჩვეულებრივ
დახშულნი და არ ყეფურობდათ დუ ვინმე იდვა იმამი.

დადგა სადამო; ცისკ-დარბაზის ფანჯრები გა-
ნათლდნენ, რომელთაგან ერთლ-ერთლა ვიყვანა
სინათლე ეზოშიდ; პატარა ვარსკვლავთ კიდევ გა-
მობრწყდა ბოროცვზედ. დედოფლის შესედა ერთს
წამს, მაგრამ კიდევ ვერ გაბედა; ბოლოს უკა-
ფშა სეიტონის ოთახის და დასდგა პატარძალთა ხი-
მანი ფანჯარაზედ; სინათლე მაშინვე ვაქრა და დე-
დოფალმა მაშინვე დაიდგა ქუდი მწუხარე გულზედ და
იწყო თვალ-მეგრის, მაგრამ, რაკი მოვიდა თუთისმეცხა-
მედის და ვერ დაინახა სინათლე, მისვდა როგორც
ფიქრობდა, რომ ყოველივე გარდაწყვეტილი და დაეცა
მწუხარებული სკამზედ. იმედის დაკარგვამ გასდო
მისი დაცემულობა უფრო სამწუხარო.

სეიტონი იდგა და კიდევ ითვლიდა მეერას;
სინათლე აღარ ჩნდებოდა და იმედი სრულიად წა-
ნაღმდეგე მიეცა მას გულს; ეს ნიშნავდა, რომ
ვაზირვა მამან უნდა მოისპოროს, ამისთანა იყო
დარიგება დუღლასისგან მოწერილი. მაგრამ იგი
კიდევ ითვლიდა ათ მინუტამდის და ვერ დაინახა
რა სინათლე, მოისხნა დედოფალს იქვე ჭ.ჰ.ზ..

დედოფალი უცებ ადგა, დაიწყო ძებნა სინათ-

ლისა და იმზირებოდა კიპროსისაკენ თითქმის მეოთხედს საათს, მაგრამ სინათლე არ გამოჩნდა და ამისთჳს განამეორა კითხვა, უბრალოდ. კიდევ არ გამოჩნდა.

დედოფალი და სეფე-ქალი შევარდნენ იმ წამსვე თავის ოთახში, დაჰკეტეს კარები და ჩაიცვეს საჩქაროთ. ისე ცოტას იმედოვნებდენ, რომ მომზადებას სრულიად უბრალოდ რაცხდენ. რაკი გაათავეს მათ ტანისაცმა, მოესმათ რომ დარბაზის კარები გაიღო და ვიღაც წყნარად უახლოვდებოდა მათ საწოლს ოთახს. სეიტონმა გააქრო სანთელი, კარებზედ მოარახუნეს. ვინა ხარ მანდ? კითხა დედოფალმა შეშინებულის ხმით.

«დუგლასი, დუგლასი!
საყვარელი და ერთგული.»

მიუგო ყმაწვილის ხმამ.

— ეს არის ნიშანი, წაიჩურჩულა დედოფალმა და დაეცა საწოლზედ; ამ დროს სეიტონი წავიდა კარების გასაღებად, და წყნარის ხმით უბნობდა: უფალო, უფალო, შეეწიე ჩვენ! მზათ არის მათი დიდებულება? ჰკითხა პატარა დუგლასმა.

— დიახ, მიუგო დედოფალმა წყნარის ხმით, მზათ ვართ; რა უნდა ვქნათ?

— წამომყევით მე, თქვა ყმაწვილმა გაუდგო.

— ამ სალამოს? კითხა დედოფალმა.

— დიახ.

— მზათ არის ყოველივე?

— მზათ არის.

— მაგრამ კარებს ვინ გაგვიღებს?

— გასაღებები მე მაქვს.

— აბა წავიდეთ, შვილო ჩემო, უთხრა დედოფალმა, ღმერთი იყოს ჩვენი წინამძღვარი!

პატარა დუგლასი მიდიოდა წინ კიბეზედ. იქ მოაცლევინა ცეცხლს, თვითონ დაკეტა კარები მათის ოთახისა, რათა მცველებმა შემოვლის დროს ვერასფერი გაიგონ და შემდეგომ წაიყვანა დედოფალი და სეიტონი, მაგრამ, რაკი დედოფალმა გაიგონა ხმა დარბაზიდამ, რომელშიდაც უნდა გაევლოთ მათ, დაადვა ხელი მხარზედ ყმაწვილს, ის მაშინვე შეჩერდა.

— სად მივყევართ ჩვენ? კითხა დედოფალმა.

— ვერეთ, მიუგო ყმაწვილმა.

— მამ ჩვენ უნდა გავიაროთ დარბაზში, რომელშიდაც ვახშამს სჭამენ?

— რასაკვირველია.

— ეს როგორ შეიძლება, დაიძახა დედოფალმა, დავიღუპეთ.

— რისთვის? უთხრა ყმაწვილმა, თქვენო დიდე-

ბულებავ; თქუენ და მარიამ სეიტონს გიცნობთ იმის-თანა ცნობისმოყვარენი, როგორიც ცისხამი მოსამსახურებს; იმცნის სახლში ვერ შეიცნობენ. სხუა სამყოფლო-ბა არა გვაქუს.

თუთონ მან მოიგონა; მე მხოლოდ გიშოვე ვასალებები, მენახუნი ვილიამსის ოთახში.

—აბა წავიდეთ, სარქის დედოფალო, მე ყოვე-ლის ფერზე თანახმა ვარ, ოღონდკი დავიხსნა თავი ამ სატანჯველისაგან.

პაცვარა დუდლასი მიდიოდა წინ, ორივე ტყუე-ბი მისდევდენ მას. როცა მივიდა კიბის ბოლო-ზედ, მან დაიღუნა და აიღო ბნელს ყურეში ქვუ-ქელო, სავსე ღვინით, რომელიც მიართვა დედო-ფალს და სთხოვა რათა დაიდოს მარჯუენა მხარე-ზედ, ისე რომ დაუფაროს პირი ვახშმად მჯდო-მარეთაგან. მარიამ სეიტონმა წაიღო ერთი კალათი სავსე დაჭრილის პურით; ამ სიფრთხილის გამო იცოდენ რომ მოსამსახურები ყურადღებას არ მია-ქცევდნენ.

ასე მოვიდნენ იგინი დარბაზის მესამსრულეს ოთახში, საიდანაც გამოდიოდა სინათლე და ის-მოდა ხმაურობა; მოსამსახურენი ყველანი აკეთებ-დნენ თავიანთ საქმეს და არ შეუნიშნავთ იგინი. ამ პირველმა გამარჯუებამ განამხნევა დედოფალი

და უფრო თამამად დაიწყო მან მზერა გასავალ დარბაზისაკენ.

შუა დარბაზში იყო თავიდამ ბოლომდის გაშლილი სუფრა, რომელზედაც ისხდნენ რიგით უმაღლეს ადგილზედ ლორდი ლოხლევენი, ლედი ლოხლევენი და მათი უფროსი შე ვილლიამს დუგლასი; სხვები იქ მყოფნი ისხდნენ თავის თანამდებობის შესაფერის ადგილებზედ. სუფრა იყო განათლებული მეცის მეცად, მაგრამ დარბაზის სიდიდისამო კედლებთან იყო სუსტი სინათლე ფრიად სასარგებლოდ გაპარვისათვის. ტყვეებმა დაინახეს ეს პარველადვე და შენიშნეს კიდეც, რომ მცველი ლორდი და ლედი ისხდნენ მათკენ ზურგით. ხოლო ვილლიამს დუგლასი, მჯდომარე მშობლების პირის პირ, როგორც სჩნდა მისის გაწითლებულის ლოყების და მკრთოლვარეს თვალებისაგან, არ იყო ესლა ისე საფრთხილო, როგორც იქნებოდა ვახშმათ დაჯდომის დროს.

დედოფალს ალარა ჰქონდა დრო შეენიშნა კიდევ რამე; პატარა დუგლასი შევიდა გაბედვით დასაბამში, მას შეჰქონდა სეიცარნი და ამის დედოფალი.

შიში იყო ამაო და არა ნამდვილი, გიორგი დუგლასის ფიქრით; თვით გაბედვა ამა საქმისა აძლევდა მას წარმატებას; მლოცოლევილებამ გაიარეს

დარბაზი ისე, რომ არც მოესწრნენ ეგეგიათ რამე და არც მოსამსახურეთა და შევიდნენ წინ მისაღ-ოთახში; აქ მაყვარი დუღლისმა გამოართვა დედო-ფალს ქურქელი, სერიოზნს კალთით, მისცა ისინი მოსამსახურეს და უბრძანა მაყვანა სოლდათებისათვის; შემდეგომ ისინი გამოვიდნენ გარეთ

ამ დროს შემოესმათ დამოკლოენებელი, რო-მელმაც გაიარა უყურადღებოთ; ამ ახალმა წარ-მატებამ მისცა ახალი ძალი დედოფალს. მაშ რო-გორც იქმნა მიაწიეს იმ ადგილამდის, სადაც, ალორ უწევდა ფანჯრების სინათლის შუქი, ამან კიდევ უფრო გაათამამა იგინი. ახე დაუვან კედელ კედელ, ბოლოს მაყვარის დუღლისა გაჰყვა ბაღის კარებთან.

აქ დადგა ჟამი საშწუხარო მოლოდებისა; ათის ანუ თორმეტის გასვლებმიდგან უნდა გამო-ეღოთ ის, რომელიც ეგებოდა კარებს. დედოფა-ლი და სერიოზნ მიაწვნენ კედელს, სადაც უფრო ბნელი იყო და იძერდნენ ჩუმიქვას; მერე გასვ-ლებმა გაალო კარები; ორივე ქალები შევარდნენ უცებ ბაღში, ყმაწვილი გაჰყვა მათ და გარდაკეტა კარები. დედოფალმა დაისვენა, რადგან ეჭონდა გამოიხსნის იმედი.

ყმაწვილი წავიდა მერე გასავალ კარებისაკენ

როცა მიდიდა ხილნაოში მან ანიშნა ქალებს, რათა მიჩერდნენ ცოტა ხანს; მერე მეპეროთა ორივე ქე-ლები და ისე დაიმალა ბუსავით, რომ თვითონ დე-დოფალს ეგონა ბუ იმასისო; იმ წამში ამ ნაი-რივე სმა მოისმა კედელს უკანიდამ და მემდგომ მიიქნა მყუდროება. ამასობაში ყმაწვილი ძლიერ დაფიქრებული ყურს უგდებდა ოღასაც, თითქოს მოელოდა ახალს რამე ნიშანს; მართლაც ერთს წამს შემდეგომ მოისმა ოხვრა და გრიალი, მსგავსი კაცის სხეულის მიწაზედ დაცემისა. დედოფალი შემოწუხდა. ძლიერ კარგათ მიდის ჩუმნი საქმე, სოქუა ჰაცვარა დუღლასმა და წავიდა.

კარები გაიღო და ვილაცა შემოსწვა ბალში; ის იყო გოთრგი.

—წავიდეთ, ქელმწიფა ჩემო, მოასხენა მან დედოფალს სცაცა რა ქელი ქელში და თან წაიყვანა, ყოველივე მზათ არის, წავიდეთ.

დედოფალი მიყვებოდა მას და მიისედ-მოიხედა-ვიდა; მან დაინახა კედლისაკენ კაცის სხეული, მიწაზედ დაგდებული, და ამოწოდა. ამით გოთ-რგი მიხვდა, რას გრძნობდა იგი მამან.

—მან უწია თავის ცოდვამ, უთხრა მან დე-დოფალს; ეგ ჩუმნი ადრინდელი მოლალატე კაცი, მაგრამ ეხლაკი გელარავის ულალაცებს.

— ჰა..! ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! წაი-ღუღუნა დედოფალმა, კიდევ მსხვერპლი!

— გაუჩქაროთ, ჴელმწიფევ ჩემო, გაუჩქაროთ უთხრა გიორგიმ.

— სეიტონი რა იქნა? ჰკითხა დედოფალმა.

— ის ჩვენ მოგვდევს პატარა ლუღლასითურთ. თქვენა დიდებულებაც ნუ სწუხართ მისთჳს.

მართლაც ასე იყო: დედოფალმა უკან მოიხედა და დაინახა სეფე-ქალი და პატარა ლუღლასი. ამ დროს გიორგიმ ჩააგდო ქვა წყალში. ნავი აქამდის დამალული ბუჩქებს უკან, გამოჩნდა და ნელა მოადგა კიდეზედ. ერთმა მათმან მეჯდომელ-თაგანმა გამოაგდო თოკი, გიორგიმ დაიჭირა ის, მიითრია ნავი და მოეხმარა მათ ჩაჯდომაზე დედოფალს, რომელიც დაჯდა ნავის თავში. გიორგიმ ჰკრა ფეხი ნავს და ჩახტა მენავეებს შუა. პატარა ნავმა მოსცილდა ხიდის ხვედრით წასცურა ტბაში.

მაგრამ ეს მეორე სარეცბლო დედოფლისათჳს საშინელი, ეხლა უკეთ მოიწმინდა, ვითომც ბოროტმა სულმა დაფანტა ღრუბელი, ასე რომ მთოვარემ, თითქოს განგებ დაანათა ნავს და იმა ტბის ნაწილს, საცა ის იყო. იმ წამშივე გიორგიმ თვითქმის დაჰკარგა გონებლივე იმედი დამალვისა და უბძანა მენავეებთა რაც შეიძლება დაუჩქარონ; ეს

ალასრულეს. მაგრამ რაღაც საუბედუროთ არ შეი-ძლებოდა სიჩქარის მიმაცემა, ისე რომ არ მოშა-ცემულ იყო შევილი, ამისგამო ერთმა მოდარა-ჯეთაგანმა დაუფრნებულმა წყლის პირისაკენ უცებ შენიშნა ნავი და დაიყვირა.

—ეი, ნავი! დაიჭირეთ ნავი!

—დაუჩქარეთ ღუთის გულისათვის, მიუმაცეთ ძალა, დაიძახა გიორგიმ; ხუთ მინუტის იქით უსათუოთ გამოგვეკიდებიან.

—მე რომ არ მეგვცე ნება მაინც გამოგვე-კიდებიან? სთქვა პატარა დუგლასმა, თუ გადმოხ-ტებიან კედელზე, ანუ გამოცვივნენ კარებს მა-გისა არ ვიცი; მე იგინი ჩემის ძმობით დავამწყვ-დიე: ციხეში ერთი გასაღებიც არ არის. შემდეომ ამისა უჩვენა რა მას ერთი მძიმე გასაღეები, რომელი ქელში ეჭირა, უთხრა ორადგან ჩქმხოვს საჭირო არა არის ეს გასაღებები, მიმინდვია ნეპ-ტუნისათვის, (ამა ტბის მფლობელის მეორე ტბის სუ-ლისათვის), რომელსაც აბარებდენ გნიშნავ ციხის უფროსად, ნაცვლად მეწლის გელდებანცგის და და გადააგდო ისინი ტბაში.

—გაკურთხოს შენ უფალმა ღმერთმა! უთხრა გიორგიმ და მისცა ხელი ყმაწვილსა. ღმერთმა მოგცა შენ სიმხნე და გონება გაქცევისა. ნავი!

დაიყვირა კიდევ მოდარაჯემ, ნავი დაიჭირეთ! მერ-მე ხმა რომ არავინ გასცა, ისროლა თოფი, მი-ვარდა ციხის ზართან, დაიწყო რეკა და ყვირო-და როგორც შეეძლო: ვგილალაცეს! ვგილალაცეს!

ერთის თვალის წამში განათლდა ყველა ფან-ჯრები ციხე-დარბაზისა და დაიწყეს კაცებმა ოთა-ხში სირბილი, გადარეულსავით. ნავი ციხე-დარბაზ-ზედ მოშორებით იყო, მაგრამ მლცოლველთა გა-იგონეს მაღალი ხმა: ისროლე! უცებ ძლიერმა სინათლემ გაანათლა მთელი ცხა; ისროლეს ზარბა-ზანი და მისი ბუთოვლი დავარდა რამდენიმე ბიჯ-ზე ნავიდან. მაშინ გიორგიმ გააბრთხილა რა დე-დოფალი, რომ არ შეეშინოს, ისროლა ფისცო, არა გაბედვსათვს, არამედ რათა შეატყობინოს თვ-ისთა მოკეთეთა აღთქმისამებრ, რომ დედოფალი განთავისუფლებულია. თასაკვრელის კიდიდგან შე-მომასეს. პაცარა დუგლასმა მოაბრუნა იქეთ ნავი და ხუთ მინუტის შემდგომ დედოფალი იყო სა-მუალ თვისთა მხედართა, რომელნიცა ელოდნენ თვ-ისის უფროსის ლორდის სეიცონითურთ.—

დ. ლოლობერიძე.

1859-სა წელსა.
16 აპრილსა.
ს. ჯიხაიშა.